ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 21 ივლისი 1999 №136 (909) | ფასი 50 თეთრი

ქართველები მეოთხედფინალში ფრანგებს შეხვდებიან

საქართველო 81:73 სლოვენია

საქართველო: მარხვაშვილი, ხეცურიანი (8), ტუღუში (18), სულაძე (1), ბერიშვილი (10), მარკოიშვილი (10), ჩავლეიშვილი (4), ფაჩულია (8), უგრეხელიძე (4), ცქიტიშვილი (18)

სლოვენია: სლოკარი (5), შმიჯიჩი (10), ფანტინატო (2), ნოვაკი, აუერი (2), შტრუკელი (12), მუჩიჩი (13), ჩატოვიჩი (29)



ამასაც მოვესწარით, რუსებმა ქართველებისთვის რაღაც მაინც გააკეთეს. ბევრი კი არაფერი, მაგრამ გუშინ, ვიდრე საქართველოს კადეტთა ნაკრები სლოვენიასთან სათამაშოდ გავიდოდა, უკვე იცოდა, რომ მეოთხედფინალში იყო.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრების ჯგუფიდან ვერგასვლის პირველი პირობა ის იყო, რომ თურქეთს რუსეთისთვის უნდა მოეგო. მეორე კი... თუმცა მეორემდე საქმე აღარ მივიდა — ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა 71:62 დაამარცხა ჩვენივე სამხრეთელი მეზობელი და ქართველების კვერიც ნაადრევად გამოცხვა.

ქართველმა კადეტებმა სლოვენიელებთან შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს. სროლათა 65 პროცენტი (37-დან 24) ჩააგდეს, გუნდურ თამაშშიც აჯობეს მეტოქეს. თუკი მოხსნების რაოდენობა თანაბარი (28:28) იყო, ჩვენების ექვს დაფარებას მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. ეს მარცხი საბედისწერო გამოდგა სლოვენიისთვის, რადგან მან მეოთხედფინალის საგზური დაკარგა. თანაბარქულიან თურქეთს, სლოვენიას და რუსეთს შორის უპირატესობა მიენიჭა თურქეთს, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს: თურქეთი (+6), სლოვენია (+2), რუსეთი (-8).

B ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა იუგოსლავიამ, რომელმაც 75:71 მოუგო საბერძნეთს.

იუგოსლავია	5	5	0	373:326	10
საბერძნეთი	5	4	1	375:326	9
საქართველო	5	3	2	399:390	8
თურქეთი	5	4	1	321:354	6
სლოვენია	5	4	1	328:347	6
რუსეთი	5	1	4	328:381	6

გუშინვე გაირკვა საქართველოს ნაკრების მეტოქე მეოთხედფინალში: A ჯგუფში ქულები თანაბრად დააგროვეს მაკედონიამ, საფრანგეთმა და ესპანეთმა. ურთიერთშეხვედრებში ბურთების სხვაობით ადგილები ასე განაწილდა: მაკედონია (+13), საფრანგეთი (+6), ესპანეთი (-9). საქართველოს ნაკრები ხვალ მეოთხედფინალში საფრანგეთს შეხვდება.

ალანია დემეტრაძეს მომავალ კლუბს არ უმხელს

გიორგი დემეტრაძეს ოსურ ხაბიზგინებს იტალიური პიცა ურჩევნია

ამბები ლივერპულიდან

მაიკლ ოუენი სრულად გამოჯანმრთელდა და გუნდს ახალი სეზონის დაწყებისთანავე დაეხმარება

ემზარ ზენაიშვილი

ლინჩიოპინგიდან

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა «სარბიელის» საგანგებო კორესპონდენტს შვედეთში განუცხადა:

საქართველო მაჩანჩალობისთვის არ მემეტება

ფოტო ფილიპე ბაბუაშვილის

ლენარტ იუჰანსონის აზრით, საქართველოს ნაკრები შვედეთში შემთხვევით არ მოხვედრილა

ინტერვიუ უეფას პრეზიდენტთან იხილეთ მესამე გვერდზე

გზა მაღალი საზოგადოებისკენ

ფრენკ მელოუნი ქართველ მოკრივეებს მფარველობს და აგარაკზე ჯო ფრეზერის კომპანიაში იწვევს

ეს ჭარმაგი და დარბაისელი ზანგი, ქართველი მოკრივეები გიორგი კანდელაკი, კობა გოგოლაძე და მისი მენეჯერი მამუკა წიკლაური რომ დასტრიალებენ თავს, ჯო ფრეზერია. დიახ, „დიდი ჯო". კაცი, რომელიც 70-იან წლებში ტოლ-სწორად ერკინებოდა ლეგენდარულ მუჰამედ ალის და ერთხელ ჩემპიონის ქამარიც წაართვა. ფოტო კი „სარბიელს" უსახსოვრა ინგლისიდან ახლახან დაბრუნებულმა მამუკა წიკლაურმა, მას და კობა გოგოლაძეს დილომში, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა სანვრთნელ ბაზაზე შევხვდით და ჯო ფრეზერის ფოტოს ხილვისას, ცხადია, მასთან შეხვედრის ისტორიით დავინტერესდით. საქმე ის ყოფილა, რომ... თუმცა, მოდით ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. მაშ ასე, კობა გოგოლაძე მოგვითხრობს პროფესიულ კრივში თავის პირველ ბრძოლებზე, გიორგი კანდელაკზე, ფრენკ მელოუნზე, ჯო ფრეზერზე და სხვა მრავალ საინტერესო ამბავს...

ლეგენდარულმა ჯო ფრეზერმა ქართველი მოკრივეები გაიცნო

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამომ 8:1 ივარჯიშა

ვალტერ გუჩუა კი იოჰან ბოსკამპმა თბილისში გამოუშვა

საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ გუშინ ერთ-ერთი გერმანული სამოყვარულო გუნდი 8:1 დაამარცხა.

შევიტყვეთ, ჩვენებურებმა ამ მატჩში, პირობითად რომ ვთქვათ, მეორე შემადგენლობით ითამაშეს. იოჰან ბოსკამპმა ოთხ იუგოსლაველ ფეხბურთელსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომელთაგან ორმა თითო ბურთიც გაიტანა. ისიც გავიგეთ, რომ იუგოსლაველებს „დინამოს“ მწვრთნელზე მაინცდამაინც კარგი შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ, ბოსკამპიც უმათოდ აპირებს სამზადისის გაგრძელებას.

თბილისელთა შემადგენლობაში ორი ცვლილებაა: ჰოლანდიაში დინამოელებს გვიან შეერთებულ ვალტერ გუჩუას თბილისში დაბრუნებამაც მარტოს მოუწია. გუშინ ბოსკამპმა იგი გერმანიიდან შინ გამოუშვა. მიზეზი გუჩის ჯანმრთელობაა. იგი ისევ საჭმლის მომნელებელი სისტემის პრობლემამ შეაწუხა. „დინამოს“ კი ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წასული მეკარე სოსო გრიშიკაშვილი დაემატა. მან გუშინ დილით გუნდთან ერთადაც ივარჯიშა. რაც შეეხება გრიშიკაშვილის ბელგიელ კოლეგა დენიტ დონდტს, იგი ბელგიაში დაბრუნდა პირად საქმეთა მოსაგვარებლად.

კობა ინასარიძე

გიორგი ქინქლაძე ხუთშაბათს მანჩესტერში ჟურნალისტებს შეხვდება

ბადრი კოთიაშვილის ფოტო

ტორპედო სიტარდს შაბათს მიფრინავს

გუშინ საღამოს ქუთაისის „ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა სალორიის საწვრთნელ ბაზაზე პრესკონფერენცია გამართა.

ყიფიანის თქმით, ბილეთების საკითხი უკვე გადაწყვეტილია და „ტორპედო“ ფრანკფურტს შაბათს გაფრინდება, იქიდან კი ავტობუსით ოთხსაათიანი მგზავრობის შემდეგ ჰოლანდიურ სიტარდში ჩავა.

„ტორპედოს“ 32-კაციანი დელეგაცია სიტარდის სპორტულ ცენტრში იცხოვრებს. აქედან 23 ფეხბურთელი იქნება, რომელთა ვინაობასაც დავით ყიფიანი წყალტუბოს „სამგურალთან“ ხვალინდელი მატჩის მერე გამოაცხადებს.

ქუთაისელებს ჰოლანდიაში „უმბროს“ ამუნიცია დახვდებათ. წვივსაფრებიდან დაწყებული, სათამაშო ფორმებით, ბურთებით თუ სულაც ჩანთებით დამთავრებული „ტორპედო“ წლეულს ამ ინგლისური ფირმის ნაწარმს მოიხმარს.

ტორპედოელები ჰოლანდიაში ბელგიურ „ლიერსს“ და „ლომელს“, ჰოლანდიურ „როდას“, რუსულ „ზენიტს“ და საემიროების ნაკრებს ეთამაშებიან.

ქუთაისელები შინ 7 აგვისტოს დაბრუნდებიან, ტალინს კი იქაურ „ლანტანასთან“ უეფას თასის პირველი შესარჩევი მატჩის სათამაშოდ 11 აგვისტოს ჩარტერული რეისით გაფრინდებიან.

სადღეისოდ ეს იყოს და, სახვალიოდ დავით ყიფიანის ნალაპარაკევს უფრო ვრცლად შემოგთავაზებთ.

იუზა კაციტაძე
ქუთაისიდან

ქინქლაძეს პორტსმუთში თამაში არ სურს

ხუთშაბათს ამსტერდამის „აიაქსის“ ქართველი გამთამაშებელი ინგლისური მედიისთვის საგანგებო პრესკონფერენციას გამართავს.

როგორც წინასწარ გახდა ცნობილი, ქინქლაძე აპირებს ოფიციალურად უარყოს მისი „აიაქსიდან“ „პორტსმუთში“ გადასვლის შესაძლებლობა. იქვე გიომ შესაძლოა ის ინგლისური კლუბიც დაასახელოს, რომელშიც ახალ სეზონში კარიერას გააგრძელებს.

ინგლისელი ჟურნალისტები „პორტსმუთში“ ქინქლაძის შესაძლო გადასვლის შესახებ ბოლო დღეებია, წერენ. ეს იმანაც განაპირობა, რომ ინგლისში ჩასვლის შემდეგ ქინქლაძე რამდენჯერმე შეხვდა „მანჩესტერ სიტის“ ყოფილ თავკაც ალან ბოლს, რომელიც ახლა სწორედ „პორტსმუთს“ თავკაცობს.

17 ივლისს „სანდი ტაიმსმა“ გაავრცელა ცნობა, რომ ბოლმა ოფიციალურად შესთავაზა ქინქლაძეს, ერთი სეზონი „პორტსმუთში“ გაატაროს. კლუბი მზად იყო, არენდის სახით მასში ორი მილიონი გირვანქა გადაეხადა.

პირველდივიზიონელი „პორტსმუთი“ დიდი ტრადიციებით ვერ დაიკვეხნის. კლუბს პრემიერლიგაში საერთოდ არ უთამაშია. „ამის გამო ნაკლებ სავარაუდოა, რომ აქედან რამე გამოვიდეს“ — განაცხადა „მანჩესტერ სიტის“ პრეზიდენტმა ჯო როილმა, რომელსაც ამ საკითხზე იქაურმა მედიამ კომენტარი სთხოვა.

გუშინვე ქინქლაძის გადაწყვეტილება ოფიციალურად დაადასტურა თავად ალან ბოლმაც. საგანგებო პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ მართლაც მიმართა ქინქლაძეს, „პორტსმუთში“ არენდით გადასულიყო, მაგრამ ქართველმა უარი განაცხადა.

28 ივლისს ქინქლაძე მანჩესტერში ჩავა, სადაც „სიტისა“ და „ევერტონის“ ამხანაგურ მატჩს დაესწრება. ეს „ცისფერთა“ მესამე საკონტროლო მატჩია. წინა ორ შეხვედრაში არც ცხადაძეს უთამაშია და არც შელიას.

სიმონ მენაბდე

ქეცბაია ნიუკასლში 2002 წლამდე დარჩება

ჰოლანდიურ ტურნეში გულიტმა შეუცვლელად მხოლოდ ხოტორა ქართველი ათამაშა

ბადრი კოთიაშვილის ფოტო

თემურ ქეცბაია

გუშინ ჰოლანდიიდან ინგლისში დაბრუნებულმა „ნიუკასლმა“ თავის წამყვან ფეხბურთელებთან კონტრაქტები გააგრძელა: ალან შირერი კლუბის ღირსებას 2004 წლამდე დაიცავს, თემურ ქეცბაია კი ნიუკასლში 2002 წლის ივნისამდე დარჩება.

კლუბის ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილებამდე ჰოლანდიურმა ტურნემ მიიყვანა, სადაც შირერმა და ქეცბაიამ საუკეთესო თვისებები გამოავლინეს.

პირველ საკონტროლო შეხვედრაში „ნიუკასლი“ ეინდჰოვენის „დენ ბოშს“ დაუპირისპირდა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი მატჩი ტურნეში, რომელიც გულიტმა ექსპერიმენტული შემადგენლობით გამართა. „ნიუკასლმა“ 3-4-3 სისტემით ითამაშა და გუნდის ახალწვეულების — მაკლინისა და კოპინგერის გოლებით 2:1 იმარჯვა.

მეორე შეხვედრაში „დურნეს“ წინააღმდეგ გულიტმა ასეთი შემადგენლობა გამოიყვანა: პერესი, შარვე, მარსელინო, გომა, დუმასი, სერანტი, სპიდი, დუე, შირერი, მარიჩი და ქეცბაია. პირველი ნახევარი „ნიუკასლმა“ შირერისა და ბარტონის გოლებით 2:0 მოიგო. აღსანიშნავია, რომ ორივე საგოლე გადაცემა ქეცბაიამ გააკეთა.

მეორე ტაიმში გულიტმა ქეცბაიას და მარიჩის გარდა ყველა შეცვალა. დანარჩენი ორი გოლი კი, როგორც წინა მატჩში, მაკლინმა და კოპინგერმა გაიტანეს.

მესამე შეხვედრაში „ნიუკასლის“ წინააღმდეგ ჰოლანდიის მეორედივიზიონელი „ჰელმონდსპორტი“ წარდგა. გულიტის რჩეულები ასე გამოიყურებოდნენ: პერესი, გრიფინი, შარვე, გომა, დუმასი, დომი, მაკლინი, დუე, ანდერსენი, კერი, ქეცბაია. ანგარიში მე-19 წუთზე „მილანიდან“ ნაყიდმა ანდერსონმა გახსნა. ერთ წუთში „ნიუკასლს“ გრიფინი გაუგდეს, თუმცა ათმა ნიუკასლელმაც კარგად გაართვა საქმეს თავი. მატჩის მიწურულს ქეცბაიამ ოსტატური დარტყმით მეორედ დალაშქრა ჰოლანდიელთა კარი და „ნიუკასლმაც“ 2:0 მოიგო.

გუშინ „ნიუკასლი“ შოტლანდიაში გაემგზავრა, სადაც ოთხ თამაშს ჩაატარებს.

სიმონ მენაბდე

მოლდოვიდან ყვავილნარში რკინიგზით

12 აგვისტო თბილისის „ლოკომოტივისთვის“ გამორჩეული დღე იქნება — რკინიგზელები თავიანთ პირველ ოფიციალურ შეხვედრას გამართავენ ევროპულ სარბიელზე. „ლოკომოტივის“ მიზანი, ბუნებრივია, წარმატებული დებიუტია. ჰოდა, კლუბიც გამალებულ სამზადისშია. ყველაზე მეტად დატვირთული გუნდის მთავარი მწვრთნელი მურთაზ ხურცილავაა — სპეციფიკური ვარჯიშების ორგანიზება, გუნდისთვის სასურველი ფეხბურთელების ძიება, საქმეში ნახვა. ერთი სიტყვით, ხურცილავა ერთობ მოუცლელია. თანაც ჯერაც დაუბალანსებელია „ლოკომოტივის“ ძირითადი ბირთვი, გუნდის სასურველ კონდიციამდე მიყვანას კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება, რაც ამასწინდელმა საკონტროლო შეხვედრებმაც ცხადჰყო („ლოკომოტივი“ დიდი ანგარიშით დამარცხდა ორ მატჩში — „დილასთან“ 0:3 და „თბილისთან“ 1:5)

დაცვის ხაზში პრობლემების აღმოსაფხვრელად ხურცილავამ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. მისი ინიციატივით რკინიგზელებმა რამდენიმე დღის წინ დიმიტრი არსოშვილი დაიმატეს. მოგეხსენებათ, ეს ფეხბურთელი ადრეც თამაშობდა „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში და არცთუ ურიგოდ, შემდეგ კი გუნდის ხელმძღვანელობასთან უთანხმოება მოუვიდა და კლუბის დატოვება მოუხდა. არსოშვილი საქართველოში აღარ გაჩერებულა და მოლდოვურ „შერიფს“ მიაშურა. იქაც კარგი მცველის სახელი დაიგდო და მოლდოვის თასის მფლობელიც გახდა. არსოშვილი წლეულსაც „შერიფში“ აპირებდა თამაშს, მაგრამ ბოლო წუთს კლუბთან კონტრაქტის გაფორმება აღარ ისურვა (თუმც შესაძლებელია, სამომავლოდ იგი კვლავ დაუბრუნდეს მოლდოვის თასის მფლობელს) და „ლოკომოტივში“ აღმოჩნდა. სხვათა შორის, ხურცილავას ადრეც უმუშავია არსოშვილთან, როცა იგი თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, ხურცილავა კი საქართველოს ათგზის ჩემპიონებს (მაშინ ცხრაგზის) თავკაცობდა.

„ლოკომოტივი“ ალბათ, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდება. მწვრთნელები თითოეულ მათგანს დააკვირდებიან და გადაწყვეტილებასაც შემდეგ მიიღებენ.

როგორც იცით, რკინიგზელები მოსამზადებელი ეტაპის დაწყების დღიდან თბილისში, „ლოკომოტივის“ ბაზაზე გადიოდნენ წვრთნას, დღეიდან კი გუნდი გასვლით შეკრებაზე გადავა — საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორი ყვავილნარში გაემგზავრება და იქ 12 დღეს დაჰყოფს.

— ჩვენი მიზანი ნაყოფიერი შეკრების მოწყობა და რაც შეიძლება მეტი საკონტროლო მატჩის ჩატარებაა — განაცხადა მურთაზ ხურცილავამ.

ამ მხრივ „ლოკომოტივს“ პრობლემები არც შეექმნება, რკინიგზელებთან სათამაშოდ წინასწარ შეგულებულ „იბერიას“ გუშინ ფოთის „კოლხეთიც“ შეუერთდა.

— დიდი სურვილი გვაქვს, „ლოკომოტივს“ ამხანაგურად გავეჯიბროთ, თუ ხურცილავა წინააღმდეგი არ იქნება — თქვა ჩვენთან საუბარში კოლხთა თავკაცმა, გია ტყებუჩავამ.

ბაატა კვანტალიანი

ნემსაძე რეჯინას რემონტს ელის

ჯერჯერობით კვლავ წინასწარი მოლაპარაკებებია საქართველოს ნაკრების კაპიტან გიორგი ნემსაძის სერია C-ს „რეჯანადან“ სერია A-ს „რეჯინაში“ გადასვლის თაობაზე.

ტრანსფერის გაჭიანურება კი ქართველის წისქვილზე სულაც არ ასხამს წყალს, რადგან „რეჯინას“ ახალმა მწვრთნელმა კოლომბამ თითქმის დაასრულა ახალი გუნდის დაკომპლექტება.

სერია A-ში გადასვლის შემდეგ „რეჯინა“ ცამეტმა ფეხბურთელმა დატოვა. მათ შორის ნემსაძის ამპლუის ექვსი მოთამაშეა: ბრიანო, პაგანი, პეკარიზი, ჩიავარო, ზილიანო და სუსი. თუ წინა ხუთი ფეხბურთელი სერია B-სა და C-ს კლუბებმა წაიყვანეს, სუსის ყველაზე მეტად გაუმართლა. იგი კარიერას „პერუჯაში“ გააგრძელებს.

კოლომბამ 20 ახალი ფეხბურთელი დაიმატა. მათ შორის 7 ნახევარმცველია: სბაგლია (ფროსინინედან), მორაბიტო (ვიჩენცადან), პეკარიზი (ჯულიანოვოდან), სტოვინი (ვიჩენცადან), ტასკა (პალერმოდან), ფოლიო (ატალანტადან) და მარჩელი (ფიდელის ანდრიადან).

აღსანიშნავია აგრეთვე „მილანიდან“ იანუცის, „ინტერიდან“ კალონის, „ტორინოდან“ პოსანზინისა და „ლაციოდან“ ბარონიოს გადასვლა.

ნემსაძე კი კვლავ ახალი გუნდის მოლოდინშია, „რეჯინას“ ვარიანტის გარდა, იგი შეიძლება ესპანეთის ან პორტუგალიის კლუბებშიც ვიხილოთ.

სიმონ მენაბდე



ბადრი კოთიაშვილის ფოტო

გიორგი ნემსაძე

ლენარტ იუჰანსონი: საქართველო მაჩანჩალოჯისთვის არ მემეტება

ემზარ ზენაიშვილი
ლინჩიოპინგიდან

ლენარტ იუჰანსონმა პირველი მატჩის შედეგი გამოიცნო და ინტერვიუც არ დაიზარა „სარბიელის“ მკითხველებისთვის უეფას პრეზიდენტის ლინჩიოპინგში ყოფნით როგორ არ ვისარგებლებდით და...

მან ჯერ თავი კი შეიკავა, თამაშზე მივდივარ და ინტერვიუს როდისღა მოვასწრებთო, მაგრამ საქართველოს ხსენებამ უმალ შეცვალა მისი პოზიცია — შესვენებაზე ვილაპარაკოთო.

საუბარი იმით დაიწყო, რომ მკითხა, რომელი გაზეთისთვის გსურთ ინტერვიუო. ისე დაინტერესდა, იფიქრებდით — საქართველოში გამომავალი ყველა თუ არა, სპორტული გაზეთების დასახელება მაინც სულ ზეპირად იცისო...

— ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ გაიხსენოთ 18 წლის ფეხბურთელი ლენარტ იუჰანსონი; როგორც მოთამაშე, რას წარმოადგენდით მაშინ?

— ეს ძნელი კითხვაა. ბევრი რამ აღარ მახსენდება. ის კი სულ მახსოვს, როცა წავაგებდით, ტირილით თავს ვიკლავდი, მოგების შემდეგ კი ღამეები არ მძინა. რა დაგიმალოთ და, იმ დროს ფეხბურთსაც საკმაოდ კარგად ვთამაშობდი.

— თქვენი აზრით, როდის ამჟღავნებს სრულად ფეხბურთელი თავის პოტენციალს?

— დღევანდელი ფეხბურთი ოდნავ ასაკოვანი გახდა. არადა, წარმოუდგენლად მატულობს ფიზიკური დატვირთვები, სისწრაფე. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელს შესაძლებლობების სრულად წარმოსაჩენად ოპტიმალური ასაკი 27-30 წელია.

— დიდი მადლობა იმ სიტყვებისთვის, თქვენს მისალმებაში ჩვენი ნაკრების მისამართით რომაა ნათქვამი. თქვენ იცნობთ ქართულ ფეხბურთს, იცით, რა მდგომარეობაა ჩვენს ქვეყანაში. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა საქართველოს გუნდის მოხვედრა ფინალში და როგორია მისი პერსპექტივა ამ ტურნირზე?

1997 წელი. ლენარტ იუჰანსონი თბილისში სტუმრობისას

გურგენ ფილიპოსიანის ფოტო

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და მის ყოფილ პრეზიდენტს დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ უეფაშიც და ფიფაშიც. სასიამოვნოა, რომ დღეს თქვენს ფედერაციას ახალგაზრდა, ნიჭიერი კაცი უდგას სათავეში. მე არ ვფიქრობ, რომ საქართველოს ნაკრები შემთხვევით მოხვდა შვედეთში. ჯგუფიც სოლიდური იყო და ჩეხებსაც ძლიერი გუნდი ჰყავთ. მჯერა, რომ თქვენი გუნდი გააოცებს მაყურებელსაც და სპეციალისტებს, მეტოქეებზე რომ არაფერი ვთქვა. თბილისის „დინამოს“ ტრადიციებზე აღზრდილ ფეხბურთელებს ცუდად თამაშის უფლება არ აქვთ.

— ოლიმპიური თამაშებისა და ფეხბურთის თემა ბოლო პერიოდში ერთობ აქტუალურია. წარმოჩნდება ოლიმპიურ თამაშებზე ფეხბურთი იმავე დონით, როგორც კალათბურთი ან ჰოკეი?

— ეს პრობლემა იოლად არ გადაწყდება. ამის თაობაზე კონტაქტები სოკსა და ფიფას წლების მანძილზე აქვთ. ვეჭვობ, ახლო მომავალში ეს საკითხი ისე მოგვარდეს, რომ ოლიმპიურ თამაშებში ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებმა მიიღონ მონაწილეობა. გასათვალისწინებელია მკაცრი კალენდარი, ფეხბურთელთა ფიზიკური შესაძლებლობები, კლუბებისა და სპორტსმენების ფინანსური პრობლემები და მრავალი სხვა.

— დაბოლოს, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი პროგნოზი.

— პრეზიდენტები პროგნოზებს არ აკეთებენ და თუ აკეთებენ, მართლდება კიდეც.

(აღარ შევახსენე უეფას პრეზიდენტს შარშან საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას რომ მითხრა — თუ ბრაზილია ფინალში გავიდა, უეჭველად ჩემპიონი გახდებაო)

— მაშინ პროგნოზს ფეხბურთის ვეტერან იუჰანსონს ვთხოვ...

— ამ თამაშში? ხომ ნახეთ, შვედებმა გვარიანად აჯობეს ფრანგებს პირველ ტაიმში. მეორეში ფრანგები კორექტივებს შეიტანენ თამაშში. ალბათ ფრე, 0:0 იქნება.

— ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი? როგორ განაწილდება მედლები?

— პროგნოზები ძნელი საქმეა. ოთხხუთ გუნდს აქვს შანსი, საპრიზო ადგილები დაიკავოს. მაგალითად, იტალიას, ესპანეთს, დღევანდელ მეტოქეებს.

— საქართველოს ნაკრები?

— კარგად ითამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ბოლო ადგილისთვის არ მემეტება.

უეფას პრეზიდენტი თავისი ადგილისკენ მატჩის საყურებლად გაემართა, თამაშის დამთავრებისთანავე კი აეროპორტისკენ გაეშურა.

იუჰანსონმა მატჩის შედეგი კი გამოიცნო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ შვედეთ — საფრანგეთის ნაკრებთა მატჩს ყველა შედეგი მოესადაგებოდა, მხოლოდ არა 0:0. ერთი სიამოვნება იყო ამ შეხვედრის ცქერა, შეხვედრისა, რომელშიც შვედებმა თავიანთი ლიდერების მატიას ლინდსტრიომისა და „მონაკოში“ მოთამაშე პონტუს ფარნერუდის წინამძღოლობით აშკარად დაჩაგრეს ფრანგები. და რომ არა მილანის „ინტერის“ სათადარიგო მეკარის სებასტიან კრეის ბრწყინვალე თამაში, ფრანგები დამარცხებას ვერ გადაურჩებოდნენ.

ნუ გავამართლებთ პროგნოზებს!

ქართველები ჩემოდნებს არ ალაგებენ

ემზარ ზენაიშვილი
მუტალადან

კვირას, 18 ივლისს, შვედეთ — საფრანგეთის მატჩიდან რომ ვბრუნდებოდით, ვახტანგ კოპალეიშვილი გულისტკივილით მეუბნებოდა, მერამდენე ტურნირისთვის ვამზადებ გუნდს, მაგრამ ასეთ ცუდ მდგომარეობაში არც ერთხელ ყოფილან ფეხბურთელები. საჭირო ფიზიკურ კონდიციამდე ჯერ კიდევ შორს ვართ, შეუთამაშებლობაც თვალში საცემია. არ ვიცი, აქ მოასპარეზე გუნდების ფონზე როგორ გამოჩნდებით. მართალი გითხრა, ღამეები არ მძინავსო.

მაშინ გავიფიქრე, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი თავს იკატუნებდა, მაგრამ იტალიასთან მატჩმა ცხადყო, რომ ამ რანგის ასპარეზობისთვის არც გუნდი ყოფილა მზად და არც ცალკეული ფეხბურთელები. პირადად ფაქტობრივად ამ შემადგენლობით გუნდის თამაში რამდენჯერმე მინახავს, მაგრამ ასეთ უსუსურ მდგომარეობაში არც ერთხელ.

ვიცოდით, რომ გარკვეული პრობლემები იქნებოდა ნახევარდაცვაში, გამთამაშებლის საკითხიც მწვავედ იდგა, დამატებითი პრობლემები შეიქმნა ლაშა ჯაკობიას არყოფნით, მაგრამ ნაკრების თითქოსდა ყველაზე საიმედო რგოლი — დაცვა — თუ ასე ჩაფლავებდა მატჩს, ამის გაფიქრებაც კი არ შემძლო. სწორედ ამ რგოლშია თავმოყრილი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების ოთხი მოთამაშე, ხუთიდან ოთხი!

პირველ რიგში კრიტიკული ფიალის ალავერდს ოთარ ხიზანეიშვილთან და ზურაბ ხიზანიშვილთან გადავდივარ. ნიჭიერებსა და გუნდის ლიდერებს გაცილებით მეტი მოეთხოვებათ. არ ვიცი, რისი ბრალია მათი ასეთი სუსტი თამაში, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. დარწმუნებული ვარ, გავა წლები, ოთარი და ზურაბი დაღვინდებიან ფეხბურთისთვის, ნამდვილ ოსტატებად იქცევიან და ამ მატჩის ვიდეოფირის ნახვას ნამდვილად არ მოისურვებენ. მიძნელდება ბოსკამპის მიერ „დინამოს“ მზადების მეთოდებზე საუბარი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩების თარიღებიც კარს მოგვადგა, ნაკრებსაც მალე მოუწევს თამაში და 19 ივლისს ჩატარებული მატჩით თუ ვიმსჯელებთ, ნაკლებად დასაჯერებელია, ერთმა ან მეორემ ისე ითამაშონ, როგორც ეკადრებათ.

ეროვნულ ნაკრებში მოასპარეზეთ ფონს არც ახალგაზრდულის ედიკ საჯაია „უფუჭებდა“. სოსო დევიძე გონიერი ფეხბურთელია, პასის კულტურაც აქვს და შეტევაში თამაშიც ეხერხება. სამწუხაროა, დაცვაში პირველ ტაიმში მისი ფრთა აღმოჩნდა დაუცველი, ყველაფერთან ერთად ყვითელი ბარათიც დაიმსახურა და მეორე ტაიმში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა.

გია იმედაძე (№17) ქართველთაგან ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა

ზურაბ ბათიაშვილის კლასი ყველასთვის ცნობილია, მაგრამ პირველ ტაიმში ნერვიულობდა, დაცვასაც როგორც საჭიროა, ისე ვერ ხელმძღვანელობდა, თითქოს შებოჭილი იყო. თუმცა გაშვებულ ბურთებში მისი დადანაშაულება ძნელად თუ შეიძლება. მეორე ტაიმი გაცილებით უკეთ წარმართა.

საქართველოს ნაკრებმა თამაში ისეთი სქემით დაიწყო — 4-3-2-1 — რომ თავისთავად ითხოვს დიდ მობილურობას, შესანიშნავ ფიზიკურ მომზადებას, შეთამაშების მაღალ დონეს. ნახევარდაცვა უკიდურესად უსისტემოდ გამოიყურებოდა, იფიქრებდით, ეს გუნდი დღეს პირველად შეიყარა მოედანზეო. ვერც ლევან კორღალიძემ და ვერც ლაშა ნოზაძემ ვერ გაართვეს თავი ამოცანას — რაღაც დონით მაინც აეღოთ თავიანთ თავზე გამთამაშებლის ფუნქცია და ამასთან მაქსიმალურად „აეთვისებინათ“ მოედნის ის სივრცე, რომელიც წინ ეულად მყოფ გია იმედაძესა და ნახევარდაცვის ძირითად ბირთვს — მენთეშაშვილს, დიღმელაშვილსა და გველესიანს შორის იქმნებოდა. ეს სამეულიც ზედმეტად ფუსფუსებდა, ერთმანეთს ხელს უშლიდა, მატჩის კონსტრუქციულ, კომბინაციურ ჩარჩოებში ჩაყენებას ნაკლებად ცდილობდა.

ნაკრების თამაშს აშკარად აკლდა სილაღე და სიხალისე, სიმსუბუქე, რომელიც კლასის მაჩვენებელიცაა და კარგი ფიზიკური მომზადებისაც. მთელი პირველი ტაიმი საოცარი ტექნიკური წუნით წარიმართა — ბურთის მიღება, გაჩერება, პასი. გადაცემების 60 პროცენტზე მეტი უზუსტო იყო. დაცვაში ხშირად ვთმობდით ბრძოლას მაღალი ბურთისთვის. მოკლედ ყველა საფეხბურთო კომპონენტში მეტოქე უკეთესად და უფრო სიმპატიურად გამოიყურებოდა.

არადა, იტალია ნამდვილად არ არის იმ რანგის ნაკრები, კარგ ფორმაში მყოფ ჩვენს გუნდს მასთან თამაში გასჭირვებოდა. აკი ვახტანგ კოპალეიშვილი თბილისშიც ამბობდა და აქაც თქვა მატჩის შემდეგ:

— იტალია არაა ფავორიტი, მასთან თამაშიც შეიძლებოდა ნორმალურად და შედეგიც უკეთესი იქნებოდა მომავალი მატჩების მეტოქეებს გაცილებით მაღლა ვაყენებ, ვიდრე ჩვენს დღევანდელ მოწინააღმდეგესო.

მეორე ტაიმში გუნდი ოდნავ დალაგდა, პირველი ნახევარი საათი შედარებით უკეთ ითამაშეს. მუჯირის შესვლამ მარცხენა ფრთა რომელიც პირველ ტაიმში ტორინოელმა ფრანკო ჩემიოლიმ აიკლო რამდენადმე გაამაგრა.

74-ე წუთზე ბრწყინვალედ თამაშობს იმედაძე, იუველური პასი და კორღალიძე, საჯარიმო მოედნის ცენტრში კარიდან 8-10 მეტრის დაშორებით ფაქტობრივად თავისუფლად მყოფი ვერ იყენებს ასპროცენტიან შანსს.

ამის შემდეგ გუნდი ისევ მოიშალა. ნერვიულობა, უაზრო აჩქარება, ზურგის გაშიშვლება და დაიწყო „ავანტურისტული“, თამაში „ვაბანკზე“ წასვლა. ბოლო თხუთმეტ წუთში რამდენჯერმე აღმოჩნდნენ იტალიელები ან მარტო ბათიაშვილის, ან სამნი ერთი მცველის წინააღმდეგ. დაღლილ ქართველებს სხარტი იტალიელები სისწრაფეშიც სჯობნიდნენ და ორთაბრძოლაშიც. იყო მეკარის ნახტომები, საოცარი აცილებანი, ერთი ორჯერ ჩვენი გუნდი კარის ძელმა იხსნა. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე სწორედ მეკარესთან პირისპირ გასვლით გავიდა მეორე ბურთი.

მატჩის შემდეგ ვახტანგ კოპალეიშვილმა კითხვაზე, ვის გამოყოფდა გუნდში, მიპასუხა — მე საერთოდ ვერიდები პერსონალურად ვინმეს აღნიშვნას. დღეს კი, თავადაც უყურებდით, განა ვინმეს გამოყოფა შეიძლება?

ვეთანხმები მთავარ მწვრთნელს, მაგრამ მაინც ვიტყვი — სუსტად მოთამაშე ფეხბურთელთა შორის შედარებით ნაკლებად სუსტად გია იმედაძე გამოიყურებოდა. ბურთთან შესაშური გაშინაურება, სხეულის საოცარი მოქნილობა და ელასტიურობა, მოედნის ხედვის უნარი, პასის კულტურა და კიდევ მრავალი სხვა საფეხბურთო კომპონენტი, რომელთაგან ბევრი დახვეწასა და დაოსტატებას მოითხოვს, ამ ჭაბუკს დიდი ფეხბურთელობის პერსპექტივას ნამდვილად აძლევს. მან ერთი ორჯერ ტაშიც მოსწყვიტა ტრიბუნებს. ერთიც კია, გიას მისამართით ბოლო პერიოდში თვით ნაკრების მწვრთნელთა დონეზე მრავალჯერ გაისმა კომპლიმენტი, ჯერ კიდევ ავანსად ბევრი საქებარი სიტყვა ითქვა. ეყოფა კი ნებისყოფა, ამ ყველაფერმა უკუფექტი არ გამოიღოს, ეგრეთ წოდებულმა „მარიაჟულმა“ ქცევებმა, „ნიჭიერების“ კომპლექსმა არ შეაჩეროს მისი წინსვლა. აქ ბევრი რამ მასზეა დამოკიდებული, ბევრიც მწვრთნელებზე, ბევრიც მის გარემოცვაზე და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებზეც.

თენგიზ კაციამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჩემოდნების ჩალაგებას არ ვაპირებთ, ჩემპიონატი გრძელდება და შევეცდებით, ქართული ფეხბურთის ნამდვილი ძალა ვაჩვენოთო.

ვნახოთ, რა რეზერვებია გუნდში, რის ხარჯზე გაძლიერდება როგორც გუნდური, ისე ცალკეულ ფეხბურთელთა თამაში. დღეს ხომ მათი მეტოქე ჩემპიონატის ფავორიტი, ერთობ სპეციფიკური მანერით, განსაკუთრებით თავდასხმაში, მოთამაშე ირლანდიელები არიან.

კიდევ ვიმეორებ, ქართული ფეხბურთის განვითარებას, ცხადია წერტილი არ დაესმება, თუ შვეიცარიაში ჭაბუკთა ნაკრები ვერ აჯობებს იტალიელებსა და ირლანდიელებს, ესპანელებსა და ფრანგებს. ამის გამო ტრაგედიას ნუ შევქმნით, მაგრამ ქართული ფეხბურთის დღევანდელი დონე, მისი ტრადიციები იმის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა, ღირსეული მეტოქეობა გაუწიოთ ყველას. ჩვენი ფეხბურთის იმიჯს გაფრთხილება სჭირდება და ისღა დაგვრჩენია, ვისურვოთ რომ ჯგუფში დარჩენილ ორ მატჩში ჩვენმა ფეხბურთელებმა სწორედ ასეთი განწყობითა და სულისკვეთებით იბრძოლონ.

ეს აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ არ გამართლდეს პროგნოზი — ჩვენ ხომ აუტსაიდერებად გვთვლიან. ამ პროგნოზის გამოძახილია ალბათ ისიც, რომ „ევროსპორტის“ მიერ გადასაცემად დაგეგმილი ექვსი მატჩიდან არც ერთი არაა ჩვენების მონაწილეობით. იგივე მდგომარეობაა „სპორტ ტევზე“ ადგილობრივი არხით.

ევროპის 18-ფლამდელთა ჩემპიონატი

B ჯგუფი

I ტური

მუტალა 19 ივლისი
იდროტსპარკი (483 მაყურებელი)

იტალია 2:0 საქართველო

1:0 რინალდინი (20), 2:0 სემიოლი (90)
იტალია: ბაგეკანი, ბლასი, კასელი, კოლუჩი, ფისორე, ლაქერი, რინალდინი, როსეტი, სემიოლი (ოლივი 90), სგრინა (გრაფიედი 76), ტური (ფაბრისი 57)
საქართველო: ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ზ. ხიზანიშვილი, ე. საჯაია, დევიძე (ჯ. მუჯირი 46), მენთეშაშვილი, დიღმელაშვილი, ო. გველესიანი, ლ. ნოზაძე (ლ. ბურდული 64), იმედაძე, კორღალიძე (გ. მიქაძე 76)
გაფრთხილება: დევიძე (40), ბლასი (65), რინალდინი (68)
მსაჯი: ტ. მიკულსკი (პოლონეთი)

ატვიდაბერგი 19 ივლისი
კოპარვალენი (657 მაყურებელი)

ესპანეთი 0:1 ირლანდია

0:1 კროსლი (60პ)
ესპანეთი: იკერი, პატო ბერნალი, დელ პორნო, გარსია ხარო, ლოპო გარსია, მიგელ გარსია, კამაჩო, მარიო (რობერტო 60), ფოფრეი (სანჩესი 76), გალიარდო (სანტამარია 60), აგანსო
ირლანდია: დ. ფილანი, ფროსტი (ჯ. მერფი 46), გევინი, კლარკი, ო ჰალორანი, მილერი, კროსლი, ჰელი, პარტრიჯი, დოჰერტი, ბეკერი (ბარეტი 86)
გაფრთხილება: ფროსტი (21), მილერი (56), ფოფრეი (57), იკერი (59), აგანსო (64), გევინი (72)
მსაჯი: ე. ზური (ისრაელი)

იტალია	1	1	0	0	2:0	3
ირლანდია	1	1	0	0	1:0	3
ესპანეთი	1	0	0	1	0:1	0
საქართველო	1	0	0	1	0:2	0

B ჯგუფი

II ტური

შვედეთი 1:3 პორტუგალია

0:1 ტონელი (22), 1:1 მოტა (28ს.კ.), 1:2 ფოპო პაულო (33), 1:3 კანდიდო (70)

საფრანგეთი 1:1 საბერძნეთი

0:1 მარშალი (18ს.კ.), 1:1 მალბრანკი (90)

ენდელაძე და უცნაური ხობელები

მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის გახსნამდე თვეზე ნაკლებია დარჩა და, რა თქმა უნდა, გუნდებმა კარგა ხანია, სერიოზული მზადება დაიწყეს, მაგრამ საქართველოში უცნაურ ხალხს რა გამოლევს.

სწორედ რომ უცნაური შეიძლება უწოდო ხობის „კოლხეთს", გუნდს, რომელმაც შარშანდელი დაძაბული და შედეგიანი სეზონის შემდეგ პირველი ჯგუფის კარები შემოაღო.

დებიუტანტი გუნდისთვის პირველი სეზონი ძნელი გადასატანია და იმის მაგავრად, რომ დროულად დაეწყოთ მზადება და ბრძოლისუნარიანი გუნდი შეეკრიბათ, იცდიან. უცდიან, მაგრამ ვის და როდემდე?

არადა, ამ რამდენიმე ხნის წინ ხობელები მეტად და მეტად ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი. ფინანსურ დახმარებას ელოდნენ, ამის მერე რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას, სტადიონის რეკონსტრუქციას და უკვე 5 ივლისიდან ოფიციალურ შეკრებასაც ვარაუდობდნენ.

მაგრამ რა... დღეს ხობში რადიკალურად შეცვლილი სიტუაციაა. ფეხბურთელები თავისთვის ვარჯიშობენ. როგორც აქამდე იყო, ფრიდონ გოცირიძეც მათთან ერთად იმყოფება, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. თანაც ეს ფეხბურთელებიც ადგილზე დარჩებიან თუ არა, ჯერ კიდევ არავინ იცის. არც ერთი კონტრაქტი არ გაფორმებულა. ჯერ ფინანსური პრობლემები მოგვარდეს და მერე შეიძლება კონტრაქტებზე და ვარჯიშზე ლაპარაკი — ამბობენ „კოლხეთის" ხელმძღვანელები.

ამ დღეებში ხობში ზვიად ენდელაძე გამოჩნდა. შეგახსენებთ, რომ მან ბოლო წლებში საქართველოში რამდენიმე გუნდი გამოიცვალა. შარშანდელი სეზონის პირველი წრე ზუგდიდში გაატარა და გუნდის ბომბარდირიც იყო, მერე ფინანსური პრობლემების გამო მოუხდა „ოდიშის" დატოვება და ზესტაფონში გადაბარგდა, „მარგვეთს" პირველი ჯგუფის საგზურისათვის ბრძოლაში ეხმარებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ეტყობა, ზვიადს მოსწყინდა მეორე ჯგუფი და გადაწყვიტა, კვლავ პირველ ჯგუფში მოესინჯა ძალები. სწორედ ამისთვის ჩამოვიდა ხობში, მაგრამ იმ ორი დღის განმავლობაში, რაც მან სამეგრელოში გაატარა, შედეგს ვერ მიაღწია.

ვერაფრით იტყვი, რომ ხობელებს ზვიად ენდელაძის დარი ფეხბურთელი არ უნდათ. არა, მასზე უკეთეს მოთამაშეს, ალბათ, ვერც იშოვიან და ვეტერანი ფეხბურთელის ფასი ძალიან კარგადაც იციან, მაგრამ ხობში არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი კაცი, ვინც ზვიადს ფინანსების შესახებ

ბადრი ბერიძის ფოტო

ზვიად ენდელაძე ხობელთა წინადადებას ამაოდ ელოდა

დაელაპარაკებოდა და გარანტიებს მისცემდა... და ისიც წავიდა.

დრო კი მიდის. თუ ასე გაგრძელდა და ხობელებმა თადარიგი არ დაიჭირეს, საეჭვოა ამ სეზონში რაიმე მიზნებზე ლაპარაკი. და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, თუ ხობელებმა საერთოდ დაიწყეს ჩემპიონატი, ალბათ, რჩეულთა შორის ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებათ.

თენგიზ ქოჩუა ხობიდან

ბალახის ნათრით

შაბათს, 17 ივლისს, ფოთის „კოლხეთი" ამხანაგურად სამტრედიის „იბერიას" გაეჯიბრა და საკმაოდ იოლად 3:0 სძლია. ეს მატჩი სამტრედიელთა საწვრთნელ ბაზაზე, დიდ ჯიხაიშში, ან „იბერიის" მთავარ სარბიელზე — „ეროსი მანჯგალაძეზე" უნდა გამართულიყო, მაგრამ...

ბაზაზე უხარისხო მინდორი ყოფილა, ხოლო „ეროსი მანჯგალაძეზე" კი სამტრედიელებს სასუქი დაუყრიათ, მოედანზე ნოყიერი ბალახი ამოვიდესო... ამიტომ მატჩი ფოთში, „ფაზისზე" შედგა.

გუნდები ოპტიმალური შემადგენლობით არ თამაშობდნენ, სასურველი შემადგენლობის ძიებაში გია ტყებუჩავაც და სოსოს ფრუიძეც სათადარიგოებს მიენდვნენ. როგორც ანგარიშიდან ჩანს, სათადარიგოებმა ტყებუჩავას უფრო გაუმართლეს.

„კოლხეთში" დღესდღეობით ახალწვეულებიც არიან. თავდამსხმელები დათო გოგოლაძე და გიორგი სიმონიშვილი ბოლოს თსუ-ში იყვნენ. ეს უკანასკნელი ადრე ჩეხეთშიც კი ბურთაობდა. „იბერიასთან" ორივეს უთამაშია და კოლხთათვის ისე მოუწონებიათ თავი, მათი „კოლხეთში" დარჩენა ფაქტობრივად გადაწყვეტილიც კი ყოფილა, თუ სასწაული არ მოხდა, სიმონიშვილს და გოგოლაძეს აუცილებლად დავიტოვებთო. ისემოეწონებოდათ აბა, რა, სიმონიშვილმა სამტრედიელებს სადებიუტო მატჩში ხომ 2 ბურთი გაუტანა. ერთიც გიორგი კრასოვსკიმ შეაგდო. თუმცა, ერთი თამაშით რომ ძნელია ფეხბურთელის შეფასება, ფაქტია. რაც შეეხება დათო გოგოლაძეს, იგი გასული ჩემპიონატისმეორე წრიდან მშვენივრად მოერგო სტუდენტურ კლუბს, გოლებიც ხშირად გაიქნა და [illegible] კალხებმა ამოიოხვა [illegible] გოგოლაძეს, და მისი მეშვეობა, თავდასხმის ხაზში გაჩენილი პრობლემების აღმოფხვრას შეეცდებიან.

ფოთელთა კიდევ ერთი ახალწვეული, მცველი იგორ ჭოხონელიძეა. იგი გასულ სეზონში „ვიტ ჯორჯიაში" ირიცხებოდა, მაგრამ მწვანე მინდორზე გასვლა იშვიათად უწევდა. ამიტომაც გაუწევია იგორს ფოთისკენ, მინდა, თქვენთან ვითამაშოო. როგორც ფოთელთა მწვრთნელმა, გია ტყებუჩავამ გვითხრა, ჭოხონელიძეც, ალბათ, გუნდში დარჩება.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია დავით ხუჭუას ფოთელობაც. იგი, როგორც იცით, „კოლხეთს" ინტერტოტოზე ეხმარებოდა, მერე კი სამტრედიაში დაბრუნებულა, თან ზღვისპირელთათვის თავის გულისწადილი დაუტოვებია, „კოლხეთში" მინდა თამაში, ძალიან მსურს, აქ დავრჩეო. თუ სამტრედიელთა პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლაიშვილს ვერწმუნებით, ხუჭუა „იბერიაში" არაა, იგი „კოლხეთში" ითამაშებსო.

— გუნდში დღესდღეობით 40 ფეხბურთელი ისინჯება. რა თქმა უნდა, ფაქტობრივად შერჩეული მყავს ის ხალხი, ვინც „კოლხეთში" დარჩება. ახლა, 22 ივლისს, „ბათუმს" სტუმრად ვეთამაშებით, იქაც საბოლოოდ დავაკვირდები და 26-დან უკვე იმ ხალხთან დავიწყებ მუშაობას, რომლებიც XI ჩემპიონატისთვის გამომადგებიან. „კოლხეთში" 22 ფეხბურთელი დარჩება — გვითხრა ტყებუჩავამ.

გიორგი ვაშაკიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

«ა» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
დინამო *იოსიან ბოსკამბი*	ლ.მიქაძე(თბილისი),ა.მუჯირი,ტულუში(ბათუმი),გვარამაძე(კრილია სოვეტოვი, რუსეთი),სოლოლაშვილი(დილა),კვარაცხელია(თბილისი),მ.მაჭავარიანი,შ.ჩომახიძე (?)	ს.გიგაძე,ვ.გიგიაძე(იბერია),გ.შენგელია(დინამო),ჭიჭვეიშვილი,სიჭინავა,ხომერიკი(ბათუმი),ზ. ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(თბილისი),თ. კობიაშვილი,შაშიაშვილი (თსუ),ლომაია(მერანი),დევაძე(ირონი,ანდოდი,ისრაელი),გრიშინაშვილი(ალანია, რუსეთი),დონდეტი(ლოკერენი,ბელგია),დე სოუზა(გუარანი,ბრაზილია)	ერეგნი (სომხეთი) 0:0, ქიფაში (ბულგარეთი) 1:1, ტორპედო 3:1, ჰოვარდმ (ჰოლანდია) 10:0, რაპიდი (რუმინეთი) 1:2, ჰერაკლესი (ჰოლანდია) 0:3, შტაინ ვეიფი (ჰოლანდია) 2:1, კლმარნოკი (შოტლანდია) 2:2
ლოკომოტივი *მურთაზ ხურცილავა*	ზ.არჩვაძე(ბათუმი),დ. მუჯირი(შერიფი,მოლდოვა),კ.გოგოლაძე(ერევანი,სომხეთი),მარლიშვილი,ხორგუაშვილი (დილა), შ. ხუჯაძე (ტორპედო), კოტორაშვილი (ვიტ ჯორჯია),გოგობერიშვილი(ანჟი, რუსეთი),დოლაბერიძე,დაუშვილი, ქოიავა,გ. ლედუშაური,ვ. კილასონია(?)	ტრაპაიძე,კალანდაძე,მ.ქობულაძე,შავგულიძე(კოლხეთი),დავითნიძე(მერანი), ასლანაძე,გლუნჩაძე(სამგურალი),ვ.გველესიანი(არსენალი),მარამიძე,გოლეთიანი (ლარნაკელი),ოდიშარია(ცხუმი),არსოშვილი(შერიფი,მოლდოვა)	დილა 0:3, ცხუმი 5:0, თბილისი 2:1, 1:5
ბათუმი *ჯანი კარნეველე*	თორლაშვილი (თამაში მიატოვა), ჭიჭვეიშვილი, სიჭინავა, ხომერიკი (დინამო), ვერემჩუკი(თბილისი), მაქაცარია,ჯულეეიშვილი,გუჯაბიძე,ქუტიძე(?)	ზ. არჩვაძე (ლოკომოტივი), გელა ქორიძე (მერანი), ტულუში, ა. მუჯირი (დინამო), იბახტაძე (კოლეჯი)	კოლხეთი 4:1, ტორპედო 0:4
ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	ვ.მაისურაძე(ტორპედო),ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირჯიშვილი(თსუ), ქემოკლიძე(თბილისი), ჭოხონელიძე (კოლხეთი)	კოტორაშვილი(ლოკომოტივი),ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(დილა),გ. მეტრეველი(აკადემია)	გარეჯი 13:0, დილა 2:1, 3:4
არსენალი *დავით ჩახავა*	ჩლაიძე(თბილისი),ვ.გველესიანი(ლოკომოტივი)	გონჩაროვი(თსუ),კუპატაძე,ვ. გაგუა,კვირკველია,კოხრეიძე(არსენალი-2)	არსენალი-2 4:2, 1:1
სამგურალი *რევაზ ბურკაძე*	აფციაური(ერევანი,სომხეთი),ბურნაძე(ვანსფორი,თურქეთი),მახვილაძე(ტორპედო),ასლანაძე,გლუნჩაძე(ლოკომოტივი),ახალაძე(თსუ),გ.შენგელია(დინამო),გიორგობიანი(ლუჩი,რუსეთი),დარსაძე(იბერია),გ.კილასონია,ვოსკანოვი(?)	მ.ძოძუაშვილი(გურია),ბრეგვაძე,ფაიქიძე(სულორი),ი.ხაჭაპურიძე(მარგვეთი), ხელაძე(თამაში მიატოვებულიაქვნდა)	
სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	ისიანი(თბილისი),ლ.ამბიძე(მერანი)ლ.გაგუა,გუგუნავა,ძნელაძე,კ.გოდერძიშვილი,დ.ბერიძე,ტყავაძე,ჩალაძე(?)		
თბილისი *თთარ კორდალიძე*	ზ. ხიზანიშვილი,ხიზანეიშვილი(დინამო)	კვარაცხელია(დინამო),ბაჯელიძე(მერანი),ლ. მიქაძე(დინამო),ქემოკლიძე(ვიტ ჯორჯია),ნიკურაძე,რ. ჩხაიძე(გურია),ზამთარაძე,ებრალიძე(თსუ),ისიანი(სიონი), ჩლაიძე(არსენალი),ვერემჩუკი(ბათუმი)	ლოკომოტივი 1:2, 5:1, დილა 1:1

«ბ» ზონა	წასულები	ახალწვეულები	მატჩები
ტორპედო *დავით ყიფიანი*	კ. მეტრეველი,მაზანიშვილი(ტრანსფერზეარიან)	ვ.მაისურაძე(ვიტ ჯორჯია),შ.ხუჯაძე(ლოკომოტივი),მახვილაძე(სამგურალი), გოგიაშვილი(ჟემჩუჟინა,რუსეთი)	დინამო 1:3, დილა 5:1, ბათუმი 4:0
კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	მ.ქობულაძე,კალანდაძე,ტრაპაიძე,შავგულიძე(ლოკომოტივი),ე.გვასალია(ერევანი,სომხეთი),ამამუკელი,ჩადუნელი(?)	მერკვილიშვილი(მარგვეთი),შ. ჩხენკელი,ქუთელია,ჯლამაძე(ტრავმის გამოარ თამამობდნენ), რ. ჩხენკელი, ბურჭულაძე, გ. ქანტურია (კოლხეთი 2), ჯღარკავა (ფაზისი),დ. გოგოლაძე,სიმონიშვილი(თსუ),ჭოხონელიძე(ვიტ ჯორჯია),ხუჭუა(იბერია)	ცემენტარნიცა(მაკედონია) 2:4, 0:4, ბათუმი 1:4, იბერია 3:0
მერანი *სერგო გაბელაია*	ლომაია (დინამო), გელა ქორიძე (ბათუმი), ბაჯელიძე (თბილისი), დავითნიძე (ლოკომოტივი),ხუციშვილი(შერიფი,მოლდოვა),გ. კვეტენაძე, ბ. ამბიძე(?)	კ.სვანიძე(გურია), როსტაშვილი (თსუ), საბიაშვილი, ნაჭყეპია (ლარნაკელი), პ. ლურსმანაშვილი(ოდიში),ლ.ამბიძე(სიონი),ნ.ყიფიანი(თამაშიმიტოვებულიაქვნდა)	ცხუმი 4:2
იბერია *სოსო ფრუიძე*	ს.გიგაძე,ვ. გიგიაძე(დინამო),ხუჭუა(კოლხეთი),გ. დოლიძე(?)	დარსაძე(სამგურალი),ასათიანი(ტორპედო 2),?. მეტრეველი(ტორპედო 2,რუსეთი), ადეიშვილი(აკადემია),ხმალაძე,ოდიკაძე(უნივერსიტეტი იბერია)	კოლხეთი 0:3
დილა *მერაბ ხუციშვილი*	ბ.ჩიტაია,გ. ჩიტაია(ვიტ ჯორჯია),მდივანი(?)	სოლოლაშვილი(დინამო),მარლიშვილი,ხორგუაშვილი(ლოკომოტივი)	ლოკომოტივი 3:0, ტორპედო 1:5, თბილისი 1:1, ვიტ ჯორჯია 1:2, 4:3
გორდა *ბასონ ალადაშვილი*	რ.მახარაძე(მერცხალი),სიდამონიძე,ვ.მაჭავარიანი,კალმახელიძე,პ.მესხი(?)	ბუკია(თსუ),გ. ხიზანიშვილი(აკადემია),კ. პაპავა(ალგეთი)	ხალიბი 5:2
თსუ *კოტე დოლიძე*	თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი (დინამო), ბუკია (გორდა), ზამთარაძე, ებრალიძე (თბილისი), გონჩაროვი (არსენალი), როსტიაშვილი (მერანი), დ. გოგოლაძე, სიმონიშვილი(კოლხეთი),ჭუმბურიძე(?)	ახალაძე(სამგურალი),ვ.ქუთათელაძე,ერაძე,ღამბაშიძე,გვირჯიშვილი(ვიტ ჯორჯია),შ. მახარაძე(გურია)	
ხობი *ფრიდონ გოცირიძე*	ონიანი(ნისტრუ,ოტაჩი,მოლდოვა),ლ.გვაზავა(?)		

შენიშვნა: ტრანსფერთა უმრავლესობა ჯერჯეროობით საბოლოო არ არის

ოსეგი დემეტრაძეს არ ელაპარაკებიან

ერთი ქართული კომედიისა არ იყოს, გაუთავებელი მივლინებები, შეხვედრები, ბანკეტები... ლამის ასეა საქართველოს ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფორვარდ გიორგი დემეტრაძის ბოლოდროინდელი საქმე.

მას შემდეგ, რაც ჩვენებური რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის დაწინაურდა, თამაშის ხარისხი საგრძნობლად გააუმჯობესა, რუსეთშივე გასული თვის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ნაირ-ნაირი ეპითეტებით შეამკეს და ხმები დაირხა, ცნობილი ევროპული კლუბები მის სანაცვლოდ „ალანიას“ არც მეტ, არც ნაკლებ, 10 მილიონ დოლარს სთავაზობენო, გიგუშა, იგივე დემე, იგივე დემიგოლი ერთობ მოუხელთებელი გახდა.

რა ხანია, მასთან ინტერვიუ გვაქვს ჩაფიქრებული. შინ ვურეკავდით, ვლადიკავკაზშიაო, გვპასუხობდნენ, „ალანიას“ კოდს ავკრეფდით და, თბილისიდან ახლა დაბრუნდა, ისვენებსო, გვეუბნებოდნენ კლუბის თანამშრომლები. მერე ვარჯიში, ალდგენითი პროცედურები, სტუმრად თამაშებიო... კაი გვარიანი საფიქრალიც გაგვიჩნდა. თბილის-ვლადიკავკაზ-რუსეთის სხვადასხვა ქალაქებს შორის გამოკიდებული გიორგი დემეტრაძის ხმა სანატრელი გაგვიხდა. არადა, ბოლო ხანს რუსული პრესა კი აჭრელდა ჩვენებურის ინტერვიუებით. ეგ რა სათქმელია და რუსი ჟურნალისტები დემეტრაძის საფეხბურთო ოსტატობის ცალ-ცალკე კომპონენტებად შეფასებასაც აღარ მოერიდნენ: თავით თამაში — 1 300 000, მკერდით ბურთის მიღება — 200 000, მარცხენა ფეხი — 2 000 000, მარჯვენა ფეხი — 3 500 000 და ბოლოს, მისი საფეხბურთო აზროვნება 3 მილიონი დოლარის ტოლფასიაო, წერდნენ ისინი.

ერთი სიტყვით, ახლა საფეხბურთო რუსეთში გიორგი დემეტრაძის ბუმია. დიდსა და პატარას, ყველას დემეტრაძის გვარი აკერია პირზე. ვლადიკავკაზში ქომაგთ სულაც პლაკატები გაუკრავთ, გიორგი, „ალანიას“ ბოლო იმედი ხარ, არსად წახვიდეო.

ბუნებრივია, ეს ყოველივე ჩვენთვისაც სასიამოვნოა.

ბუნებრივია, ეს თავად გიორგისაც სიამოვნებს.

ეს ინტერვიუც, დემიგოლს ვლადიკავკაზში ტელეფონით რომ ვთხოვეთ, მისი გულითადობის დასტურია.



ბაბრი ჯიმლაძის ფოტო

დემეტრაძის ნება რომ იყოს, იტალიაში ითამაშებდა

— ძნელია პოპულარობა?

— სიძნელისა რა გითხრათ, მაგრამ სასიამოვნო ნამდვილად არის. ხალხი ქუჩაში მცნობს, მაჩერებენ, ავტოგრაფებს მთხოვენ. მანქანით რომ ვლადიკავკაზში გავივლი, ხელს მიქნევენ, მესალმებიან. პლაკატებიც გაჭიმეს, დარჩენას მთხოვენ, გუნდის ხელმძღვანელობასაც მიმართავენ, დემეტრაძეს ნუ გაუშვებთო.

— თავად რას ფიქრობ? აპირებ „ალანიას“ დატოვებას?

— ჩემზე არაა დამოკიდებული, გაზავისა და უფროსების გადასაწყვეტია. თუმცა, ცხადი კი არის, რომ სხვა გუნდში გადავალ. საკითხავი ისღაა — როდის? ან სეზონს ჩამამთავრებინებენ და მერე გამიშვებენ, ან უახლეს მომავალში. წინადადებები იცოცხლეთ, ბევრი მაქვს, ასარჩევადაც კი.

— და სად გირჩევნია?

— იტალიაში. ჩემი ნება რომ იყოს, სწორედ იტალიაში გავაგრძელებდი თამაშს, თუმცა ყველაზე რეალურად ინგლისური და ესპანური კლუბები მეჩვენება.

— აკი ფრანგული „ოსერი“ 10 მილიონს იხდისო?

— მე არავინ მეუბნება რომელ კლუბს სურს ჩემი შეძენა. მხოლოდ ქვეყნებს ამბობენ. ახლაც, რამდენიმე წუთის წინ მითხრეს, გერმანიიდან მოვიდა ფაქსი, იქიდანაც გეპატიჟებიანო.

— კლუბის სახელებს რატომ არ გიმხელენ?

— რა ვიცი, ეტყობა ეშინიათ. მათგან დამოუკიდებლად არ გავაბა მოლაპარაკებები. ვერ გამიგია, უმაგათოდ ხომ მაინც ვერაფერს გავაკეთებ.

— „ალანია“ მართლა 10 მილიონ დოლარად გაფასებს?

— ხომ გითხარით, მე არავინ არაფერს მეუბნება. აქაური გაზეთები კი ამ ციფრს წერენ.

— რაკი ასეა, იმასაც წაიკითხავდი, სათამაშო უნარი სულ ნაწილ-ნაწილ რომ შეგიფასეს. როგორ ფიქრობ, სწორედ სათამაშო აზროვნებაა შენი კოზირი?

— ეგ ჟურნალისტების თვალით. მე კი მიჭირს საკუთარ თავზე ლაპარაკი, გარედან უკეთ ჩანს რას, როგორ ვაკეთებ. თუმცა, ალბათ უფრო ტექნიკით გამოვირჩევი. რუსების ხისტ თამაშს, ამით ვპასუხობ. ხან გამდის, ხან — არა. ისე, დარტყმითაც კარგად ვურტყამ... მარჯვენა ხომ სამმილიონ ნახევრად შემიფასეს.

— ხშირად პენლტებით გაგაქვს ბურთები. 14 გოლიდან რვა მეტისმეტი არაა?

— ასეა, თუმცა შვიდჯერ სწორედ ჩემს წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დანიშნული პენალტების შემდეგ გავიტანე. იმ ეპიზოდებში კი, ჩემს წინააღმდეგ წესი რომ არ დაერღვიათ, ვინძლო თამაშიდანაც გამეტანა. თანაც ამასაც ხომ შესრულება უნდა. ყველაფერი თანდაყოლილი ნიჭის შეგვიძია, ძალიან მიხარია, ჯერ რომ პენალტი არ გამიცუდებია.

— ჯარიმებიდანაც ხშირად გაგაქვს.

— საჯარიმოების შესრულების ნიჭი მაქვს, შრომა კი დანარჩენს აკეთებს. როგორც შემიძლია ვურტყამ ბურთს. მარცხენა ფლანგზე დანიშნულ თითქმის ყველა საჯარიმოც ჩემი საქმეა.

— ეროვნული ნაკრების თამაშებისას ჯარიმებს რატომ არ ურტყამ?

— ნაკრები სხვაა, კლუბი — სხვა. თუ დამავალებენ სიამოვნებით. ეროვნულ გუნდში გატანილი გოლი ხომ კლუბში გატანილს არ შეედრება.

— რუსეთში გატანილთაგან ყველაზე მეტად რომელი ბურთი დაგამახსოვრდა?

— მიჭირს თქმა. ყველა მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, ამას წინათ, მოსკოვში, ცსკა-სთან მატჩში მართლაც ლამაზი გოლი გავიტანე. სამწუხაროდ ის თამაში დიდი ანგარიშით წავაგეთ.

— ცსკა ახსენე და, „ალანიას“ დაღმასვლის პერიოდი ხომ არ დაიწყო?

— გააჩნია „როტორთან“ როგორ ვითამაშებთ ჩემპიონატის უახლოეს ტურში. ისე კი, მართლაც ეგრეა, გუნდი ცოტა არ იყოს აირია.

— მიზეზი?

— გაზაევმა უკეთ იცის. ალბათ გადაღლის ბრალია.

— ამბობენ, „ალანია“ მეტოქეებს მატჩის შედეგზე წინასწარ ურიგდებაო. მაგალითად, „ზენიტთან“ ვლადიკავკაზში ნათამაშევ ფრეს ასახელებენ.

— ჩაწყობილი რომ ყოფილიყო არ მოვიგებდით? რუსეთის ჩემპიონატში, წინასწარ გარიგება იშვიათად ხდება. არ ვლაპარაკობ მოსკოვის გუნდებზე, მათ ერთმანეთთანაც ტკბილ-თბილი ურთიერთობა აქვთ და სხვა ქალაქების გუნდებთან მსაჯებიც ხშირად ეხმარებიან. მოსკოვში არამოსკოვური გუნდის მოგება კი, ფაქტობრივად გამორიცხულია.

— გიორგი დემეტრაძე რომ სხვა ქვეყანაში თამაშობდეს, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელად ვის დაასახელებდა?

— მიჭირს ვინმეს გამოყოფა. ჯანაშია, პანოვი, სპარტაკელი ტიხონოვიც ამათ შორისაა. ბევრი კარგი ფორვარდია. ყველას თავისი კოზირი აქვს.

— შენ არ გიჭირს რუს ახმახ მცველებთან?

— მიჭირს რომელია, მაგრამ...

— მაგრამ...

— ფიზიკურად კარგად ვარ მომზადებული. ჯანი მომემატა, გაზაევს ეს არ ესწავლება.

— რუსებს ფიზიკური მომზადებით ვერ გააკვირვებ. კოჭებში არ გირტყამენ?

— გირტყამენო? ყოველი მატჩის შემდეგ ფეხები ჩალურჯებული მაქვს. თუმცა, სხვა რა გზაა, ვუძლებ.

— და ბოლოს, კიევის „დინამოზეც“ გკითხავ. ლობანოვსკი აღარ გირეკავს?

— არა. კიეველებმა საქმე უკვე კლუბთან დაიჭირეს. მათ რას ელაპარაკებიან არ ვიცი. ორი დღის წინ კი მითხრეს ლობანოვსკიმ დარეკაო, მაგრამ არც მაშინ დაუკონკრეტებიათ რაზე ისაუბრეს.

ძოგა ინასარიძე

გერეტსი გახოკიძეზე არც ჰოს ამბობს და არც არას

ბელგიელი სპეციალისტი, რომელიც ახალი სეზონის წინ ჩაუდგა სათავეში პსვ „ეინდჰოვენს“, ჯერჯერობით კონკრეტულ პასუხს არ იძლევა კითხვაზე, დარჩება ქართველი გოგა გახოკიძე გუნდში, თუ მას „ოვიედოში“ გაანათხოვრებენ.

წინასასეზონო სამზადისში „ეინდჰოვენმა“ სამი მატჩი გამართა. 9:0 მოუგო „ველოქს“, 10:0 „როდეს“ და 13:0 „ველდჰოფს“.

გახოკიძემ მხოლოდ „ველოქთან“ ითამაშა და მე-8 გოლიც გაიტანა. მომდევნო შეხვედრებში გერეტსმა ქართველი რატომღაც დაივიწყა.

ამასობაში კი ცნობილი გახდა, რომ ეინდჰოვენი შეიძლება ვატერეუსმა („სალერნიტანას“ სურს მისი გადაბირება), ხავიერმა (ვიგოს „სელტა“ ეპატიჟება) და ფინელმა კოლკამ დატოვონ. გერეტსი გახოკიძეზე ჯერჯერობით არც ჰოს ამბობს, არც არას.

სიმონ მენაბდე



გოგა გახოკიძე

რეზო ექსტრა კლასის ნახევარმცველიაო!

ვოლფგან ფუნკელი დარწმუნებულია, რომ რეზო არველაძე „ობერჰაუზენს“ ბუნდესლიგის საგზურს მოაპოვებინებს

გუშინ მეორე ბუნდესლიგელ „ობერჰაუზენში“ პირველი შეხვედრა ჩაატარა რეზო არველაძემ, რომელიც გერმანიაში ბელგიის „მეხელენიდან“ გადავიდა. „ობერჰაუზენმა“ გასვლაზე ამხანაგურ შეხვედრაში 2:1 აჯობა „ესენს“.

უფროსი არველაძე „ობერის“ თავკაცმა ფუნკელმა მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა, როდესაც ანგარიში უკვე 2:0 იყო. მწვრთნელი ქართველის მოქმედებით კმაყოფილი დარჩა და მას „ექსტრა კლასის ნახევარმცველი“ უწოდა. მოგვიანებით ფუნკელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ გამოცდილი ქართველი მას ძალიან მოეწონა. „დარწმუნებული ვარ, არველაძე ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლაში დიდ დახმარებას გაგვიწევს“ — თქვა მან.

„ობერჰაუზენში“ ჯერჯერობით მხოლოდ ისინჯება რეგიონალლიგის „ჰომბურგიდან“ გადმოსული ქართველი მეკარე ნიკა ჩხეიძე. მისგან განსხვავებით, გუნდში უკვე ჩაირიცხა ბულგარელი რადოსლავ კომიტერი.

შეგახსენებთ, რომ რეზო არველაძისთვის „ობერჰაუზენი“ მეოთხე გერმანული კლუბია. მანამდე უფროს არველაძეს ბუნდესლიგელ „კიოლნში“ (აქ რეზო გახდა პირველი ქართველი, რომელმაც ბუნდესლიგაში გოლი გაიტანა), რეგიონალლიგის „ტენის ბორუსიასა“ და „ჰომბურგში“ უთამაშია.

სიმონ მენაბდე

რეზო არველაძე

ლინფილდი იწყებს და ძლიერდება

უეფას თასის შესარჩევ წრეში თბილისის „ლოკომოტივის“ მეტოქემ, ბელფასტის „ლინფილდმა“ ორშაბათ საღამოს ახალი სეზონი გახსნა. მშობლიურ „უინძორ პარკზე“ „გრიმსბისთან“ ამხანაგური მატჩი გამართა და ფრედ 0:0 ითამაშა.

„ლინფილდს“ შემადგენლობა საბოლოოდ ჯერ არ დაუდგენია. იქაური ჟურნალისტების ცნობით, გუნდში ექვსი ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს: მეკარე პოლ მეთერსი, ენდი როდი, ნორმან კელი, ჯონ მოროუ, ასევე ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრების ყოფილი წევრი გარი პორტერი და შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე დერეკ ფერგიუსონი. ადგილობრივების აზრით, ესენი საკმაოდ სოლიდურ ძალას წარმოადგენენ, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია რომელი მათგანი დარჩება გუნდში.

ამ დღეებში „ლინფილდის“ ფანებმა საჩუქარიც მიიღეს. კლუბმა ახალი სეზონისთვის დამზადებული მაისურების გაყიდვა დაიწყო. საშინაო მაისურა ცისფერია და მკლავების შიდა მხრიდან სქელი წითელი ზოლები გასდევს. საგარეო კი კომბინირებულია და შავ-წითელ სქელ ჰორიზონტალურ ზოლებს წარმოადგენს.

ხვალ „ლინფილდი“ ოთხთა ტურნირში ჩაებმება, რომელიც მის მშობლიურ „უინძორ პარკზე“ ჩატარდება. პირველ შეხვედრაში „ლოკომოტივის“ მეტოქე ინგლისურ „ლივერპულს“ დაუპირისპირდება.

დელ პიეროს პირველი გოლი

ალესანდრო დელ პიერო „იუვენტუსს“ დაუბრუნდა

— ალესანდრო სრულიად განიკურნა. ახლა იგი მთელი დატვირთვით ვარჯიშს შეუდგება და მალე ძველ ფორმასაც აღიდგენს. მე მისი დიდი იმედი მაქვს — განაცხადა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ, მას შემდეგ, რაც დელ პიეროს თამაში იხილა.

სეზონისწინა შეკრებაზე მყოფი „იუვენტუსი“ ვალედაოსტელებთან გამართული ორი ამხანაგური შეხვედრის შემდეგ სენტ ვინსენტში გადავიდა და იქაურებს ამხანაგურად გაეჯიბრა. ტურინულმა კლუბმა 2:0 მოიგო და ორი გოლიდან მეორე ბურთი სწორედ დელ პიერომ გაიტანა. შეგახსენებთ, რომ შარშანდელი 8 ნოემბრის შემდეგ, როცა თავდამსხმელმა იტალიის ჩემპიონატის მატჩში „უდინეზესთან“ მუხლი დაიზიანა, მას „იუვენტუსის“ ღირსება აღარ დაუცავს.

— გოლის გატანამ ძალიან გამახარა. ასე მეგონა, თითქოს „იუვენტუსში“ პირველად ვითამაშე. საოცარი გრძნობა იყო — განაცხადა დელ პიერომ.

შეხვედრას, მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგური იყო, ასობით გულშემატკივარი დაესწრო. მათ შორის იყვნენ „იუვენტუსის“ წარმომადგენლები. ასევე ლუჩანო მოჯი და რობერტო ბეტეგა. დელ პიეროს დაბრუნებით ყველა კმაყოფილი გახლდათ.

„იუვენტუსი“ ორიოდ დღეში მეოთხე ამხანაგურ მატჩს გამართავს და ისევ ვალე დაოსტას ნაკრებთან. ამჯერად ტურინული კლუბის შემადგენლობა ნისლიანი ალბიონიდან დაბრუნებული ედგარ დავიდსით, ანტონიო კონტეი, პაოლო მონტეროთი, ტიერი ანრით და სანდი ოლისეთი გაძლიერდება. ის ფეხბურთელები, რომლებმაც რუმინეთში „ჩაჭლაულის“ წინააღმდეგ ითამაშეს, დაისვენებენ.

კარლო ანჩელოტის თქმით, ზინედინ ზიდანი „იუვენტუსს“ კიდევ ორიოდ კვირის მანძილზე ვერ შეუერთდება. გაზაფხულზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული ზიდანი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. ცალკე ემზადება ხუან ესნაიდერიც. რაც შეეხება ორ თავდამსხმელს — დანიელ ფონსეკას და ფილიპო ინძაგის, ისინი მიკროტრავმებს იშუშებენ.

იტალიელი ჟურნალისტების აზრით, „ვალე დაოსტასთან“ მეოთხე ამხანაგურ შეხვედრაში „იუვენტუსის“ სასტარტო შემადგენლობა ასეთი იქნება: ისაკსონი, მირკოვიჩი, მონტერო, სკარდინია, ძამბროტა, ობრიენი, ოლისე, დავიდსი, ანრი, დელ პიერო, რიგონი.

ვიერი მილანში

კრისტიან ვიერი „ინტერში“ გაჩერებას აპირებს

მსოფლიოს უძვირფასესმა ფეხბურთელმა, კრისტიან ვიერიმ განაცხადა, რომ მილანის „ინტერიდან“ კარგა ხანს არსად წავა.

— „ინტერში“ მსურს ყოფნა. ეს არის გუნდი, რომელიც ავირჩიე, მე ვარ ფეხბურთელი, რომელიც „ინტერმა“ ამირჩია და მილანში ამგვარი შეთანხმებით დავფუძნდი. მსურს, ამ კლუბის ისტორიის ახალი თავფურცელი დავწერო — განაცხადა ვიერიმ.

რაც პროფესიონალური თამაში დაიწყო, კრისტიან ვიერიმ, არც მეტი არც ნაკლები, ცხრა კლუბში მოასწრო ასპარეზობა. 1989-90 წლების სეზონიდან მოყოლებული „პრატოში“, „ტორინოში“, „პიზაში“, „რავენაში“, „ვენეციაში“, „ატალანტაში“, „იუვენტუსში“, მადრიდის „ატლეტიკოში“ და „ლაციოში“ თამაშობდა.

— კარგა ხანია, „ინტერს“ რაიმე მნიშვნელოვანი არ მოუგია. ეს ჩემთვის დამატებითი სტიმულია. ვეცდები, გუნდს წარმატებები მოვუტანო — თქვა ვიერიმ.

მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი, რომლის სანაცვლოდ „ინტერმა“ „ლაციოს“ არნახული თანხა — 50 მილიონი დოლარი გადაუხადა, მილანში, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება. ან რატომ უნდა მოგინდეს სხვაგან წასვლა, როცა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ სახელოვან კლუბში თამაშობ და გასამარჯელოდ წელიწადში 9 მილიონ დოლარს იღებ...

უკვედეთი

მე-14 ტური. აიკ — ნორჩიოპინგი 2:0; ფრიოლუნდა — ელფსბორგი 4:4

იორგრიტე	14	8	5	1	28:9	29
ჰელსინგბორგი	14	9	1	4	24:15	28
აიკ	14	8	3	3	22:10	27
ჰალმსტადი	14	7	3	4	26:13	24
კალმარი	14	7	2	5	21:20	23
იორებრო	13	7	1	5	14:15	22
ტრელებორგი	14	5	4	5	24:21	19
ფრიოლუნდა	14	5	4	5	19:22	19
მალმიო	14	4	3	7	17:25	15
გიოტებორგი	13	3	5	5	12:18	14
ელფსბორგი	14	3	4	7	23:30	13
იურგორდენი	14	3	3	8	15:26	12
ჰამარბი	14	2	5	7	15:25	11
ნორჩიოპინგი	14	2	5	7	11:22	11

უკრაინა

მე-3 ტური. მარიუპოლი — ზირკა 3:0; ნივა — მეტალურგი 3:0; ცსკა — ჩორნომორეცი 3:0; ვორსკლა — დინამო 1:2; ზაპოროჟიე — კრივბასი 0:2; შახტარი — დნიპრო 2:0; პრიკარპატია — ტავრია 0:2; მეტალისტი — კარპატი 1:0

შახტარი	3	3	0	0	6:0	9
კრივბასი	3	2	1	0	7:1	7
დინამო	3	2	1	0	5:3	7
მარიუპოლი	3	2	0	1	9:2	6
ზაპოროჟიე	3	2	0	1	5:4	6
კარპატი	3	2	0	1	3:2	6
მეტალისტი	3	2	0	1	3:2	6
მეტალურგი	3	1	1	1	3:5	4
ნივა	3	1	0	2	4:3	3
ცსკა	3	1	0	2	3:2	3
ვორსკლა	3	1	0	2	5:6	3
ტავრია	3	1	0	2	4:6	3
ჩორნომორეცი	3	1	0	2	1:8	3
პრიკარპატია	3	0	2	1	2:4	2
ზირკა	3	0	1	2	1:5	1
დნიპრო	3	0	0	3	0:8	0

ფეხბურთის რეპასთან

ნორვეგიის ნაკრებისა და „ვალერენგას“ 19 წლის თავდამსხმელი იონ კარეუ ფრანგულ „სტრასბურში“ გადავიდა. ფრანგებმა მასში 35 მილიონი კრონა (4,46 მილიონი დოლარი) გადაიხადეს. კარეუს გადაბირება გაზაფხულზე იტალიურ „ბოლონიასაც“ უნდოდა და მასში 55 მილიონ კრონას იხდიდა, მაგრამ მოლაპარაკებები ჩაიშალა. თავად ფეხბურთელი კი ტრანსფერით მაინცდამაინც კმაყოფილი არ დარჩენილა. მას თურმე „რუსენბორგში“ თამაში სურდა.

ესპანელი ივან დე ლა პენია, ალბათ, განათხოვრების წესით, იტალიური „ლაციოდან“ მარსელის „ოლიმპიკში“ გადავა. ეს ინფორმაცია გუშინ ფრანგულმა კლუბმა გაავრცელა. დღეს დე ლა პენია არგენტინის ნაკრების მცველ ედუარდო ბერიზოსთან ერთად, რომელიც ასევე „ოლიმპიკში“ გადადის, მარსელს უნდა ჩავიდეს. რაც შეეხება ბერიზოს, მასში მარსელმა არგენტინულ „რივერ პლეიტს“ 3,3 მილიონი დოლარი გადაუხადა.

ინგლისის 1998 წლის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა ლონდონის „არსენალმა“ ახალგაზრდა თავდამსხმელის, ფრენსის ჯეფერსის შეძენა მოიწადინა. ლონდონური კლუბი ჯეფერსის გუნდს, ლივერპულის „ევერტონს“, ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონ გირვანქას ჰპირდება. „არსენალის“ წარმომადგენელთა თქმით, ჯეფერსთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი, ალბათ, 1 აგვისტოს გადაწყდება, ზუსტად იმ დღეს, როცა „არსენალი“ ინგლისის სუპერთასზე, იგივე „ჩერითი შილდზე“, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეთამაშება. ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული ნიკოლა ანელკას ტრანსფერზეც. თუ ფრანგმა ფორვარდმა „არსენალი“ დატოვა, ჯეფერსს საგრძნობლად გაეზრდება „მეთოფეთა“ შორის მოხვედრის შანსი. ცნობისთვის: ფრენსის ჯეფერსის შეძენას სეზონის დასაწყისში „მანჩესტერ იუნაიტედიც“ ცდილობდა.

პორტუგალიის ამომავალი ვარსკვლავით, უგო ლეალით სერიოზულადაა დაინტერესებული ესპანეთის თასის ფინალში დამარცხებული მადრიდის „ატლეტიკო“. 19 წლის პორტუგალიელი ნახევარმცველი „ატლეტიკოს“ ახალ მწვრთნელს, იტალიელ კლაუდიო რანიერის ძალიან მოსწონებია. ლეალის გუნდს, ლისაბონის „სპორტინგს“ ესპანელები 8 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. შეგახსენებთ, რომ ლეალმა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც ითამაშა. რანიერის ლეალი კლუბის ბრაზილიელი ნახევარმცველის, ჟუნინიოს შემცვლელად ესახება. „ატლეტიკოს“ ჟუნინიოს გაყიდვა გადაუწყვეტია და მასში 10 მილიონ გირვანქას ითხოვს.

გერმანიის ჩემპიონს, მიუნხენის „ბაიერნს“, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ლიგის თასიც მოიგო, ამერიკელი ფეხბურთელის, კრის ოლბრაიტის შეძენა სურდა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. „ბაიერნი“ 20 წლის ამერიკელით გაზაფხულის შემდეგ გახლდათ დაინტერესებული. ფეხბურთელის კლუთთან, ვაშინგტონის „დი-სი იუნაიტედთან“ მოლაპარაკებებიც აწარმოა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა — ოლბრაიტი გაისადაც ამერიკის საფეხბურთო ლიგაში ითამაშებს. ოლბრაიტის შეძენა ლევერკუზენის „ბაიერსაც“ ეწადა.

ისრაელის ნაკრების ფეხბურთელი, ნაივან გრაები შესაძლოა ლონდონის „ტოტენჰემის“ ნაცვლად მეორე ინგლისურ კლუბში, ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ გადავიდეს. გრაების კლუბი, ჰაიფას „ჰაპოელი“ თავდაპირველად „ტოტენჰემთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს, ტრანსფერიც თითქოს გაჩარხული იყო, მაგრამ ფეხბურთელმა ლონდონურ კლუბში სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა და გარიგებაც ჩაიშალა. „ასტონ ვილა“ 25 წლის ებრაელი მცველის შეძენით სერიოზულადაა დაინტერესებული და მზადაა, მის სანაცვლოდ 1,5 მილიონი დოლარი გადაიხადოს. თუ ტრანსფერი შედგა, გრაები ისრაელის ნაკრების მეორე ფეხბურთელი იქნება, ვინც ამ ზაფხულში პრემიერლიგაში გადავა — მანამდე ლონდონის „უიმბლდონმა“ ვალიდ ბადირი შეისყიდა ფეთახ თიქვას „ჰაპოელიდან“.

ბრიტანული კლუბები ახალი სეზონისთვის მზადებაში არიან და ამხანაგურ შეხვედრებსაც მართავენ. ამ დღეებში არაერთი ამხანაგური მატჩი შედგა: სანდჰაუზენი — ქოვენთრი 1:8, ვეილი — სანდერლენდი 0:4, ისტ ფაიფი — შეფილდ იუნაიტედი 0:4, აშშ-ს ნაკრები — დერბი ქაუნთი 2:1, ჰამკამი — სელტიკი 2:3, ბორმნბუთი — ქუინზ პარკ რეინჯერსი 0:1, პარფლიტი — ვესტ ჰემი 1:6, სპეიერი — ქოვენთრი 2:5, სენტ მირენი — რეინჯერსი 2:1, ბირმინგემი — ჩელსი 1:1, ბარი — მანჩესტერ სიტი 2:1, დორჩესტერი — ჩარლტონი 0:4, ფორელსე — რეინჯერსი 1:10, კეტერინგი — ლესტერი 2:3, ელმონდი — ნიუკასლ იუნაიტედი 1:2, ნოთს ქაუნთი — არსენალი 1:2, დანდალკი — დანდი იუნაიტედი 0:2, დენ ბოში — ნიუკასლ იუნაიტედი 1:2, ელფსბორგი — ბლეკბერნი 1:1.

ინგლისის პირველი დივიზიონის „ფულემმა“, რომლის მფლობელიც მილიონერი მოჰამედ ალ ფაიედია, ბირმინგემის „ასტონ ვილადან“ თავდამსხმელი სტენ კოლიმორი გადაიბირა. კოლიმორი, რომელიც თავის დროზე ბრიტანეთის უძვირფასესი მოთამაშე იყო, „ფულემის“ შემადგენლობაში სამი თვით ითამაშებს, თუმცა არაა გამორიცხული, კიდევ დიდხანს დარჩეს.

ან დარჩება, ან არა

ესპანური „მალიორკას“ იუგოსლავიელ ნახევარმცველ იოვან სტანკოვიჩს კუნძულელების დატოვება სურს, თუმცა მის ამ მოსაზრებას კლუბის ხელმძღვანელობა სასტკად ეწინააღმდეგება.

სტანკოვიჩმა გასული სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა, რის შემდეგაც მისი გადაბირების მსურველ გუნდთა რაოდენობა დღითი დღე იზრდება. 28 წლის ნახევარმცველით ყველაზე მეტად ესპანეთის თასის წლევანდელი ფინალისტი, მადრიდის „ატლეტიკო“ დაინტერესდა, რომელმაც მის სანაცვლოდ „მალიორკას“ 1,5 მილიარდი პესეტა (9,14 მილიონი დოლარი) შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

— „მალიორკიდან“ წასვლა მინდა, ეს იცის გუნდის ხელმძღვანელობამაც, მაგრამ რატომღაც ხელს მიშლიან. „ატლეტიკოს“ გარდა ჩემით „ვალენსია“ და საფრანგეთის რამდენიმე წამყვანი კლუბია დაინტერესებული, თუმც „მალიორკელებმა ყველა უარით გაისტუმრეს — განაცხადა „ცრვენა ზვეზდას“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით „მალიორკას“ პოზიცია ბუნებრივია. კუნძულელებმა, რომლებიც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობენ, გასული სეზონის შემდეგ გუნდიდან მთელი რიგი წამყვანი მოთამაშეები გაუშვეს, მათ შორის დანი გარსია (ბარსელონა) და მარსელინო ელენა (ნიუკასლი), ასე რომ, კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელის დაკარგვა გუნდს, რა თქმა უნდა, არ წაადგება.

— უკვე პატარა აღარ ვარ. 28 წელი ის ასაკია, როცა ფეხბურთელები მომავალზე იწყებენ ფიქრს. ამიტომაც „ატლეტიკოში“ გადასვლა ჩემთვის ძლიერ მნიშვნელოვანია. „მალიორკა“ შარშანაც ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ მე დავრჩი. რამდენიმე სეზონია, აქ ვთამაშობ და ვფიქრობ, დავიმსახურე, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სხვა გუნდში გადასვლის ნება მომცეს. ვაცხადებ, რომ მივიღებ თუ არა წასვლის უფლებას, ჩემთვის სულ ერთია, „მალიორკადან“ მაინც გადავალ — კატეგორიულად თქვა სტანკოვიჩმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად წავა იური?

— სიმართლე ვთქვათ, არ მეგონა, თუ ჩემით ამდენი კლუბი დაინტერესდებოდა, მაგრამ ეს ფაქტი ძალიან მახარებს — თქვა იური ჯორკაეფმა, როცა გაიგო, რომ მისი გადაბირების სურვილი ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედსაც" გაუჩნდა.

შეგახსენებთ, რომ ფრანგი ფეხბურთელის შეძენა მანჩესტერელების გარდა ათენის „ოლიმპიაკოსს", „ბეტისს", „რომას" და ლონდონის „ტოტენჰემსაც" უნდათ, თუმცა ჯერ ზუსტად არაა გარკვეული, სად გააგრძელებს კარიერას მსოფლიოს ჩემპიონი.

— ბევრს უკვირს, რატომ გადავწყვიტე „ინტერის" დატოვება, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერია. მილანში სამი სეზონი ჩავატარე და, ჩემი აზრით, რისი მიღწევაც „ინტერში" შემეძლო, უკვე მივაღწიე, ახლა კი დროა, ბედი სხვაგანაც ვცადო — განცხადა 31 წლის ჯორკაეფმა.

პსჟ-ს ყოფილი ფეხბურთელის მენეჯერის თქმით, ჯორკაეფის მომავალი კლუბი უახლოეს ორ კვირაში უნდა გარკვეს. ისე, თავად ფეხბურთელი თურმე უპირატესობას ინგლისურ გუნდებს ანიჭებს.

ასპრილია მშობლიურ კონტინენტს დაუბრუნდა

კოლუმბიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ფაუსტინო ასპრილია იტალიური „პარმადან" ბრაზილიურ „პალმეირასში" გადავიდა.

— შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ უკვე „პალმეირასის" კუთვნილება ვარ. ბრაზილიაში კარიერის გაგრძელება თავად ვარჩიე, თუმც სად დავასრულებ მას, ახლაც არ ვიცი — განაცხადა ასპრილიამ, რომელიც ტრავმის გამო ახლახან დამთავრებულ „კოპა ამერიკაზე" ვერ მოხვდა.

ფაუსტინო ასპრილიას ევროპული კარიერა ძირითადად „პარმასთანაა" დაკავშირებული. იგი ამ ჩრდილოიტალიურ გუნდში 1992 წელს გადავიდა და იქიდან მოყოლებული 1996 წლამდე კლუბთან ერთად უეფას და თასების მფლობელთა თასის მოგება მოახერხა. ამის შემდეგ იგი ინგლისურ „ნიუკასლში" გადაბარგდა, მაგრამ შარშან კვლავ „პარმას" დაუბრუნდა.

— არავის ეგონოს, რომ ფაუსტინო ასპრილიას მზე ჩაესვენა. მე ახლაც ბევრზე უკეთესად ვთამაშობ და ჩემს სიტყვას გაისადაც ვიტყვი — თქვა კოლუმბიელმა.

ამბები ლივერპულიდან



მაიკლ ოუენი

მთელი ლივერპული მოუთმენლად ელის 7 აგვისტოს. ინგლისში ხომ ახალი საფეხბურთო სეზონი იწყება.

ლივერპულული კლუბებიდან, მოგეხსენებათ, პრემიერლიგაში მხოლოდ „ლივერპული" და „ევერტონი" ასპარეზობს.

ამჯერად თქვენს ყურადღებას „ლივერპულზე" შევაჩერებთ.

ინგლისის ამ ყველაზე ტიტულიანი გუნდის ფანებს, როგორც ჩანს, მოთმინების ფიალა აევსოთ. რის „არსენალი", რა „მანჩესტერ იუნაიტედი", მომავალ სეზონში პრემიერლიგა აუცილებლად „ლივერპულმა" უნდა მოიგოსო, განუცხადეს მათ კლუბის ხელმძღვანელობას, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად არაფერს იშურებს.

კი, ქომაგებს დასწყდათ გული, როცა მათი უსაყვარლესი კლუბი სტივ მაკმანამანმა დატოვა, მაგრამ „ლივერპულში" ამით დიდი ტრაგედია არ შეუქმნიათ. მაკმანამანის გზას კიდევ ორი ლივერპულელი ფეხბურთელი დევიდ ჯეიმსი და ჟან-მიშელ ფერი გაუყვა, თუმცა გზას ისინი მადრიდში არ მიუყვანია. გაისად ჯეიმსი ბირმინგემის „ასტონ ვილას", ხოლო ფერი ფრანგული „სოშოს" ღირსებას დაიცავს.

წამსვლელებთან ერთად გუნდში მომსვლელებიც არიან, თანაც მრავლად. გასული სეზონის შემდეგ „ლივერპულს" აბუბაქარ „ტიტი" კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლექბერნი), სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმერ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია) და ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია) შეემატნენ.

ლივერპულელთა ხელმძღვნელობა ამაზე არ დაკმაყოფილებულა და ახალ ფეხბურთელთა შეძენას ლამობს. „ლივერპულმა" მიზანში „ნიუკასლის" გერმანელი ნახევარმცველი დიტმარ ჰამანი ამოიღო.

ჰამანის გადაბირების სურვილი კი სხვა პრემიერლიგურ კლუბებსაც აქვთ. თუმცა, გასულ კვირამდე ნიუკასლელები აცხადებდნენ, გერმანელს არ ვყიდით, თავი დაგვანებეთო, მაგრამ...

როგორც იტყვიან, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. გასულ უქმეებზე ლივერპულელებს ჩრდილოინგლისელთათვის ჰამანში 8 მილიონი გირვანქა შეუთავაზებიათ, რამაც „ნიუკასლის" ხელმძღვანელობა საგონებელში ჩააგდო. ამიტომაც ლივერპულელებისთვის უთქვამთ, ეს საკითხი ასე საჩქაროდ გადასაწყვეტი არ არის, მოდით, მოვილაპარაკოთო.

თუ მოლაპარაკება დადებითად დასრულდა, დიტმარ ჰამანი „ლივერპულში" გადავა, ხოლო პოლ ინსს კლუბის დატოვება მოუწევს. სავარაუდოდ, ინსის მომავალი გუნდი „მიდლსბრო" გახდება, რომელიც ამ შავკანიანი ფეხბურთელის სანაცვლოდ 1 მილიონ გირვანქას გადაიხდის.

გუშინწინ კი კლუბის ხელმძღვანელობამ ლივერპულელ ფანებს ნამდვილი საჩუქარი მიუძღვნა. მათ განაცხადეს, რომ გასულ აპრილს „ლიდსთან" შეხვედრის დროს ტრავმირებული მაიკლ ოუენი სრულად გამოჯანმრთელდა და გუნდს ახალი სეზონის დაწყებისთანავე დაეხმარება.

„ლივერპული" უკვე დაბრუნდა შვეიცარიული ტურნედან და ამჟამად ბელფასტში ოთხთა ტურნირზე სათამაშოდ ემზადება. წინ ახალი სეზონია, მიზანი — ჩემპიონობა. უკან დასახევი გზა კი მოჭრილია.

ზვიად გაჩეჩილაძე

REUTERS ბრაზილიდან

ქვეყნის პრეზიდენტი ენრიკო როდოლფო კარდოზო (შუაში) ჩემპიონებს მასპინძლობდა

გაიხარა ბრაზილიამ

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები ქვეყნის მთავრობამაც დააჯილდოვა — გუნდის ფეხბურთელები გუშინ, გაჩემპიონების მესამე დღეს, სახელმწიფო სტრუქტურებს სტუმრობდნენ.

— ბრაზილია ამაყობს თქვენით. ჩვენ ყოველთვის გვჯეროდა, რომ სამხრეთ ამერიკაში თქვენზე ძლიერი ფეხბურთელები არ არიან. ძალიან გვიხარია, რომ ჩემპიონატი მოიგეთ — განაცხადა ბრაზილიის პრემიერ-მინისტრმა ჟოსუალდო დე სილიმა მორეირომ.

ვანდერლეი ლუქსემბურგოს, ნაკრების მწვრთნელს, გუნდის სხვა წევრებს და უკლებლივ ყველას, ოცდაორივე მოთამაშეს, პრემიერმინისტრმა საგანგებო საჩუქრები გადასცა.

ხელისუფლების სიხარულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, „კოპა ამერიკაზე" გამარჯვებამ ქვეყანა სიხარულით აღავსო — შარშან, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში განადგურებამ ბრაზილიელებს რწმენა ცოტათი შეურყია, ახლა კი მორიგი სანაკრებო გამარჯვებით სირცხვილი ჩამოიწმინდეს.

— ჩვენ ხალხისთვის ვთამაშობდით. ვიცოდით, თუ რა ძლიერ გვქომაგობდნენ გულშემატკივრები და უბრალოდ, უფლება არ გვქონდა, მათი იმედები გაგვეცრუებინა — განაცხადა რივალდომ, სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა.

ორშაბათს, ფინალის მეორე დღეს, ბრაზილიის ნაკრები სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთათვის განკუთვნილ თასს ქალაქ ბრაზილიას ქუჩებში დაატარებდა — გახარებული გულშემატკივრები საყვარელი ფეხბურთელების ნადავლით ტკბებოდნენ, ფეხბურთელებს კი ხალხის აღტაცება ახალისებდათ.

— მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ქვეყანას უჭირს, ჩვენ, ფეხბურთელებს ყოველთვის შეგვიძლია, თქვენ სიხარული მოგანიჭოთ. როცა ეს ასეა, ჩვენ ყველაზე ამაყები ვართ — ეს უკვე ნაკრების გამოცდილი მცველის და კაპიტნის, კაფუს სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ ურუგვაელთა 3:0 ძლევით ბრაზილიამ მეექვსედ მოიგო სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი, აქედან ზედიზედ მეორედ — პირველად. სხვათა შორის, ბოლო ორ შემთხვევაში ბრაზილიელებმა ჩემპიონის ტიტული სხვა ქვეყნებში მოიპოვეს (1997 წელს ბოლივიაში, წლეულს პარაგვაიში), არადა, მანამდე მხოლოდ შინ იმარჯვებდნენ.

ირაკლი ილაშვილი

უხეში ენდი კოული

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ენდი კოული უხეში თამაშის გამო შესაძლოა ძალიან მკაცრად დაისაჯოს.

ავსტრალიური ტურნეს ბოლო შეხვედრისას, მასპინძელი ქვეყნის ნაკრებთან პაექრობის მესამოცე წუთზე ენდი კოული იმდენად უხეშად ეთამაშა ავსტრალიელთა მარცხენა მცველ სიმონ კოლოზიმოს, რომ ეს უკანასკნელი მოედნიდან კი არ გაიყვანეს, ლამის გაასვენეს. სიდნეის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები კოულის საქციელმა ძალიან აღაშფოთა, თუმცა ამით დაზარალებულს, ცხადია, არაფერი ეშველა.

ექიმების პირველადი დასკვნით, სიმონ კოლოზიმო უეჭველ ოპერაციას საჭიროებს, ამასთანავე, მინიმუმ ნახევარი წელიწადი ველარ ითამაშებს. ტრავმირებული მცველის კლუბი „კარლტონი" „მანჩესტერ იუნაიტედისგან" კომპენსაციას ითხოვს.

კოულის მოქმედება სრულიადაც არ გახლდათ რიგითი ორთაბრძოლა — შავკანიანმა ფორვარდმა კოლოზიმოს ფეხებში განზრახ ჩაარტყა. ყოველ შემთხვევაში, უცხო თვალმა ასეთი დასკვნა გააკეთა. ავსტრალიის ნაკრების ხელმძღვანელობა 20 წლის კოლოზიმოს მომავლით გვარიანადაა შეშფოთებული.

„კარლტონის" წარმომადგენელთა თქმით, ისინი ინგლისის ჩემპიონებს ზარალის ანაზღაურებას სთხოვენ, ხოლო ის, რომ კოლოზიმოს ერთ-ერთ საუკეთესო საავადმყოფოში მანჩესტერელთა ხარჯებით უწამლებენ, უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

რაც შეეხება, თავად ინგლისელთა გეგმებს, ავსტრალიური ტურნეს შემდეგ მათ აზიას მიაშურეს, სადაც დაგეგმილი აქვთ ჰონკონგის და ჩინეთის უძლიერეს გუნდებთან ამხანაგური შეხვედრის გამართვა. ყოველივე ამის შემდეგ, 1 აგვისტოს, „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისის სუპერთასზე, იმავე „ჩერითი შილდზე" ლონდონის „არსენალს" ხვდება, 7 აგვისტოს კი პრემიერლიგაც იწყება.



ენდი კოული



კრის სატონი

კრის სატონი: ფული ცხოვრებაში მთავარი არაა

ინგლისელი კრის სატონი სულ რამდენიმე დღეა, რაც „ბლექბერნ როვერსიდან“ “ჩელსიში“ გადავიდა. არისტოკრატული კლუბის იტალიელი მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის განცხადებით, სატონი „ჩელსის“ დიდი მიზნების მიღწევაში დაეხმარება. ლონდონელებს კი მომავალ სეზონში არც მეტი, არც ნაკლები, პრემიერლიგის მოგება აქვთ განზრახული.

— მას შემდეგ, რაც „ჩელსიმ“ თქვენში 10 მილიონი გირვანქა გადაიხადა, კლუბის ისტორიაში სარეკორდო თანხად ნაყიდი ფეხბურთელი გახდით. რას ფიქრობთ ამის შესახებ და გგონიათ, თუ არა, რომ ფული დღესდღეობით უმთავრეს როლს თამაშობს მსოფლიო ფეხბურთში?

— 10 მილიონი მართლაც დიდი ფულია. ვერ ვიტყვი, ვლირვარ თუ არა მაგდენი, თუმც ეს არაა ჩემი საფიქრალი, ყველაფერი გულშემატკივრებმა განსაჯონ. მსოფლიო ფეხბურთში ყველაფერი დღითი დღე იცვლება, ზოგი სასიკეთოდ, ზოგიც — არა. მაგალითად ჩემს თავს მოვიყვან. როცა „ნორვიჩიდან“ წამოვედი, ბლექბერნელებმა ჩემში 5 მილიონი გირვანქა გაიღეს, რაც იმ დროს ბრიტანეთის სარეკორდო ტრანსფერი იყო. სულ რაღაც ერთი სეზონის შემდეგ ჩემი ფასი 6 მილიონი გახდა, თუმცა ბრიტანეთში უკვე თამაშობდნენ ჩემზე გაცილებით ძვირი ფეხბურთელები. რაც შეეხება თავად ფულს, ვთვლი, რომ ის არაა ადამიანის ცხოვრებაში უმთავრესი.

ჩემი აზრით, მსოფლიოს მრავალი ფეხბურთელი ამასვე ფიქრობს. იმავეს ვერ ვიტყვი კლუბებზე, რომელთაც ძირითადად მხოლოდ მატერიალური მოგება აინტერესებთ.

— თქვენი შეძენა გასული სეზონის შემდეგ მრავალ კლუბს უნდოდა. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც „ჩელსი“?

— ჯერ იქიდან დავიწყოთ, რომ „ჩელსი“ ბავშვობიდან ჩემი ოცნების გუნდია, აღარც კი მახსოვს, როდიდან ვგულშემატკივრობ მას. „ჩელსი“ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მინდა, იმავეს განიცდიდეს გუნდი კრის სატონის მიმართ. მჯერა, ამას მოვაღწევ და ეს ენით აუწერელი გრძობაა. რამდენიმე თვის წინ, როცა უკვე ვიცოდი, რომ „ბლექბერნს“ დავტოვებდი, თავს პირობა მივეცი, ან „ჩელსიში“ გადავალ ან არსად-მეთქი. როგორც ხედავთ, სიტყვის პატრონი გამოვდექი. ნურვის ჰგონია, რომ „ჩელსიში“ ფინანსური მხარის გამო გადავედი, ფული ამ შემთხვევაში მეორე ხარისხოვანია.

— გაგიმხელდათ „ბლექბერნის“ დატოვება?

— ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. განსაკუთრებით „ბლექბერნის“ გულშემატკივრებთან განშორება მიჭირს. „ივუდ პარკზე“ თავს ყოველთვის ბედნიერად ვგრძნობდი. სეზონის დასაწყისში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ პრემიერლიგის დატოვება მოგვიწევდა. არ ვიტყვი, რომ ამას არ ვიმსახურებდით, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, დავრჩენილიყავით. თუმც რაც მოხდა, მოხდა, ახლა ველარაფერს შევცვლით. სამწუხაროდ, ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გსურს.

— ხომ შეგიძლოთ დარჩენილიყავით „ივუდ პარკზე“ და კარიერაც იქ გაგეგრძელებინათ?

— შემეძლო, მაგრამ უკვე „ჩელსიში“ ვარ, რასაც თავისი მიზეზები აქვს. ვამბობ და ყოველთვის ვიტყვი — მე მიყვარს „ბლექბერნი“, ეს კლუბი არასოდეს დამავიწყდება. იმედია, ფანები გამიგებენ, მე ხომ ისინი ფულისთვის არ დამიტოვებია. ახლა 26 წლის ვარ და ჩემი კარიერის პიკს ვაღწევ. უბრალოდ, იძულებული ვარ, საკუთარ მომავალზე ვიფიქრო. „ბლექბერნში“ რომ დავრჩენილიყავი, მინიმუმ ერთი სეზონი პირველ დივიზიონში უნდა გამეტარებინა, სადაც, ჩემი აზრით, როგორც ფეხბურთელი, ვერ გავიზრდებოდი.

— რას ფიქრობთ იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში უამრავ სხვა ქვეყნების ფეხბურთელთა მხარდამხარ მოგიწევთ თამაში. „ჩელსის“ ბირთვს ხომ ლეგიონერები შეადგენენ?

— საინტერესოა. მაგრამ, ვგონებ, ამან დიდი პრობლემები არ უნდა შემიქმნას, მით უმეტეს, რომ „ნორვიჩშიც“ და „ბლექბერნშიც“ მიწევდა საზღვარგარეთელ ფეხბურთელებთან ერთად თამაში. ნამდვილად ვერ ვიტყვი, როგორ ჩავატარებ მომავალ სეზონს. იქნებ კარგად, იქნებ ცუდად. დაველოდოთ მომავალს, აი, მაშინ კი ყველაფერი გამოჩნდება.

— თქვენი პროგნოზი, რისი მიღწევა ძალუძს „ჩელსის“ გაისად?

— ძნელია ამის თქმა. ვესაუბრე ჯანლუკა ვიალის, ვიცი, რომ „ჩელსის“ უპირველესი მიზანი პრემიერლიგაში პირველი საფეხურის დაკავებაა, რაც არც ისე ადვილი მისაღწევია, მითუმეტეს, რომ ჩემპიონობისთვის ჩვენს გარდა ისეთი გუნდები იბრძოლებენ, როგორიც „არსენალი“ და ჩემი აზრით, ამჟამად მსოფლიოს უძლიერესი კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედია“. არ გვგონოთ, რომ ვინმესი გვეშინოდეს. ჩვენთვის მიზანი ნათელია და მის მისაღწევად ყველაფერს ვიღონებთ.

— ესე იგი გაისად ჩემპიონობის კანდიდატები თქვენთან ერთად მხოლოდ „არსენალი“ და „იუნაიტედია“?

— დიახ. ჩემიონის ტიტულს სწორედ ეს სამი კლუბი გაითამაშებს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ყველაფერი სხვაგვარად მოხდეს. სუსტი გუნდებიც არ უნდა დაგვავიწყდეს, მათ ხომ ძალუძთ, უძვირფასესი ქულები აგვართვან. ისეთ ქვეყანაში, როგორიც ინგლისია, ნებისმიერ მეტოქეს ისე უნდა ეთამაშო, როგორც „მანჩესტერს“.

— თვლით თუ არა, რომ „ჩელსიში“ გადასვლა ზრდის თქვენს შანსებს ინგლისის ეროვნულ ნაკრებში დასაბრუნებლად?

— არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ. ეროვნულ გუნდში თამაში ყველა ინგლისელი ფეხბურთელის ოცნებაა, და, რა თქმა უნდა, ჩემიც. ისე, არა მგონია, მხოლოდ „ჩელსიში“ გადასვლით ნაკრებში მიხმონ. ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. თუ კარგად ვითამაშებ, რაც ნამდვილად შემიძლია, დარწმუნებული ვარ, კევინ კიგანს ეს არ გამორჩება.

365-დან თარგმანი ძოძა ბაადუამ

წარსულის შედეგები

476	ბელშინა (ბობრუისკი, ბელარუსი)	2	6	1	2	3	7:10	4
477	სპარტაკი (პლოვდივი, ბულგარეთი)	2	6	1	2	3	4:7	4
478	ჰაუგარი (ჰაუგესუნდი, ნორვეგია)	1	4	1	2	1	3:7	4
479	ჰალეშერი (გერმანია)	3	5	1	2	2	5:9	4
480	FH (ჰაფნარფიორდური, ფარერები)	3	6	1	2	3	5:9	4
481	სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი)	2	6	1	2	3	4:9	4
482	კონსტრუქტორული (კიშინიოვი, მოლდოვა)	3	8	1	2	5	6:14	4
483	პირინი (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი)	2	6	2	0	4	6:15	4
484	ზაგრების ნაკრები (ხორვატია)	3	10	1	2	7	11:21	4
485	სენტ გალენი (შვეიცარია)	3	8	1	2	5	4:16	4
486	B 1919 (ოდენსე, დანია)	4	10	2	0	8	18:30	4
487	ლინცი (ავსტრია)	4	8	1	2	5	5:18	4
488	ერებრუ (შვედეთი)	4	10	0	4	6	4:17	4
489	ბანგორ სიტი (უელსი)	5	13	1	2	10	6:21	4
490	ნესტვედი (დანია)	4	8	1	2	5	5:21	4
491	ბაზელის ნაკრები (შვეიცარია)	5	11	1	2	8	16:39	4
492	სპორა ლუქსემბურგი (ლუქსემბურგი)	11	23	2	0	21	15:108	4
493	ნანსი ლორეინი (საფრანგეთი)	1	4	1	1	2	7:6	3
494	მეტალისტი (ხარკოვი, უკრაინა)	1	4	1	1	2	4:3	3
495	რუდარი (ველენიე, სლოვენია)	1	4	1	1	2	2:2	3
496	ვაასა (ფინეთი)	1	4	1	1	2	4:5	3
497	ნაიმეგენი (ჰოლანდია)	1	4	1	1	2	4:6	3
498	ექსელსიორი (მუსკრონი, ბელგია)	1	4	1	1	2	4:6	3
499	ბოროუ იუნაიტედი (უელსი)	1	4	1	1	2	2:4	3
500	კარპატი (ლვოვი, უკრაინა)	2	4	1	1	2	5:7	3
501	ჰაარლემი (ჰოლანდია)	1	4	1	1	2	6:9	3
502	დარინგ კლუბი (მოლენბეკი, ბელგია)	2	4	1	1	2	3:6	3
503	გაისი (გიოტებორგი, შვედეთი)	2	4	1	1	2	6:10	3
504	ტავრია (სიმფეროპოლი, უკრაინა)	1	4	1	1	2	4:8	3
505	ჟომბიერსკი (ბიტომი, პოლონეთი)	2	6	1	1	4	5:10	3
506	ბესა (კავაი, ალბანეთი)	1	4	0	3	1	3:9	3
507	ბრაგე (შვედეთი)	2	6	1	1	1	8:15	3
508	ტალინა სადამი (ესტონეთი)	3	6	1	1	4	5:12	3
509	ასა (ტორგუ მურეში, რუმინეთი)	3	6	1	1	4	4:13	3
510	ლიტექსი (ლოვეჩი, ბულგარეთი)	1	6	1	1	4	6:16	3
511	ინკარასი (კაუნასი, ლიტვა)	3	6	1	1	4	8:18	3
512	ბალცერსი (ლიხტენშტაინი)	2	6	1	1	4	5:17	3
513	სლიგო როვერსი (ირლანდია)	3	8	1	1	6	5:17	3
514	ანდანასფორი (თურქეთი)	3	6	1	1	4	6:20	3
515	სტავნეტი (კოპენჰაგენი, დანია)	3	6	1	1	4	10:25	3
516	ნეფთჩი (ბაქო, აზერბაიჯანი)	3	6	1	1	4	2:20	3
517	აელ (ლიმასოლი, კვიპროსი)	4	8	1	1	6	4:27	3
518	გრევენმახერი (ლუქსემბურგი)	5	10	1	1	8	9:32	3
519	არდსი (ჩრდ. ირლანდია)	4	8	1	1	6	9:35	3
520	მიკელი (ფინეთი)	5	10	1	1	8	6:33	3
521	HB (ტორსჰავნი, ფარერები)	5	11	1	1	9	4:35	3
522	რედ ბოისი (დიფერდანჟი, ლუქსემბურგი)	10	20	1	1	18	8:103	3
523	ტექსტილშიკი (კამიშინი, რუსეთი)	1	4	1	0	3	7:6	2
524	ბობრუისკი (ბელარუსი)	1	2	1	0	1	4:4	2
525	სერაინგი (ბელგია)	1	2	1	0	1	4:4	2
526	ნეფტოხიმიკი (ბურგასი, ბულგარეთი)	1	2	1	0	1	4:4	2
527	ისთანბულსფორი (თურქეთი)	1	2	1	0	1	4:4	2
528	ჰაპოელი (ირონი, ისრაელი)	1	2	1	0	1	3:3	2
529	ფრემად ამაგერი (დანია)	1	2	0	2	0	1:1	2
530	სალგეირუში (პორტუგალია)	1	2	1	0	1	1:1	2
531	ოდრა (ვოძისლავი, პოლონეთი)	1	4	1	0	3	7:8	2
532	სტავნეტი (ოდენსე, დანია)	1	2	1	0	1	5:6	2
533	ანჟელმი (საფრანგეთი)	1	2	1	0	1	3:4	2
534	ჩეზენა (იტალია)	1	2	1	0	1	3:4	2
535	არკა (გდინია, პოლონეთი)	1	2	1	0	1	3:4	2
536	კაენი (საფრანგეთი)	1	2	1	0	1	3:4	2
537	მარგვეთი (ზესტაფონი, საქართველო)	1	2	1	0	1	3:4	2
538	ბორი (იუგოსლავია)	1	2	1	0	1	2:3	2
539	კიკერსი (ოფენბახი, გერმანია)	1	2	1	0	1	2:3	2
540	ჟიული (პეტროშანი, რუმინეთი)	1	2	1	0	1	2:3	0
541	მერთირ ტაიდფილი (უელსი)	1	2	1	0	1	2:3	2
542	რადი (ბელგრადი, იუგოსლავია)	1	2	1	0	1	2:3	2
543	ოვიედო (ესპანეთი)	1	2	1	0	1	2:3	2
544	აპოლონი (ათენი, საბერძნეთი)	1	2	1	0	1	2:3	2
545	დუნავ რუსე (ბულგარეთი)	1	2	1	0	1	1:2	2
546	ვუპერტალერი (გერმანია)	1	2	1	0	1	6:8	2
547	ზაარბრიუკენი (გერმანია)	1	2	1	0	1	5:7	2
548	ვიქტორია 1904 (კიოლნი, გერმანია)	1	2	1	0	1	5:7	2
549	კასტილია (ესპანეთი)	1	2	1	0	1	4:6	2
550	საბადელი (ესპანეთი)	1	2	1	0	1	3:5	2
551	ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი)	1	2	1	0	1	3:5	2
552	პობედა (მრილეში, მაკედონია)	1	2	1	0	1	2:4	2
553	დასავლეთ ბერლინის ნაკრები (გერმანია)	1	2	1	0	1	1:3	2
554	KA (აკურეირი, ისლანდია)	1	2	1	0	1	1:3	2
555	შავეში (პორტუგალია)	1	4	1	0	3	6:9	2
556	ცსკა (კიევი, უკრაინა)	1	4	1	0	3	4:7	2
557	ბარეირენსე (პორტუგალია)	1	2	1	0	1	3:6	2
558	პორტიმონენსე (პორტუგალია)	1	2	1	0	1	1:4	2
559	სტად რენი (საფრანგეთი)	2	4	0	2	2	1:4	2
560	კომლოი ბანიაში (უნგრეთი)	1	2	1	0	1	4:8	2
561	სლობოდა (ტუზლა, ბოსნია)	1	2	1	0	1	4:8	2
562	ორდუსფორი (თურქეთი)	1	2	1	0	1	2:6	2
563	ნემანი (გროდნო, ბელარუსი)	1	2	1	0	1	2:6	2
564	კრემზერი (ავსტრია)	1	2	1	0	1	1:5	2
565	კოტაიკი (აბოვიანი, სომხეთი)	1	2	1	0	1	1:5	2
566	პიუნიკი (ერევანი, სომხეთი)	2	4	1	0	3	8:12	2
567	საქარიასფორი (თურქეთი)	1	4	1	0	3	3:7	2
568	გივიკი (ლინი, ნორვეგია)	1	2	1	0	1	1:6	2
569	კერიკ რეინჯერსი (ჩრდ. ირლანდია)	1	4	1	0	3	7:12	2
570	B 93 (კოპენჰაგენი, დანია)	1	4	1	0	3	5:10	2
571	ეტარი (ველიკო ტარნოვო, ბულგარეთი)	2	4	0	2	2	1:6	2
572	ნივა (ვინიცა, უკრაინა)	1	4	1	0	3	2:8	2
573	ოსიეკი (ხორვატია)	2	4	1	0	3	3:9	2
574	სედანი (საფრანგეთი)	2	4	1	0	3	5:12	2
575	გორიცა (სლოვაკეთი)	2	6	1	0	5	8:15	2

ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

იტალია

მილანი: იბრაჰიმ ბა (სევილია, ესპანეთი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზ (ტორინო), დეინან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან-პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), მატიას გრაფიედი (ჩეზენა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი)**; **ლაციო**: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა)**; **იუვენტუსი**: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი)**; **ინტერი**: ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), ნიკო დაბრიტცი (ვიჩენცა), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი)**; **ფიორენტინა**: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრეშანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ფაბრიციო რავანელი (მარსელი, საფრანგეთი), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე)**; **პარმა**: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), ჯუზეპე კარდონე (ვიჩენცა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი)**; **რომა**: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სელსო აიალა (ბეტისი, ესპანეთი), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)**; **ბოლონია**: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა)**; **უდინეზე**: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა); **ვინჩენცო მონტელა (სამპდორია), სილვა დოს სანტოს ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია)**; **ბარი**: მაურო ბრეშანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა)**

ინგლისი

მანჩესტერ იუნაიტედი: პეტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია); **მარკ ბოსნიჩი (ასტონ ვილა), ხორდი კრუიფი (სელტა, ესპანეთი)**; **არსენალი**: კაბა დიავარა (მარსელი, საფრანგეთი), დავიდ გრონდინი (სენტ ეტიენი, საფრანგეთი), სტივ ბოულდი (სანდერლენდი); **ოლეგ ლუჟნი (დინამო, უკრაინა), სილვინიო (კორინთიანსი, ბრაზილია), სტეფან მალცი (მიუნხენი, გერმანია)**; **ჩელსი**: **დიდიე დეშამპი (იუვენტუსი, იტალია), მარიო მელხიოტი (აიაქსი, ჰოლანდია), კრის სატონი (ბლეკბერნი)**; **ლივერპული**: სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), **აბუბაქარ „ტიტი" კამარა (მარსელი, საფრანგეთი), სტეფან ენჩოსი (ბლეკბერნი), სემი ჰიიპია (ტილბურგი, ჰოლანდია), ვლადიმირ შმიცერი (ლანსი, საფრანგეთი), სანდერ ვესტერველდი (ვიტესი, ჰოლანდია), ერიკ მეიერი (ლევერკუზენი, გერმანია)**; **ნიუკასლი**: დავიდ ტერეე (ნიცა, საფრანგეთი); **ფრანკ დუმა (მონაკო, საფრანგეთი), ალან გომა (პსჟ, საფრანგეთი), მარსელინო ელენა (მალიორკა, ესპანეთი)**; **ევერტონი**: იბრაჰიმ ბაკაიოკო (მარსელი, საფრანგეთი), ოლივიე დაკურტი (ლანსი, საფრანგეთი), მარკო მატერაცი (პერუჯა, იტალია); **ქოვენთრი**: **მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), იუსუფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია)**; **ასტონ ვილა**: სტენ კოლიმორი (ფულემი); **დევიდ ჯეიმსი (ლივერპული)**

გერმანია

ბაიერნი: ალი დაეი (ჰერტა), თომას ჰელმერი (სანდერლენდი); **პატრიკ ანდერსონი (მიონხენგლადბახი), პაულო სერჟიო (რომა, იტალია), როკე სანტა კრუსი (ოლიმპია, პარაგვაი), მიხაელ ვისინგერი (ნიურნბერგი)**; **დორტმუნდი**: თომას ჰესლერი (მიუნხენი), ბაშირუ სალუ (აინტრახტი); **ვიქტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), კრისტიან ვიორნსი (პსჟ, საფრანგეთი), ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი)**; **შალკე**: ფროდე გროდასი (რასინგი, ესპანეთი); **შტუტგარტი**: ფრანკ ვერლაატი (აიაქსი, ჰოლანდია), ფრედი ბობიჩი (დორტმუნდი); **სეზარ გორდონი (სან პაულუ, ბრაზილია)**;

ესპანეთი

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია)**; **რეალი**: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა); **ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი)**; **სელტა**: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ეჭტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა)**; **სარაგოსა**: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა)**; **ატლეტიკო**: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია)**; **ბეტისი**: სელსო აიალა (რომა, იტალია); **დეპორტივო**: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი* (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელ კოლმენერო (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა იოკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი),ვიკტორი (რასინგი, სანტანდერი)**; **მალიორკა**: დანი (ბარსელონა), მარსელინო ელენა (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა)**; **ბილბაო**: **ედუ ალონსო (სალამანკა), პაბლო ლესაკა (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი)**; **სოსიედადი**: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია); **ალავესი**: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვალენსია)**. **ვალენსია**: ოსკარ ტელესი (ალავესი), **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა)**. **რასინგი**: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიკტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი* (რასინგი)**. **მალაგა**: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი)**

საფრანგეთი

ბორდო: ალი ბენარბია (პსჟ), ივან პერესი (დეპორტივო, ესპანეთი), რომან ფერეე (მონპელიე), კიკი მუსამპა (მალაგა, ესპანეთი), ჯერემი სტინატი (ლორიანი); **ლორან ბარტლი (ტულუზი), ჟერომ ბონისელი (დეპორტივო, ესპანეთი), ჟულენ ესკუდო (კანი), ტედი რიშარი (ტულუზი), ჟან კრისტოფ რუვიე (მონპელიე), სტეფან ზიანი (დეპორტივო, ესპანეთი)**; **მარსელი**: სერჟ ბლანი (ლიონი), ფაბრიციო რავანელი (ფიორენტინა, იტალია), ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), დანიელ ბრავო (ნიცა), აბუბაქარ „ტიტი" კამარა (ლივერპული, ინგლისი), ლამი დიატა (რენი), სირილ დომორო (ინტერი, იტალია), ედსონი (რესიფე, ბრაზილია), ჰამადა ჟამბეი (ტულუზი); **იბრაჰიმ ბაკაიოკო (ევერტონი, ინგლისი), პავლო კალანდრია (ურაკანი, არგენტინა), სტეფან დალმა (ლანსი), ერიკ დეკრუა (ნანტი), კაბა დიავარა (არსენალი, ინგლისი), ლილიან მარტინი (მონაკო), სებასტიან პერესი (ბასტია), სტეფან ტრევიზანი (გინგამი)**; **მონაკო**: ჯიბრილ დიავარა (ტორინო, იტალია), ფრანკ დუმა (ნიუკასლი, ინგლისი), ფრანკ გავა (რენი), ვიქტორ იკპება (დორტმუნდი, გერმანია), ბრუნო აირლესი (რენი), ლილიან მარტინი (მარსელი), რობერტ შპეხარი (ვერონა, იტალია); **მარსელო გალიარდო (რივერ პლეიტი, არგენტინა), როხერი (ბარსელონა, ესპანეთი), მარკო სიმონე (პსჟ)**; **პსჟ**: ადაილტონი (ვერონა, იტალია), მარკო სიმონე (მონაკო), ალან გომა (ნიუკასლი, ინგლისი), მარკო პანტელიჩი (სელტა, ესპანეთი), კრისტიან ვიორნსი (დორტმუნდი, გერმანია); **ალი ბენარბია (ბორდო), კრისტიანი (ინტერნასიონალი, ბრაზილია), დომინიკ კასაგრანდე (სევილია), სეზარი (პორტუგეზა, ბრაზილია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური), ლორან რობერტი (მონპელიე)**;

სხვადასხვა

პორტუ (პორტუგალია): იუსუფ ჩიპო (ქოვენთრი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი); **სპორტინგი (პორტუგალია)**: გაბრიელ ჰაინცე (ვალიადოლიდი, ესპანეთი), სიმაო საბროსა (ბარსელონა, ესპანეთი); **პეტერ შმაიხელი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი)**; **ლიერსი (ბელგია)**: სტენლი მენცო (აიაქსი, ჰოლანდია); **რეინჯერსი (შოტლანდია)**: სტეფან გივარში (ოსერი, საფრანგეთი), ლიონელ შარბონიე (პერუჯა, იტალია)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * – უახლესი ტრანსფერი*

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ჩემპიონთა ლიგა. I შესარჩევი ეტაპი. II წრე

21.07	ქიაფაზი (აზერბაიჯანი) — სლოგა (მაკედონია)	(3,5-1,2)	2,4	2,8	2,7
	ტირანა (ალბანეთი) — ვესტმანაეიარი (ისლანდია)	(2,5-1,35)	2,0	2,8	3,5
	ფლორა (ესტონეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია)	(100,0- —)	4,4	3,1	1,7
	ვალეტა (მალტა) — ბარი თაუნი (უელსი)	(1,4-2,3)	1,7	3,0	4,0
	გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — ლიტექსი (ბულგარეთი)	(15,0-1,01)	3,6	2,9	1,9
	ჰაკა (ფინეთი) — ჰაფნარი (ფარერები)	(1,02-10,0)	1,15	5,6	10,0
	სკონტო (ლატვია) — ჟენესი (ლუქსემბურგი)	(— -25,0)	1,25	4,4	8,0
	ზიმბრუ (მოლდოვა) — სტ. პატრიკზი (ირლანდია)	(— -100,0)	1,4	3,5	7,0
	ცემენტი (სომხეთი) — ჟალგირისი (ლატვია)	(3,5-1,2)	2,1	2,9	3,2

ავსტრიის ჩემპიონატი. IV ტური

21.07	აუსტრია — ტიროლი	1,8	2,9	4,2
	ლუსტენაუ — ბრეგენცი	1,5	3,3	6,0
	რიდი — რაპიდი	4,2	2,9	1,8
	შტურმი — გრაცერი	1,6	3,0	5,6

შვეიცარიის ჩემპიონატი. IV ტური

21.07	არაუ — სტ. გალენი	2,7	2,8	2,4
	ბაზელი — გრასჰოპერი	3,2	2,9	2,1
	ლოზანა — სერვეტი	2,3	2,8	2,9
	ლუგანო — ლუცერნი	1,9	2,9	3,6
	ქსამაქსი — ივერდონი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	ციურიხი — დელემონი	1,25	4,4	8,0
	0:1	1,8	3,3	2,8

პოლონეთის ჩემპიონატი. I ტური

21.07	ვიძევი — პოლონია	1,7	3,0	4,7

რუსეთის ჩემპიონატი. XVII ტური

21.07	ჩერნომორეცი — ზენიტი	2,9	2,8	2,3
	შინიკი — სპარტაკი	6,5	3,6	1,4
	ურალანი — ცსკა	3,8	2,8	1,9
	ალანია — როტორი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
	კრილია — როსტსელმაში	2,4	2,8	2,7
	დინამო — ტორპედო	2,5	2,8	2,6
	ლოკომოტივი — ნ. ნოვგოროდი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
	ჟემჩუჟინა — სატურნი	1,9	3,0	3,3

ნორვეგიის ჩემპიონატი

22.07	ლილესტრიომი — ბრანი	2,0	2,9	3,4

ქვეყნის ჩემპიონატები

გერმანია

ბაიერნი	1,3
დორტმუნდი	4,0
ლევერკუზენი	5,0
კაიზერსლაუტერნი	6,0
ჰერტა	8,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,4
არსენალი	3,5
ჩელსი	4,0
ლივერპული	6,0
ლიდსი	8,0

საფრანგეთი

მარსელი	2,0
ბორდო	3,0
მონაკო	3,0
პსჟ	4,0
ლიონი	6,0
ნანტი	8,0
ლანსი	8,0

იტალია

მილანი	2,5
ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
ლაციო	3,0
პარმა	5,0
ფიორენტინა	7,0
რომა	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	1,6
რეალი	2,3
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	7,0
დეპორტივო	8,0
სელტა	8,0
ბილბაო	8,0
მალიორკა	8,0
სოსიედადი	8,0

პორტუგალია

პორტუ	1,7
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	4,0
ბოავიშტა	8,0

ჰოლანდია

აიაქსი	2,0
ფეიენოორდი	2,5
ეინდჰოვენი	2,5

ბელგია

ბრიუგე	2,2
ანდერლეხტი	2,2
გენკი	3,0
სტანდარდი	8,0

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	2,0
პანათინაიკოსი	2,0
აეკ	3,0
პაოკ	8,0

ჩეხეთი

სპარტა	1,6
სლავია	2,3
სიგმა	8,0
ტეპლიტე	8,0
ბანიკი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,5
ლეგია	2,5
ვიძევი	4,0
ლეხი	8,0
პოლონია	8,0

უკრაინა

დინამო კიევი	1,1
შახტიორი	6,0
კარპატი	8,0
ტავრია	8,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფერენბაჰჩე	3,0
ბეშიქთაში	5,0
ტრაბზონი	7,0

შოტლანდია

რეინჯერსი	1,6
სელტიკი	2,3

ავსტრია

რაპიდი	1,8
შტურმი	2,0
ზალცბურგი	4,0
აუსტრია	5,0
გრაცერი	8,0

შვეიცარია

გრასჰოპერი	1,8
სერვეტი	3,0
ციურიხი	4,0
ლოზანა	5,0

დანია

ბრონდბიუ	2,0
კოპენჰაგენი	3,0
ოლბორგი	3,0
სილკებორგი	5,0
აკდემიკსი	5,0

რიგელი გუნდი გამარჯვებს

მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

ჩემპიონთა თასი

CHAMPIONS LEAGUE

რიგელი ქვეყნის წარმომადგენელი გამარჯვებს

იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

UEFA CUP

რიგელი ქვეყნის წარმომადგენელი გამარჯვებს

იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რიგელი გუნდი გამარჯვებს

იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — აჰმედ მელაშვილის ქუჩა 23. (ყოფილი კამოს ქუჩა)
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ევროპის კადეტთა ჩემპიონატი

19 ივლისი

A ჯგუფი: საფრანგეთი — პოლონეთი 78:55, მაკედონია — ესპანეთი 95:69, ხორვატია — ლატვია 51:47

B ჯგუფი: იუგოსლავია — რუსეთი 81:66, თურქეთი — სლოვენია 69:54

საბერძნეთი 79:55 საქართველო

საბერძნეთი: კალაიციკისი (2), ზისისი (33), კუმბურასი (5), სპიროსი (2), გალისი, თეოსი (2), გეორგალისი (26), გოცისი, პაპადოპულოსი (4), მიცოპულოსი, ცანეტაკოსი (1), გიზოიანისი (4)

საქართველო: ვაშაკიძე, მარხვაშვილი, ხეცურიანი, ტულუში (15), სულაძე, ბერიშვილი (5), მარკოიშვილი (5), ჩავლეიშვილი, ფაჩულია (18), უგრეხელიძე (4), ცქიტიშვილი (8)

საბერძნეთი	4	4	0	304:251	8
იუგოსლავია	4	4	0	298:255	8
საქართველო	4	2	2	318:317	6
სლოვენია	4	1	3	255:266	5
თურქეთი	4	1	3	259:283	5
რუსეთი	4	0	4	257:319	4

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

მეორე ეტაპი

19 ივლისი

I ჯგუფი: ესპანეთი — ავსტრალია 80:75 (41:40), ხორვატია — საბერძნეთი 73:59 (29:25)

ხორვატია	1	1	0	73:59	2
ესპანეთი	1	1	0	80:75	2
ავსტრალია	1	0	1	75:80	1
საბერძნეთი	1	0	1	59:73	1

II ჯგუფი: ბრაზილია — რუსეთი 91:89 (32:44), აშშ — არგენტინა 83:71 (51:35)

აშშ	1	1	0	83:71	2
ბრაზილია	1	1	0	91:89	2
რუსეთი	1	0	1	89:91	1
არგენტინა	1	0	1	71:83	1

ჯგუფების ორ-ორი საუკეთესო გადანახევარფინალში

ბეჭანიშვილის ურალური კარიერა დასრულდა

სერგეი ბელოვს ქართველები არ სჭირდება


ვლადიმერ ბეჭანიშვილი

ფოტო ალექსანდრ ფილიპოვიჩისა

მორჩა, ვლადიმერ ბეჭანიშვილის ურალგრეიტული კარიერა უკვე წარსულს ჩაბარდა. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავდამსხმელს დიდი სურვილი კი ჰქონდა, კვლავაც პერმის გუნდში გაეგრძელებინა თამაში, მაგრამ „ურალ-გრეიტში" მწვრთნელად სერგეი ბელოვის მისვლამ ეს ვარიანტი საბოლოოდ გამორიცხა.

„რაში მჭირდება ქართველი გუნდში, როცა ადგილობრივი კალათბურთელებიც არავისზე ნაკლები არიან" — უთქვამს ბელოვს, რომელიც, ჩვენებური კალათბურთელის აზრით, მწარე ნაციონალისტია.

ახლა, როცა ბეჭანიშვილის პერმში ჩასვლა და ბელოვის მეთვალყურეობით ვარჯიში ჩაიშალა, ვაკოს სამომავლო გეგმებზე დავეკითხეთ. გუშინ მან გვითხრა:

„ახლა სხვა გუნდებთან ვაწარმოებ მოლაპარაკებას. ჩემით ბევრი რუსული კლუბია დაინტერესებული, მაგრამ უმეტესობა არცთუ სასურველ პირობებს მთავაზობს. საერთოდ იქ 5-6 ფინანსურად ძლიერი კლუბია და თუ წავალ, სწორედ ერთ-ერთ მათგანში. პირველ აგვისტომდე, ვფიქრობ, ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა."

ბეჭანიშვილისგანვე შევიტყვეთ, რომ „ურალ-გრეიტში" სეზონისწინა სამწვრთნელო საქმიანობისას ბელოვმა მხოლოდ ქართველი როდი უგულებელყო. ვაკოს გარდა ბელოვს ექვსი წამყვანი კალათბურთელი სხვაც დაუთხოვია გუნდიდან, მათ ნაცვლად კი უფრო ნაცად და თავისთვის სასურველი მოთამაშეების აყვანას ეშურება.

გორგი ბიკაშვილი

კუბა კალათბურთელებისგან იცლება


ექტორ პინო, რობერტო ერერა და ლასარო ბორელი გაქცევის შემდგომ პირველ პრესკონფერენციაზე

AP სან ხუანიდან

კუბიდან რომ ხალხი გარბის, არახალია. ისინი გარბიან ნებისმიერი მიმართულებით, მათთვის მთავარია ფიდელ კასტროს რეჟიმს გაექცნენ და თუ სად, ეს სულერთია.

სპორტსმენებს დიდი ნაწილი უჭირავთ ამგვარ ლტოლვილებში. მაგალითისთვის ბეისბოლისტი ორლანდო „ელ დიუკ" ერნანდესი გავიხსენოთ, რომლეიც 1997 წლის დეკემბერში გაიქცა კუბიდან და „ნიუ იორკ იანკიზს" დაუდო კონტრაქტი. „ელ დიუკს" ნახევარძმამ, ლივან ერნანდესმა მიბაძა. ახლა იგი „ფლორიდა მარლინზში" ირჯება.

1998 წელს კუბელი მოცურავეები პუერტო რიკოში იყვნენ შეჯიბრებაზე და, რადგან ეს ქვეყანა ადმინისტრაციულად აშშ-ის ტერიტორიაა, პოლიტიკური თავშესაფარი მოთხოვეს შტატების მთავრობას.

1993 წელს, იმავე პუერტო რიკოში კარიბეთის თამაშები ტარდებოდა. 42 კუბელი სპორტსმენი იქვე დარჩა. მათ შორის იყო კალათბურთელი ანდრეს გუიბერტი. ახლა იგი ისრაელში თამაშობს...

ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. აგერ კი, სულ ახალი ამბავი. პუერტო რიკოში მიმდინარე ამერიკის ზონის საოლიმპიადო შესარჩევი ტურნირის დროს, კუბის ნაკრების ოთხი წევრი სასტუმროდან წავიდა და ამერიკას პოლიტიკური თავშესაფარი მოთხოვა. ამიერიდან ცენტრები ლასარო ბორელი და ექტორ პინო, უკანახაზელები რობერტო ერერა და ანხელ კაბალერო კუბელ ლტოლვილთა რიგებს შეუერთდნენ. „ჩვენ დავტოვეთ სასტუმრო და უკან აღარ მივალთ. ჩვენ თავისუფლება გვინდა" — თქვა ბორელმა. საინტერესოა, რომ ამ ოთხეულის გაქცევიდან რამდენიმე საათში, აშშ-მა კუბას 88:52 მოუგო და ტურნირს გამოთიშა. ლტოლვილებს, ცხადია, არ უთამაშიათ.

24 წლის რობერტო ერერას მამა, რუპერტო ერერა კუბის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტია. ამ კაცს ერთი შვილი უკვე გაექცა — რუპერტო ხუნიორმა მაისში უშველა თავს და არგენტინას მიაშურა.

უფროსი რუპერტო ერერა კი პუერტო რიკოში იყო და შვილის გადაწყვეტილების გამო საშინლად გაცეცხლდა: „ცხოვრებაში ასეთი მძიმე დარტყმა არ მიმიღია. ჩემი შვილი დეზერტირია, მან მიატოვა გუნდი და ქვეყანა. ასე მხოლოდ მოღალატეები იქცევიან. კუბაში იგი გულშემატკივართა კერპი იყო, მას ყველაერი ჰქონდა, აბსოლუტურად ყველაფერი".

26 წლის ლასარო ბორელს, თურმე, დიდი ხანია სურდა კუბის დატოვება. პუერტო რიკოს ტურნირი ამისთვის ზედგამოჭრილი ყოფილა. კალათბურთელი დაკავშირებია კუბიდან კარგა ხნის წინ გალტოლვილ ხალხს და ესენიც დახმარებიან ოფიციალური საკითხების მოგვარებაში. ბორელის გაქცევა ფიდელ კასტროს რეჟიმისთვის ორმაგად მტკივნეულია: იგი ხომ კუბის პარლამენტის წევრი იყო.

ამერიკამ მტრის ხატი მოიგონა

ამერიკის ზონის შესარჩევი ტურნირი

მეორე ეტაპი

19 ივლისი

არგენტინა — ვენესუელა 95:71, კანადა — ბრაზილია 95:75, პუერტო რიკო — ურუგვაი 93:64, აშშ — დომინიკელთა რესპუბლიკა 107:71

აშშ: ჰიუსტონი (10), გარნეტი (7), დანკანი (13), პეიტონი (25), კიდი (13), სმიტი (7), ჰარდვეი (8), გულიოტა (1), ბეიკერი (8), შერბიაკი (8), ბრენდი (6)

ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დომინიკელთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მატჩი ერთი დიდი გარღვევა იყო. არა, ცუდი მნიშვნელობით არა, ფარქვეშ გარღვევას ვგულისხმობთ. მხოლოდ გერი პეიტონმა 11 ბურთი ჩააგდო ამ ხერხით, სულ კი 25 ქულას მოუყარა თავი. პეიტონმა 21 წუთი ითამაშა, მხოლოდ ორი ბურთი აცილა, თან ხუთი ჩაჭრა და ოთხი პასიც მიითვალა. მატჩის შემდეგ კი თქვა: „მე გავრბოდი, ისინი პასს მაძლევდნენ, მერე კი ვესროდი და ვაგდებდი. დღეს ყველაფერი მარტივად გამოვიდა. ხვალ, შესაძლოა, ასე არ მოხდეს."

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ხვალაც და ზეგაც, და საერთოდ, უახლოესი ათი წელიწადი მაინც, ასე მოხდება, ანუ, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ყველას გადაუვლის. რა მნიშვნელობა აქვს, პეიტონი გააკეთებს ამას, დანკანი, კიდი თუ ვინმე სხვა.

ამ შეხვედრაში ამერიკელებმა თავად გამოიგონეს მტერი: დომინიკელთა რესპუბლიკის უკანხაზელი ფელიპე ლოპესი, გუნდის ერთადერთი მოთამაშე, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ასპარეზობს. ლოპესი ძლიერია, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთო, ამბობდნენ მატჩის წინ ამერიკელები. ლოპესი კი თამაშობს ნბა-ში, მაგრამ აშშ-ის ნაკრებში ყველა იქაურია და მათაც იმისთანა მეურვეობა დაუწესეს, რომ დომინიკელმა 16 სროლიდან 5 ჩააგდო. რამდენჯერმე ისე გამეტებით შეუტიეს საბრალო ლოპესს, რომ ორჯერ ჩატენილი ბურთი ამოუვარდა კალათიდან, ხოლო ორჯერ ცარიელ ფარში ააცილა. მატჩის შემდეგ გაოგნებულმა დომინიკელმა თქვა, არც კი მახსოვს, ბოლოს ეგეთი რამეები როდის შემემთხვაო.

ამერიკელთაგან ტიმ დანკანი გამოირჩა: 13 ქულის გარდა მან 16 ბურთი მოხსნა და სამჯერ დააფარა. თამაშის ბოლოს კი თქვა: „ამ ტურნირზე ასე დაძაბულად არავისთან მითამაშია. ლოპესის მსგავს მოთამაშეებთან ფრთხილად უნდა იყო — მას იგივეს გაკეთება შეუძლია, რაც ჩვენ და ცოდნითაც, დაახლოებით, იმდენივე იცის."

ნეტავ თავად თუ სჯერა დანკანს თავის სიტყვების?

ამერიკის ნაკრების დარად წაუგებელ ასპარეზობას აგრძელებს ტურნირის მასპინძელი, პუერტო რიკოს ნაკრები. სავარაუდოდ, მათი ამგვარი სვლა 22 ივლისამდე გაგრძელდება. ამ დღეს კი, მეორე ეტაპის ბოლო ტურში, ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან და ერთერთს წაგება მოუწევს.

ხომ არ იცით, რომელი გუნდი წააგებს 22 ივლისს?


აშშ — დომინიკელთა რესპუბლიკა. ამერიკელმა ტიმ დანკანმა (თეთრ ფორმაში) ფარზე არავინ გაახარა

AP სან ხუანიდან

ბარკლის რიგი უდგას


ჩარლზ ბარკლის ფიქრის ჟამი უდგას

ჩარლზ ბარკლის მსგავსი მოთამაშე იშვიათია. მას არ აკლია ინდივიდუალური ტიტულები, სეზონის უძვირფასესი მოთამაშეც ყოფილა, მაგრამ არა აქვს მთავარი — საჩემპიონო ბეჭედი. მარტივად, ბარკლი ვერა და ვერ გახდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 1984 წელს მოსულ ბარკლის კარიერის განმავლობაში სამ გუნდში უთამაშია: „ფილადელფია 76"-ში, „ფინიქს სანზში" და „ჰიუსტონ როკიტსში". 1993 წელს ლიგის ფინალშიც იყო, მაგრამ მაიკლ ჯორდანმა და „ჩიკაგო ბულზმა" ბარკლის და მის „ფინიქს სანზს" ჩემპიონობა არ დაანებეს.

ბოლო ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ ბარკლი აცხადებს, რომ მიდის კალათბურთიდან. მერე გადის ორი-სამი თვე, სერ ჩარლზი უარობს თავის სიტყვებს და ამას ერთადერთი მიზეზით — მომავალ სეზონში ჩემპიონობის მოპოვებით ხსნის. ერთი ეგაა, ბარკლის არაფრით უმართლებს.

ამ სეზონის დამთავრებისთანავე ბარკლიმ გააკეთა ტრადიციული განცხადება გადადგომის შესახებ, მაგრამ ორშაბათს, ასევე ტრადიციულად, იგი უკან წაიღო. კალათბურთელის თქმით, იგი, სულ მცირე, ერთი სეზონით კიდევ დარჩება და ისეთ გუნდში ითამაშებს, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. ამჟამად ბარკლი თავისუფალი აგენტია და შეუძლია თავის სურვილის მიხედვით ეძებოს გუნდი.

კალათბურთელის თქმით, მას უკვე შეეხმიანნენ სამი გუნდის წარმომადგენლები და მომავალი სეზონისთვის მათთან გადაბარგება შესთავაზეს. ეს გუნდებია „ლოს ანჯელეს ლეიკერსი", „სიეტლ სუპერსონიქსი" და „იუტა ჯაზი" — ბარკლი გახარებულია და თვლის, რომ თუკი სამ გუნდს მისი მიწვევა სურს, ესე იგი კალათბურთის თამაში კიდევ შეუძლია.

ბოლო სამი სეზონი სერ ჩარლზმა „ჰიუსტონ როკიტსში" გაატარა. შემოთავაზებებს იგი არ აუმჩატებია. სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას არ აპირებს. დაფიქრდება, დააკვირდება რომელი გუნდი რას გააკეთებს შემადგენლობისა და თამაშის გასაუმჯობესებლად და მხოლოდ ამის მერე გააკეთებს არჩევანს. ამგვარ გუნდებში „როკიტსიც" შედის.

„ჰიუსტონში სიამოვნებით დავრჩები. გუნდს გაძლიერება სჭირდება, ხელმძღვანელობა კი ამას არ აკეთებს" — თქვა ბარკლიმ და დასძინა, რომ ახალი გუნდის ამორჩევისას ფინანსურ მხარეს პირველ პლანზე არ დააყენებს: „მე თამაში მინდა. მე ჩემპიონობა მინდა. ამ სეზონს კიდევ ვითამაშებ და თან იმ გუნდში, რომელიც ჩემპიონობაზე რეალურად იფიქრებს".

ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲐᲢᲝᲠᲜᲘ

ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების წევრები და მათი მწვრთნელები: ნიკო ელჩიევი, ზურაბ კახაბრიშვილი, დავით სებისკვერაძე, მინდია ბოდაველი, ზეზვა ებელაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ამირან ტოტიკაშვილი, გია თოთლაძე, სოსო მეზვრიშვილი, ჯაბა გოგიშვილი და შოთა ხაბარელი

ესპერგში ზეზვა ებელაშვილი საპატიო კვარცხლბეკზე ყველაზე მაღლა ავიდა

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა ძიუდო, რომელიც ამგვარი ასპარეზობების პროგრამაში მუდამ შედიოდა. ამასთან, ოლიმპიური დღეების ტატამზე ძალის გამოცდას თითქმის ყველა ქვეყანა ცდილობს. ესპერგში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე, მაგალითად, ძიუდოისტები ლამის ამ კონტინენტის ყველა ქვეყანამ გამოიყვანა. დანიის ამ ქალაქის ტატამზე 42 ქვეყნის წარმომადგენლები იბრძოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი შეჯიბრება ერთადერთი ოფიციალური ასპარეზობაა, სადაც ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ საქმეში ნახონ ძიუდოს მომავალი თაობა.

ჩვენთვის ამ შეჯიბრების მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მას დაესწრო საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი შოთა ხაბარელი. მასა და ჩვენც ესპერგში ევროპის ახალგაზრდულ V ოლიმპიურ დღეებზე საქართველოს ძიუდოისტთა იმედი გვქონდა, მაგრამ იმან, რაც მათ შეძლეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — საპატიო კვარცხლბეკი რვიდან მხოლოდ ერთ წონით კატეგორიაში (55 კგ) დარჩათ აუღებელი. ასეთი რამ კი დანიის ამ ქალაქში ვერავინ მოახერხა. ამასთან, როგორც „სარბიელის" მკითხველმა იცის, ჩვენმა ძიუდოისტებმა მედლების რაოდენობის მხრივ გუნდურ პირველობაშიც გაიმარჯვეს.

რამ განაპირობა ჩვენი ძიუდოისტების ასეთი წარმატება? როგორი პერსპექტივები აქვთ ამ გუნდის წევრებს? ამ და სხვა საკითხებზე ესპერგში ვესაუბრეთ საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორს ამირან ტოტიკაშვილს:

— სეოულის ოლიმპიადის სხდომაზე თქვით, ესპერგში სამივე ხარისხის თითო მედალს მოვიპოვებთო, დანიაში კი ერთი ოქროს, სამ-სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურეთ. ეს სასიამოვნო მოულოდნელობაა თუ თბილისში დადებული პირობა იყო თავის დაზღვევა?

— არავითარი თავის დაზღვევა არ ყოფილა. უბრალოდ, პროგნოზს ჩვენი მზადების ხარისხისა და პოტენციური შესაძლებლობების მიხედვით გამოვთქვამდი. გუნდი ისე მოვამზადეთ, რომ მან ზუსტად საესპერგოდ მიაღწია სპორტული ფორმის პიკს. ძალიან დაგვეხმარა საქართველოს განათლების სამინისტრო, რომელმაც ორი შეკრების ჩასატარებლად თანხა გამოყო. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ ესპერგში რვიდან ოთხ ფინალში გამოვედით, სულ კი შვიდი მედალი მოვიპოვეთ. ეს ამ თამაშების ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო და ალბათ უკანასკნელიც. ასეთ წარმატებას ალბათ ვერც ჩვენ გავიმეორებთ და ვერც სხვა.

— მაგრამ ესპერგში დაიწყო თუ არა ბრძოლები, პირველი დღიდან მოყოლებული ბოლომდე ამბობდით, დღეს ორივე წონაში მედალს ველითო და მართლდებოდა კიდეც პროგნოზი. მაგა მართლაც ჭამაში მოგდიოდათ თუ სხვა რამ გიორკეცებდათ ოპტიმიზმს?

— უბრალოდ, ესპერგში ჩასვლამდე მეტოქეებს არ ვიცნობდით და თბილისში რეალური პროგნოზის გაკეთება სათუო იყო. საქმე ისაა, რომ ამ ასაკის ძიუდოისტებისთვის არც ევროპის ჩემპიონატები ტარდება, არც მსოფლიოსი. ევროპის ჩემპიონატებს 2000 წლიდან ჩაეყრება საფუძველი, მანამდე არის მხოლოდ ევროპის ოლიმპიური დღეები, რაც ახალგაზრდა ძიუდოისტებისთვის უდიდესი სკოლაა, მისთვის მოსამზადებლად კი რჩება საერთაშორისო ტურნირები, მაგრამ რად გინდა, იქ უსახსრობის გამო ვერ დავდივართ. არადა, ძიუდოისტი, ნებავთ სხვა სახეობათა წარმომადგენელი, მხოლოდ ვარჯიშით ვერ გაიზრდება. ჩვენ მოსამზადებლად მხოლოდ თურქეთისა და აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირებზე გამოვედით, მაგრამ მათი დონე საქართველოს პირველობებისაზე ნაკლები იყო. მაგალითად, თურქეთში მასპინძლთა და ჩვენს გარდა მხოლოდ აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის გუნდები გამოდიოდნენ. ამიტომაც, როცა ესპერგში ჩავედით და მეტოქეებს გადავხედეთ, საღერღელიც აგვეშალა. ბიჭების განწყობილებაც მეტად საბრძოლო იყო. სულ ცქმუტავდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის გავიდოდნენ საბრძოლველად.

— და მაინც, გვეჩვენება, რომ ჩვენ ბიჭებს მეტი ოქროს მოპოვებაც შეეძლოთ. ისინი ფინალამდე ძლევამოსილად მიიწევდნენ, მაგრამ ოქროს მედლისთვის გადამწყვეტ შეხვედრაში რაღაც ემართებოდათ.

— მართლაც, კიდევ ორი ოქროს მოპოვება შეგვეძლო, მაგრამ ბიჭები გამოუცდელობის გამო დამარცხდნენ. დარწმუნებული ვარ, ისინი მეტოქეებივით რომ გამოსულიყვნენ საფრანგეთის, პოლონეთისა და სხვა ტურნირებზე, ოქროს სხვას არ აჩუქებდნენ. ვგულისხმობ დავით სებისკვერაძის, გიორგი თოთლაძის გამოსვლებს... ჩვენი ბიჭები ფინალებამდე ყველა ბრძოლას ლაღად და თავისუფლად ატარებდნენ, ბოლოს კი, როცა ოქრომდე პრაქტიკულად აღარაფერი რჩებოდა, რა-გორღაც შებოჭილად ვიდაობდნენ და განცდებში იყვნენ, მეტოქენი კი ეფექტურად გამოდიოდნენ.

— როგორ ფიქრობთ, ამ ბიჭებიდან ვინ დაიმკვიდრებს ადგილს საქართველოს უპირველეს ნაკრებში, ვინ მოხვდება დიდ ტატამზე?

— დღესდღეობით ისე ჩანს, რომ სხვებზე მეტი პოტენციალი აქვთ ზეზვა ებელაშვილს, ზვიად ხანჯალიაშვილს, დავით სებისკვერაძეს, სოსო მეზვრიშვილს. უპერსპექტივონი არც სხვები არიან, მაგრამ თუ უნდათ, რომ დიდ სპორტში მოვიდნენ და თავინთი სიტყვა თქვან, მათ დღესვე უნდა დაივიწყონ ესპერგში მოპოვებული მედლები და ახალზე იფიქრონ. ოღონდაც, ხელშეწყობაა საჭირო. საჭიროა შეკრებების გამართვა, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა, იქაურ საშეჯიბრო ატმოსფეროსთან შეჩვევა, მეტოქეთა შესწავლა, ილეთების ნამდვილ ბრძოლაში გამოცდა... აი, ყოველივე ამას მოაქვს ოსტატობა და გამოცდილება. ვიმეორებ, მხოლოდ ვარჯიშით ფონს ვერ გავალთ. ყოველივე ამასთან საჭიროა ცოტაოდენი ყურადღება და მზრუნველობაც, ისეთი, როგორსაც ვთქვათ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იჩენს. იგი ჩვენს ახალგაზრდა, პერსპექტიულ ძიუდოისტებს სტიპენდიებს უნიშნავს, ტრადიციულად ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების პრიზიორთ შესაბამისი პრემიალური თანხითაც აჯილდოებს. გამონაკლისი არც ესპერგი იყო, სადაც ოლიმპიურ სოფელში სეოკ-ის ხელმძღვანელობა მოვიდა, მედალოსნებს წარმატებები მიულოცა, შეაქო და პრემიებიც გადასცა.

— როცა დიდ სპორტში ჩვენი ბიჭების მოსვლის პერსპექტივებზე ვსაუბრობდით, გაგახსენდა, რომ იქ სწორედ ევროპის ახალგაზრდულმა ოლიმპიურმა დღეებმა დაულოცა გზა ივერი ჯიქურაულს, გიორგი გუგაგას, მაგრამ გვახსენდება ბათში ამგავარი თამაშების ჩემპიონი დავით ჯავახიშვილი და ლისაბონში მესამე პრიზიორი გელა ბარათაშვილი, რომელმაც შარშან მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზეც მესამე ადგილი დაიკავა. სპეციალისტები მათ უწინასწარმეტყველებდნენ დიდ ტატამზე წარმატებებს, მაგრამ მათზე აღარაფერი ისმის.

— ჯავახიშვილს, სამწუხაროდ, მხარი ამოუვარდა და მას მერე პრაქტიკულად ვარჯიში ისე არ ჩაივლიდა, რომ ტრავმა არ განმეორებულიყო. ამიტომ ძიუდო მიატოვა. ბარათაშვილი კი, რაიონიდან ჩამოსული ეს ხელმოკლე ბიჭი, თბილისში სიმარტოვეში ცხოვრობდა. მას ყოველდღიურად სავარჯიშოდ წასასვლელი სამგზავრო ფულიც არ ჰქონდა. ამიტომ მიატოვა თბილისი და დაუბრუნდა თავის რაიონს, სადაც სავარჯიშო პირობები არა აქვს. ბარათაშვილს მიხედვა სჭირდებოდა, მისთვის თვეში 50 ლარიც რომ მიეცათ, იქნებ ძიუდოში დარჩენილიყო კიდეც. ასეთი და ამგვარი უყურადღებობა აღარ უნდა განმეორდეს, თორემ შეიძლება ძიუდოისტებმა სხვებიც დაკარგოთ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲙᲘᲕᲘᲚᲘ

ესპერგი — თბილისი. ავტორის ფოტოები

ᲥᲣᲠᲪᲘᲙᲔᲑᲘ ᲕᲝᲚᲐᲑᲔᲑᲛᲐᲪ ᲛᲝᲘᲜᲐᲓᲘᲠᲔᲡ

Tri Nations

ᲑᲠᲘᲡᲑᲔᲜᲘ. 17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
„ᲡᲐᲜᲙᲝᲠᲞ ᲡᲢᲔᲓᲘᲣᲛᲘ"
31 667 ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ — ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

32:6 (20:6)

ავსტრალია: კროული, პოლი (კერნსი), ნორიეგა, გიფინი, ველბორნი, ქოქბეინი (კონორსი), ვილსონი, კეფუ (სტრაუსი), გრეგანი, ჰორანი, როფი, გრეი, ჰერბერტი, თიუნი, ბურკი
4ლ — როფი (2), ჰორანი, ბურკი; 3გ და 2ს — ბურკი
სამხრეთ აფრიკა: დურანი (ლერუ, მეიერი), დროცკე, ვისაჯი, ბუმი, ოტო, ერასმუსი, ვენთერი, ლენარდი, სვენპოლი, ვან სტრატენი, ტერბლანში, მიულერი (კაიზერი), ფლეკი (ვან ჰოსლინი), პოულსი (როსოუ), მონტგომერი
2ს — ვან სტრატენი
მსაჯი: ჰედი ობრაიანი (ახალი ზელანდია)

ᲪᲣᲓᲐᲓᲐᲐ მსოფლიოს ჩემპიონისა და სამი ერის შარშანდელი გამარჯვებულის — სამხრეთ აფრიკის საქმე. ჯერ იყო და, წინა კვირას სამი ერის პირველ მატჩში აფრიკელები ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსთან" შერკინდნენ, ახლა კი „ქურციკები" ავსტრალიელმა „ვოლაბებმა" დაამარცხეს და გარკვეულწილად რევანში აიღეს წინა სამ შეხვედრაში დამარცხებისთვის. აფრიკელებმა ბოლოს ასეთი დიდი ანგარიშით ახალ ზელანდიელებთან წააგეს. მართალია, ავსტრალიელებმა იოლად გაიმარჯვეს, მაგრამ ასე მეტოქის სუსტი თამაშის ფონზე ჩანდა. აფრიკელებზე, ალბათ, რამდენიმე ტრავმირებული მოთამაშის არყოფნამ იქონია გავლენა. მათი დაცვა ამ მატჩში სრულიად მოშლილი იყო, ხოლო შეტევებს მიზანმიმართულება და სიმწვავე აკლდა. „ქურციკები" რომ მსოფლიო თასზე ფავორიტებად ითვლებიან, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ასეთი ბურთაობით მათ ჯგუფიდან გასვლაც გაუჭირდებათ.

REUTERS ბრისბენიდან

გარი ტაიხმანის ნაცვლად მობურთალ აფრიკელ ანტონ ლენარდს ავსტრალიელმა უორენ სონპოლმა გადაუღობა გზა

ავსტრალიელები კი, პირიქით, აღმავლობის გზაზე დგანან — თანდათან ფორმაში შედიან, ხელით კარგად ირჯებიან, კომბინაციური თამაშიც გამოსდით. ამას დაუმატეთ დაცვის შეთანხმებული მოქმედება, მშვენიერი შერკინება და ყველაფერი ნათელი გახდება.

მატჩის საწყისი წუთები „ქურციკთა" უპირატესობით წარიმართა. აფრიკელები შერკინებაში მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ რადგან უკანა ხაზის მობურთალნი არ ჰყავდათ, უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და თამაშის სადავეები ნელ-ნელა ავსტრალიას გადაულოცეს. პირველი ლელო ხანგრძლივი შეტევის შემდეგ ჰორანმა გაიტანა. მან ძალისმიერ ბრძოლაში დაჩაგრა ფლეკი და მოწინააღმდეგის ლელოში ბურთი ნახტომში დაამიწა. მანამდე კი ბურკმა და ვან სტრატენმა ზუსტად შეასრულეს ორ-ორი საჯარიმო დარტყმა. რამდენიმე წუთში იმავე ჰორანმა მეტ ქოქბეინის წინააღმდეგობა დაძლია, მაგრამ ზედ ლელოს ხაზთან ბურთი გაუვარდა. ამას თამაშის მსვლელობაზე დიდი გავლენა არ მოუხდენია. პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ბურკმა ანგარიშში სხვაობა გაზარდა — თავისივე ლელო თვითონ გარდასახა და ავსტრალია სოლიდურად დაწინაურდა.

მეორე ტაიმში „ვოლაბებმა" კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ აფრიკელები დიდი სხვაობით დამარცხდებოდნენ. ინგლისელებთან შეხვედრაში საუკეთესოდ აღიარებულმა ავსტრალიელმა როფმა არც აქ შეირცხვინა თავი და ორი ლელო გაუტანა მოწინააღმდეგეს. ბურკმა მხოლოდ ერთი გარდასახა და საბოლოო ანგარიში დაფიქსირა 32:6.

მატჩის შემდეგ გაირკვა, რომ აფრიკელებს ორი მოთამაშე — პიტერ მიულერი და ოზ დურანტი ისე დაშავებიათ, რომ ისინი ერთი თვით გამოაკლდებიან თავიანთ ნაკრებს.

„ბევრი თვლის, რომ გუნდი კრიზისშია, მაგრამ მე მგონია, ეს სიმართლისგან შორსაა. ჩვენ ძიების პროცესში ვართ და სხვადასხვა ვარიანტს ვამუშავებთ. ბუნებრივია, ასეთ დროს ლამაზ და შედეგიან თამაშს ვერ ვაჩვენებთ. მალე ტრავმირებული მობურთალებიც დაგვემატებიან და გუნდი მზად იქნება მსოფლიო თასისთვის საბრძოლველად" — ეს სიტყვები აფრიკელთა მთავარ მწვრთნელს, ნიკ მალეტს ეკუთვნის.

ავსტრალიელთა დამრიგებელი როდ მაკქვინი სულ სხვანაირად ფიქრობდა:

„სამხრეთ აფრიკა ძალიან ძლიერი გუნდია. მართალია, მას აკლდა ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე, მაგრამ ეს სრულებითაც არ აკნინებს ჩვენს გამარჯვებას. ნაკრების კანდიდატები კარგ ფორმაში არიან, მათი შერჩევა ძალიან ძნელია. ჩემი აზრით, მსოფლიო თასზე უპირველესი ფავორიტები ჩვენ ვართ. მომავალ კვირას ახალ ზელანდიას ვეთამაშებით და იქ გამოჩნდება ავსტრალიელთა ძალა".

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

24 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ — ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ

7 Ა�გᲕᲘᲡᲢᲝ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ

14 ᲐᲗᲕᲘᲡᲢᲝ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐ — ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ

28 ᲐᲗᲕᲘᲡᲢᲝ
ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲡᲐᲚᲔᲩᲘᲡᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ავსტრალია	1	1	0	0	32:6	4:0	1	5
ახ. ზელანდია	1	1	0	0	28:0	3:0	0	4
ს. აფრიკა	2	0	0	2	6:60	0:7	0	0

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, მეოთხე ლელოს გატანა ანაც არაუმეტეს 7 ქულით დამარცხება — 1 პრემიალური ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

THE ATHLETES OF THE CENTURY . THE BEST 25

XX და პრესა: 25 რჩეული

სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციამ ახალი საუკუნის დადგომასა და საკუთარი არსებობის 75 წლისთავთან დაკავშირებით, გადაწყვიტა ჩვენი საუკუნის ოცდახუთი საუკეთესო სპორტსმენი დაესახელებინა.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრები მსოფლიოს 132 ქვეყანაში არიან გაფანტულნი, ამიტომ ასოციაციის უფროსობამ მთავარი რეზიდენციიდან — ბუდაპეშტიდან სწორედ ამდენ ქვეყანაში აფრინა საგანგებო ბიულეტენები. პასუხები 75 ქვეყნის ჟურნალისტებმა გაგზავნეს. საჭირო გამოთვლების შემდეგ დადგინდა, რომ საუკეთესოთა შორის მოხვდა ხუთი მძლეოსანი, ოთხი ტანმოვარჯიშე, ამდენივე ფეხბურთელი, ორ-ორი მოცურავე, მოკრივე და ფორმულა 1-ის პილოტი, თითო ჰოკეისტი, კალათბურთელი, ძალოსანი, მოთხილამურე და ველოსიპედისტი.

კონტინენტთა მიხედვით კი სპორტსმენები ასე განლაგდნენ: ევროპის 11 ქვეყნიდან სიაში 13 გამორჩეული მოხვდა, ჩრდილო ამერიკის 2 ქვეყნიდან — 6, სამხრეთ ამერიკის ამდენივე ქვეყნიდან — 2, ზუსტად ამდენივე აზიიდან და თითო ოკეანეთიდან და აფრიკიდან.

მძლეოსანთაგან გამოირჩნენ კენიელი სტაიერი, სამი ოლიმპიადის მონაწილე და ორში ოქროს მომგები კიპჩოგე კეინო, რომელიც ახლა კენიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია; ამერიკელი კარლ ლუისი, რომელმაც 1984-96 წლებში 9 ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო; ფეხბურთელთაგან დაფასდნენ პელე, ბობი ჩარლტონი, ფერენც პუშკაში და ფრანც ბეკენბაუერი. მოკრივეთაგან დიადი მუჰამედ ალი და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი ლასლო პაპი, რომელიც კომუნისტურმა რეჟიმმა პროფესიონალებში არ გაუშვა; ფორმულა 1-ის ხუთგზის ჩემპიონი არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო და ბოლიდის ნამდვილი გმირი ავსტრიელი ნიკი ლაუდა კი მხარს უმშვენებენ უეინ გრეცკის, ალექსანდრ კარელინსა და მაიკლ ჯორდანს...

საუკეთესო ოცდახუთში ვერ გაერივნენ, მაგრამ მიზანთან ახლოს იყვნენ ეთიოპიელი მორბენალი, აბებე ბიკილა, ნორვეგიელი მოთხილამურე ბიორნ დალი, ავსტრალიელი ჩოგბურთელი როდ ლეივერი, რუსი ჭოკით მხტომელი სერგეი ბუბკა და ჰოლანდიელი მორბენალი ფანი ბლანკერს კოენი.

სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას ჯერ არ ჩაუტარებია დაჯილდოვების ცერემონიალი. ამ შემთხვევაში პრობლემა ის იქნება, მოახერხებს თუ არა ასოციაცია ყველა ლაურეატის ბუდაპეშტში თავშეყრას.

პაავო ნურმი

ხუან მანუელ ფანხიო

ჯესი ოუენსი

დონ ფრეზერი

ლასლო პაპი

ლარისა ლატინინა


კიპჩოგე კეინო

ჟან კლოდ კილი

მარკ სპიტცი

ედი მერქსი


კარლ ლუისი


ნაიმ სულეიმანოღლუ

XX საუკუნის მსოფლიოს 25 საუკეთესო სპორტსმენი			ოლიმპიური ოქრო	მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო	მსოფლიო რეკორდი
ფრანც ბეკენბაუერი	გერმანია	ფეხბურთი	—	1	—
ბობი ჩარლტონი	ინგლისი	ფეხბურთი	—	1	—
ნადია კომანეჩი	რუმინეთი	ტანვარჯიში	5	2	—
ხუან მანუელ ფანხიო	არგენტინა	ავტორბოლა	—	5	—
დონ ფრეზერი	ავსტრალია	ცურვა	4	—	27
უეინ გრეცკი	კანადა	ჰოკეი	—	1	—
მაიკლ ჯორდანი	აშშ	კალათბურთი	2	—	—
ალექსანდრ კარელინი	რუსეთი	ჭიდაობა	3	8	—
სავაო კატო	იაპონია	ტანვარჯიში	8	1	—
კიპჩოგე კეინო	კენია	მძლეოსნობა	2	—	3
ჟან კლოდ კილი	საფრანგეთი	თხილამურები	3	4	—
ლარისა ლატინინა	რუსეთი	ტანვარჯიში	9	7	—
ნიკი ლაუდა	ავსტრია	ავტორბოლა	—	1	—
კარლ ლუისი	აშშ	მძლეოსნობა	9	8	9
ნინგი ლი	ჩინეთი	ტანვარჯიში	3	6	—
ედი მერქსი	ბელგია	ველოსპორტი	—	4	1
მუჰამედ ალი	აშშ	კრივი	1	3	—
პაავო ნურმი	ფინეთი	მძლეოსნობა	9	—	22
ჯესი ოუენსი	აშშ	მძლეოსნობა	4	—	6
ლასლო პაპი	უნგრეთი	კრივი	3	—	—
პელე	ბრაზილია	ფეხბურთი	—	3	—
ფერენც პუშკაში	უნგრეთი	ფეხბურთი	1	—	—
მარკ სპიტცი	აშშ	ცურვა	9	—	33
ნაიმ სულეიმანოღლუ	თურქეთი	ძალოსნობა	3	22	45
ემილ ზატოპეკი	ჩეხეთი	მძლეოსნობა	4	—	18

გადიდგულებული ედი ირვინი (მარცხნივ) ჰაკინენსაც (შუაში) ემუქრება და კულჰარდსაც

მადა ჭამაში მოდის

ირვინი საჩემპიონოდ იმოსება

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

„ფერარის“ ყოფილი მეორე პილოტი ახლა კი №1 ედი ირვინი უმადობას არასდროს უჩიოდა, შუმახერის დამტვრევის შემდეგ კი ირლანდიელის სანერწყვე ჯირკვლები ახალი ძალით ამუშავდა.

„მე „ფერარიში“ სამწელიწადნახევარია ვარ, ახლა მომეცა შანსი, რომელსაც დიდხანს ველოდი. ჩემი მოწაფეობის პერიოდი დასრულდა. შუმახერი სამი წელიწადი ცდილობდა მათ დამარცხებას (იგულისხმება „მაკლარენი“ და „უილიამსი“), ასეთივე შესაძლებლობა ბოლოს და ბოლოს მეც გამომიჩნდა. ჩემი მსოფლიოს ჩემპიონად გახდომის შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. არა მგონია, რომ კულჰარდს, რომელიც 18 ქულით ჩამორჩება ჰაკინენს, საამისო შესაძლებლობა ჰქონდეს, აი, მე კი ნამდვილად მაქვს“.

ის საკმაოდ მაღალი პოტენციალი, რაც დღეს „ფერარის“ აქვს, ცხადია, ინჟინრების და ნაწილობრივ შუმახერის დამსახურებაც არის. დღევანდელი „ფერარი“ რომ იმ, სამი წლის წინანდელ „ფერარის“ გაცილებით ჯობს, იქიდანაც ჩანს, რომ კონსტრუქტორთა თასზე ჯერჯერობით მაინც იტალიური მანქანა ლიდერობს.

რაც შეეხება თვითონ ირვინის სურვილებსა და გამონათქვამებს:

ოცნებას ვერავის აუკრძალავ, პირიქით, ღმერთმა ხელი მოუმართოს და წლეულს კი არა, მომავალ სეზონშიც ჩემპიონად გვეხილოს, მაგრამ ობიექტურობისა და თავდაჭერილობის დაკარგვა ვერაფერი კარგი ნიშანია.

სამი წლის წინათ როცა შუმახერი და ირვინი „ფერარიში“ მივიდნენ იტალიელთა სათაყვანებელი წითელი რაში სულს ღაფავდა. ქვეყანამ იცის, რომ შარშანწინ და შარშან ჩემპიონის ტიტულამდე შუმახერს ერთი იღბლიანი ნაბიჯიღა აშორებდა. სწორედ ტოდტის, სხვა ინჟინრებისა და შუმახერის წყალობით დღეს „ფერარი“, როგორც იქნა, გაუსწორდა „მაკლარენს“. ამიტომ უფრო კორექტული იქნებოდა ზემოთ მოყვანილი ფრაზა ცოტა განსხვავებული ვერსიით დასცდენოდა „ფერარის“ აწ უკვე №1 მრბოლს: მაგალითად ასეთით: „სამი წელი იშრომა შუმახერმა სხვებთან ერთად, რომ დღეს ჩემთვის ისეთი მანქანა ჩაებარებინათ, როგორითაც სავსებით შესაძლებელია ჩემპიონობისთვის ბრძოლა“. სხვათა შორის, ცუდი არ იქნებოდა კაცური მადლობაც გადაეხადა შუმახერისთვის მასზე გაწეული ამაგის გამოც.

ირაკლი ბერიაშვილი

ბრძოლა სილვერსტოუნისთვის

დიდი ტრადიციების მქონე და ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტრასა „სილვერსტოუნი“ ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. მას ინგლისში სახიფათო კონკურენტი, „ბრენდს ჰეჩი“ გამოუჩნდა.

2003 წლიდან აქ ინგლისის დიდი პრიზის გამართვაზე თანხმობა უკვე ყოვლისშემძლე ბერნი ეკლსტოუნმაც კი განაცხადა, მაგრამ „სილვერსტოუნს“ იმედი ჯერაც არ დაუკარგავს. ეკლსტოუნის სიტყვის გარდა ხომ ასეთი მაღალი დონის შეჯიბრის მასპინძლობისთვის ტრასა FIA-ს მოთხოვნებსაც უნდა აკმაყოფილებდეს.

ამჟამად „ბრენდს ჰეჩი“ არცთუ საშურველ დღეშია, ავტოდრომს სერიოზული რეკონსტრუქცია, ანუ დიდი თანხების დაბანდება ესაჭიროება.

ახალი ტრასის პატრონი, ვინმე მის ფულსტონი კი ბოლო ხანებში მეორე ფრონტზეც იბრძვის — მისი კომპანია ცდილობს „სილვერსტოუნის“ განმგებელ ბრიტანელ ავტომრბოლთა კლუბის წევრებისგან, ასეთი კი სულ 834-ია, აქციების გამოსყიდვას, თითოს 60 ათას გირვანქად.

იმისთვის, რომ „სილვერსტოუნზე“, მასთან კი ინგლისის დიდ პრიზზე კონტროლის უფლება ფულსტონთან გადავიდეს, კლუბის წევრთა 75 პროცენტის თანხმობა ანუ დაახლოებით 60 მილიონი დოლარია საჭირო. თანაც ამჟამად ფულსტონი სემინარებსაც აწყობს, რათა ისინი აქციების გაყიდვის საჭიროებაში დარწმუნოს.

თუმც მის ფულსტონის გეგმებს დიდი ოპოზიციაც ყავს. ავტომრბოლთა კლუბის პრეზიდენტმა ლორდ ჰესკეტმა ეს წამოწყება ბრიტანული ავტოსპორტისა და კლუბის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოაცხადა და წევრებს მოუწოდა პროვოკაციებზე არ წამოგებოდნენ.

„სილვერსტოუნზე“ ბრიტანეთის დიდი პრიზის დარჩენის იდეას წერილობით მხარი ბოლო დღეებში მეტად გავლენიანმა პიროვნებებმა, რონ დენისმა და ფრენკ უილიამსმა დაუჭირეს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მთავარი როლი ბრიტანული ავტოსპორტის განვითარების საქმეში ავტომრბოლთა კლუბმა უნდა ითამაშოს და არა გვგონია, ფულსტონის წინადადებები ეროვნული ავტოსპორტის ინტერესებს შეესაბამებოდეს“.

განსხვავება ამ ორს შორის კი მართლა დიდია: ფულსტონი კერძო მფლობელთა ინტერესებს ემსახურება, კლუბი კი საზოგადოებრივი გაერთიანებაა, რომელიც შემოსავლის დიდ ნაწილს მართლაც ეროვნული ავტოსპორტის მხარდასაჭერად იყენებს.

ძახა არჯევანიძე

იყიდება

3-ოთახიანი ბინა, დამატებით მე-4 ოთახი,
საერთო ფართი 104 კვ.მ.
ბარნოვის 71, მე-2 სადარბაზო, 2/9 სართული. შესასვლელი
აგრეთვე კეკელიძის ქუჩიდან (გამოდგება საოფისედ).
ტელ.: 22-75-07, 69-52-58

გზა მაღალი საზოგადოებისკენ

ფრენკ მელოუნი ქართველ მოკრივეებს მფარველობს და აგარაკზე ჯო ფრეზერის კომპანიაში იწვევს

დასაწყისი პირველ გვერდზე

ქართველ პროფესიონალთა ტრიო ლონდონში: კობა გოგოლაძე, გიორგი კანდელაკი და მამუკა წიკლაური

თავში ვთქვით, გოგოლაძესა და წიკლაურს დიღომში, ფეხბურთელთა ბაზაზე შეეხვდით-მეთქი. ალბათ იკითხავთ, სად ფეხბურთი და სად კრივი. საქმე ისაა, რომ ინგლისში გამგზავრებამდე კობას „დინამოს" დირექტორატის წევრები მერაბ რატიანი და ლერი სულაბერიძე ამოუდგნენ მხარში. სავარჯიშოდ ბაზის ტერიტორია დაუთმეს და მოსამზადებლად საუკეთესო პირობებიც შეუქმნეს. ინგლისიდან დაბრუნებულმაც დინამოელთა ნავსაყუდელს მიაშურა და ჩვენი საუბარიც იქ შედგა:

— პროფესიულ რინგზე გამართული ბრძოლების კვალი სახეზე გეტყობა, წარბი რომელ ბრძოლაში დაიზიანე?

— მეორეში, ინგლისელ ვუდი გროუნვენთან ჩხუბისას. პირველ რაუნდში მისი მარჯვენა პირდაპირ წარბში მომხვდა და ბლომად სისხლიც დავკარგე. ტკივილი ტკივილად და უფრო ის მაშინებდა, რეფერის ბრძოლა ტრავმის გამო არ შეეწყვიტა. ასეთ შემთხვევაში ხომ გამარჯვების გროუნვეის მიაკუთვნებდნენ, მაგრამ, როგორც იცით, ყველაფერი კარგად დამთავრდა — ინგლისელს მეორე რაუნდში ნოკაუტით ვაჯობე.

— ნოკაუტით ვაჯობეო — ახლა ამის თქმა იოლია. წარმომიდგენია, წარბგახეთქილი და ამით შეშინებული, ბრძოლა არ გააჩერონო, რა გუნებაზე იქნებოდი. ალალად მითხარი, იმ წუთში გამარჯვებისა თუ გჯეროდა?

— დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში, ჯერ ერთი, ლენოქს ლუისის კოლეჯში ორთვიანმა მზადებამ თავისი შედეგი გამოიღო, ფიზიკურად მოვლონიერდი, პროფესიული კრივის წვრილმანებშიც მეტ-ნაკლებად გავერკვიე, მეორეც: მანამდე ხომ ერთი ბრძოლა ჩავატარე და პროფესიული კრივის გარემოს ასე თუ ისე ალღო ავუღე. ბოლოს კი, მეტოქის შიში და რიი არასდროს მქონია და რაღა გროუნვეის მოვერიდებოდი. თანაც დასაკარგი არაფერი მქონდა — შევუტიე და მოვიგე კიდეც.

— მერე კი რინგზე გიორგი კანდელაკი გავიდა.

— გავიდა და იმ საწყალ სპასოვს ისეთი დღე აყარა, მტერს არ უსურვებს კაცი. ამდენი ხანია გიორგის ვიცნობ, ბავშვობიდან ერთად მოვდივართ, მისი უამრავი ბრძოლა მინახავს, მაგრამ ასეთ კარგ ფორმაში არასდროს ყოფილა. რინგზე გასვლა იყო და, დროის მცირე მონაკვეთში იმდენჯერ უთავაზა ბულგარელს, რომ საცოდავმა ხელის განძრევაც ვერ მოახერხა. ერთსაც გეტყვით, ბრძოლის დაწყების წინ გიორგი „ავაგდე" — მეორე რაუნდში მოვიგე ნოკაუტით, ახლა ვნახოთ, შენ რას იზამ-მეთქი, ეტყობა, კანდელაკი ჩემმა სიტყვებმაც გააშმაგა და საქმე პირველივე რაუნდში მოითავა.

— მოდი, ახლა ლენოქს ლუისის კოლეჯში გატარებულ დღეებზე და იქაურ წვრთნაზე მოგვიყევი.

— კოლეჯში ყველანაირი პირობებია იმისთვის შექმნილი, რომ მაღალი დონის მოკრივედ ჩამოყალიბდე. მთავარი მონდომებაა. ვარჯიში არ უნდა დაგეზაროს და მწვრთნელის რჩევა-დარიგებებიც ყურად იღო. 8 მაისს ჩავედი ლონდონში და იქიდან მოყოლებული დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი. ჩემი მწვრთნელი ბულგარელი ტაკოვია, რომელიც ამავე დროს გიორგი კანდელაკის დამრიგებელიცაა. მართალი გითხრათ, თავიდან გამიჭირდა — დილით რვა კილომეტრიანი კროსი, შუადღეს სპარინგ-მეტოქეებთან ოთხ და ექვსრაუნდიანი ბრძოლები, საღამოს ისევ ვარჯიში, ოღონდ შედარებით მსუბუქად, თუმცა მერე ამ დატვირთვებსაც შევეჩვიე და ისე მოვღონიერდი, დღეს რვარაუნდიანი ბრძოლის გამართვაც შემიძლია.

საუბარში კობა გოგოლაძის მენეჯერი **მამუკა წიკლაური** ჩაგვერთო.

— კობა ფიზიკურად მართლაც ჩინებულად გამოიყურება. აკი გროუნვეისთან შეხვედრაც ექვს რაუნდად დაგეგმეს, მაგრამ ამ წინადადებაზე არ დავთანხმდი. ჩემი აზრით, უმჯობესია კობამ თავი ჯერ ოთხრაუნდან ბრძოლებში გამოსცადოს. იმასაც ვფიქრობდი, ამდენმა ვარჯიშმა არ გამოფიტოს და ყველაფერი წყალში არ ჩაგვეყაროს-მეთქი.

— კობა, თავისუფალი დრო როდისღა გაქვთ?

— კვირას ვისვენებთ. ან ლონდონის ქუჩებში ვსეირნობთ, ანაც კოლეჯში ვერთობით ბილიარდით და ჯოკერით. იმასაც გეტყვი, რომ ჯოკერში წაგებული ვალდებულია, სამზარეულოში დატრიალდეს და გამარჯვებულები გემრიელად ასადილოს. ერთ კვირა დღეს კი ჩვენმა მენეჯერმა ფრენკ მელოუნმა თავის აგარაკზე დაგვპატიჟა, იქ მრავალ სპატიო სტუმართა შორის ლეგენდარული ჯო ფრეზერიც ვიხილეთ. ასეთ მოკრივესთან გასაუბრებას ნებისმიერი ინატრებდა და ამ შანსს ხელიდან როგორ გავუშვებთ.

— მერე, რაო ფრეზერმა?

— ჯერ მელოუნმა გიორგი, მამუკა და მე წარგვადგინა, ქართველი მოკრივეები არიან და ამათი დიდი იმედიც მაქვსო. მერე ჯოს მის სახელოვან კარიერაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა და მანაც ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა.

— მოდი, ისევ ლენოქს ლუისის კოლეჯს დავუბრუნდეთ. გავიგე, იქ ძველ ნაცნობებს გადაყრილხარ.

— ბულგარელ ტონჩევს თუ გულისხმობ, ეგრეა. მასთან მართლა ძველი ნაცნობობა მაკავშრებს.

სამოყვარულო კრივის რინგზე ორჯერ შევხვდით ერთმანეთს, ბულგარელმა ორჯერვე მომიგო, თუმცა ერთხელ მსაჯების დახმარებით. ამჟამად ტონჩევი ერთ-ერთი საუკეთესო მსუბუქწონოსან პროფესიონალად ითვლება. ლონდონში ყოფნისას ბევრჯერ ვიყავით ერთმანეთის სპარინგ-მეტოქეები, ტრაბახში არ ჩამომართვათ და, ტოლი არაფერში დავუდე, ეგ კი არა, რამდენჯერმე ვაჯობე კიდეც.

— კობა, შენი პროფესიული კარიერის მოწყობა ფრენკ მელოუნზეა დამოკიდებული, ამ ხნის მანძილზე კარგად გაიცნობდი და, ცხადია, გარკვეული აზრიც შეგექმნებოდა მასზე.

— ფრენკ მელოუნი კრივის სამყაროში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. იგი პირველობას თვით დონ კინგს ეკილება. მელოუნმა მრავალ მოკრივეს გაუკაფა გზა დიდი კრივისკენ და რახან ჩემი მენეჯერობაც იკისრა, ალბათ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

— ცალკე თუ ვიტყვი, მელოუნსა და გიორგი კანდელაკის ურთიერთობა. ეს ინგლისელი კაცი გიორგის თავს ევლება და ყურადღებას არ აკლებს. ჭკვიანმა და მრავლისმნახველმა ბრიტანელმა კანდელაკში ნიჭიერი მოკრივე დაინახა და, ჩემი აზრით, იგი ჩვენს გიორგის დიდი ბრძოლებისთვის ამზადებს.

მამუკა წიკლაური: ფრენკ მელოუნი ისეთი კაცია, დაუფიქრებლად ნაბიჯსაც არ გადადგამს, ლუისის კოლეჯში ბევრი მოკრივე კი ვარჯიშობს, მაგრამ მელოუნი მათგანაც გამოარჩევს ხოლმე ვინმეს. ასეთ გამორჩეულთა შორის არიან გიორგი კანდელაკი და კობა გოგოლაძე.

— უკვე პროფესიონალ მოკრივედ ითვლება და, ცხადია, პროფესიულ და სამოყვარულო კრივს შორის ბევრ სხვაობას შეამჩნევდი.

— რა თქმა უნდა. სხვაობა მართლაც დიდია. ჯერ ერთი, პროფებში ექვსუკიანი ხელთათმანებით და უჩაფხუტოდ ვჩხუბობთ, რაც ხშირად მოკრივის ტრავმას იწვევს. ამ მხრივ მოყვარულებში ჩხუბი შედარებით უსაფრთხოა. პროფესიულ კრივს რაღაც, სხვანაირი ხიბლიც აქვს, კი, მართალია, რთულია, შეიძლება ისე დაშავდე, რინგზე საერთოდ ველარ გახვიდე, მაგრამ კრივი ხომ ვაჟკაცების საქმეა. ჰოდა, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. ერთიცაა — ფინანსური მხარე. პროფებში მოკრივეს იმდენს უხდიან, რომ მერე მთელი ცხოვრება უზრუნველად იყოს.

— ერთი სიტყვით, კმაყოფილი ხარ... ახლა ეს მითხარი, თბილისში როდემდე დარჩები და პროფესიულ რინგზე კვლავ როდის გახვალ?

— თბილისში ორი დღე ვიჯნები, მერე ფოთში წავალ და ცოტას დავისვენებ. მომდევნო ბრძოლა სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. ლონდონიდან შეგვეუბნიანებიან თუ არა, გუდა-ნაბადს ავიკრავ და ბრიტანეთს მივაშურებ. მინდა, წლის ბოლომდე სამი-ოთხი შეხვედრის გამართვა მოვასწრო, რაც შეიძლება მეტი სარეიტინგო ქულა მოვაგროვო. მერე კი, მერე ყველაფერი ფრენკ მელოუნზეა დამოკიდებული.

სოსო კოტორეიშვილი

სტრატეგია უსტრატეგისოდ

სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ამ კვირის ბოლოს საბერძნეთს ჩავა. მიზეზად, არაოფიციალური წყაროები, 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთობ ნელ ტემპსა და საორგანიზაციო კომიტეტის თავკაცის სტრატის სტრატეგიისის გადადგომას ასახელებენ.

სამარანჩი საბერძნეთის პრემიერ-მინისტრ კოსტას სიმიტისთან გეგმავს შეხვედრას. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენლები ვიზიტის საბაბად შექმნილ სირთულეებს არ აღიარებენ, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტიდან ხმებმა მაინც გამოჟონა: „ვინც სამარანჩს იცნობს, იოლად მიხვდება, მან სიმიტისთან შეხვედრა იმიტომ ითხოვა, რომ ათენის საოლიმპიადო სამზადისით ძალიანაა შეწუხებული".

თურმე ოლიმპიური სოფლისთვის შეგულებულ ტერიტორიაზე მუშაობა ჯერაც არ დაწყებულა, ისევე, როგორც, აფროსნობის, კეტბურთისა და ნიჩბოსნობის სარბიელებზე.

რაც შეეხება სტრატეგიისს, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ბუნდოვანი პირადი მიზეზებით გადამდგარა, თუმცა ჭორები სულ სხვას ამბობენ: სტრატეგისს გულზე ცხლად ის ბრძანება მოხვედრია, ლონდონში საბერძნეთის ყოფილი მეფის ქალიშვილის ქორწილს არ დაესწროო.

„მისტერ სტრატეგისის მემკვიდრეს უამრავი სამუშაო ექნება საკეთებელი. აქამდე საქმე წინ ბევრით არ წაწეულა და ეს მარტო საორგანიზაციო კომიტეტის ბრალი არ არის" — ხმა გამოდის სოკ-იდან.

„კომიტეტს მუდმივად ბრძოლა უხდება მთავრობის ბიუროკრატიის, სახსრების ნაკლებობის და ამა თუ იმ საქმეზე პასუხისმგებელი მინისტრების ინდიფერენტულობის გამო".

სტრატეგისის შეცვლის უპირველესი კანდიდატი კი ორია: იანა ანგელოპულოსი, ათენელი მილიონერი ადვოკატი და პეტროს ლამბროუ, ერთ-ერთი უდიდესი სასოფლო-სამეურნეო ბანკის თავკაცი.

ძახა არჯევანიძე

ჰეინსმა ჰეინსს აჯობა

სამხრეთაფრიკელი პერი ჰეინსი მსოფლიოს საცურაო წრეებში აქამდეც სახელმოხვეჭილ ქალბატონად ითვლებოდა. იგი ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონია 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში და 50 მეტრზეც ცურვის მსოფლიო რეკორდიც მისი კუთვნილებაა, მაგრამ იმან, რაც ლოს-ანჟელესის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის საცურაო აუზში მოხდა, თავად მოცურავეც გააოგნა. „მე საკუთარ თავს ვაჯობე, მაგრამ თუ როგორ, ამის ახსნა არ შემიძლია" — გამოტყდა სპორტსმენი. აი, მისი შედეგებიც: პეისმა პირველ დღეს 200 მეტრიან დისტანციაზე ავსტრალიელი რებეკა ბრაუნის მსოფლიო რეკორდი დაამხო, ხოლო 100 მეტრზე ბრასით ცურვაში უწინდელი მიღწევა ჯერ 3 მეასედი წამით გააუმჯობესა, შემდეგ კი ახალ მიღწევასაც ოთხი მეასედი წამი ჩამოაჭრა და სარეკორდო დრო 1.06.95 წთ აჩვენა.

დავით გულუა

პიტერმა ძიები გაანწილა



პიტერ ლეკო

ჭადრაკი გაახალგაზრდავდა. იყო დრო, როცა ამ თამაშის ავტორიტეტებად წეროსანი ბაბუები ან სათვალე-ჰალსტუხიანი ჭარმაგი ჯენტლმენები ითვლებოდნენ და თვითონ ჭადრაკსაც ხომ ბრძენთა თამაშს ეძახიან, რაც თავისთავად ასოცირდება პატივსაცემ ასაკთან. ცხადია, მაშინაც იყვნენ პოლ მორფის დარი გამონაკლისები, მაგრამ სწორედაც რომ გამონაკლისები. დღეს კი რა ხდება? ორმოცდაათი წელი ვეტერანების ასაკად ქცეულა, ხოლო 20-ს არცმიღწეული ყმაწვილები ყველაზე კადნიერად და წარმატებითაც ეპოტინებიან მწვერვალებს. აგერ მაგალითიც...

დორტმუნდის XIX კატეგორიის სუპერტურნირი 19 წლის პიტერ ლეკომ მოიგო, არადა, მასში კასპაროვის გარდა მსოფლიო ელიტა მონაწილეობდა: კარპოვი, ანანდი, კრამნიკი, ტოპალოვი, ადამსი, სოკოლოვი და ტიმანი. ლეკო ლამის თავიდანვე გახდა ერთ-პიროვნული ლიდერი და ბოლომდე შეურცხვენლად ზიდა ეს საამო ტვირთი. დანარჩენებს, მეტი რომ არ ვთქვათ, ყურიც არ შეუბერტყიათ, რათა მისთვის ხელი შეეშალათ. პირველობის რეალური შანსები ჰქონდა კრამნიკს, რომელსაც ბოლო ორი პარტიიდან ერთი მაინც რომ მოეგო, უნგრელთან ერთად პირველობას გაინაწილებდა. ვოვამ კი, ვითომ აქ არაფერიო, არცერთ პარტიაში 20 სვლაც არ გაუკეთებია, ისე დათანხმდა ყაიმებს. იგივე შედეგები უჩვენეს ანანდმა და კარპოვმა, რომლებმაც მომდევნო ადგილები გაინაწილეს. სტრატეგიული თვალსაზრისით მათი მოქმედება თითქოს გასაგებია: თვის ბოლოს ლას ვეგასში ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ნამდვილი დედალ-მამლობა აბა იქ გამოჩნდება, ამიტომ, ცხადია, არავის უნდა თავისი სადებიუტო საიდუმლოებების წინასწარ გამომზეურება და მოჭადრაკეებიც გაკვალული გზებით სიარულს ამჯობინებენ. მაგრამ, ჯერ ერთი, ლას ვეგასში ლეკოც ითამაშებს, მეორეც, დორტმუნდის ტურნირი XIX კატეგორიისაა, მასში კარგად გამოსვლა, სხვა თუ არაფერი, პრესტიჟის საქმეა და არც გამარჯვებისთვის დაწესებული გვარიანი თანხები დაამძიმებს ვინმეს ჯიბეს.

ფინიშზე შედარებით აქტიურად აუტსაიდერები მოქმედებდნენ. იან ტიმანმა მე-7 ტურში ტოპალოვი დაამარცხა, მერვეში ერთი ყაიმიც გაახერხა და ცალსახა აუტსაიდერობას გაქცეული ტოპალოვს გაუმეზობლდა.

დორტმუნდის ტურნირის საბოლოო ცხრილის დემონსტრირებამდე შეროვისა და იუდით პოლგარის მატჩიც გაგებლობს. იგი პირველობას თვით დონ კინგს ეკილება. მელოუნმა მრავალ მოკრივეს გაუკაფა გზა დიდი კრივისკენ და რახან ჩემი მენეჯერობაც იკისრა, ალბათ საქმეს ბოლომდე მიიყვანს.

— ცალკე თუ ვიტყვი, მელოუნსა და გიორგი კანდელაკის ურთიერთობა. ეს ინგლისელი კაცი გიორგის თავს ევლება და ყურადღებას არ აკლებს. ჭკვიანმა და მრავლისმნახველმა ბრიტანელმა კანდელაკში ნიჭიერი მოკრივე დაინახა და, ჩემი აზრით, იგი ჩვენს გიორგის დიდი ბრძოლებისთვის ამზადებს.

მამუკა წიკლაური: ფრენკ მელოუნი ისეთი კაცია, დაუფიქრებლად ნაბიჯსაც არ გადადგამს, ლუისის კოლეჯში ბევრი მოკრივე კი ვარჯიშობს, მაგრამ მელოუნი მათგანაც გამოარჩევს ხოლმე ვინმეს. ასეთ გამორჩეულთა შორის არიან გიორგი კანდელაკი და კობა გოგოლაძე.

— უკვე პროფესიონალ მოკრივედ ითვლება და, ცხადია, პროფესიულ და სამოყვარულო კრივს შორის ბევრ სხვაობას შეამჩნევდი.

— რა თქმა უნდა. სხვაობა მართლაც დიდია. ჯერ ერთი, პროფებში ექვსუკიანი ხელთათმანებით და უჩაფხუტოდ ვჩხუბობთ, რაც ხშირად მოკრივის ტრავმას იწვევს. ამ მხრივ მოყვარულებში ჩხუბი შედარებით უსაფრთხოა. პროფესიულ კრივს რაღაც, სხვანაირი ხიბლიც აქვს, კი, მართალია, რთულია, შეიძლება ისე დაშავდე, რინგზე საერთოდ ველარ გახვიდე, მაგრამ კრივი ხომ ვაჟკაცების საქმეა. ჰოდა, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. ერთიცაა — ფინანსური მხარე. პროფებში მოკრივეს იმდენს უხდიან, რომ მერე მთელი ცხოვრება უზრუნველად იყოს.

— ერთი სიტყვით, კმაყოფილი ხარ... ახლა ეს მითხარი, თბილისში როდემდე დარჩები და პროფესიულ რინგზე კვლავ როდის გახვალ?

— თბილისში ორი დღე ვიჯნები, მერე ფოთში წავალ და ცოტას დავისვენებ. მომდევნო ბრძოლა სექტემბრისთვისაა დაგეგმილი. ლონდონიდან შეგვეუბნიანებიან თუ არა, გუდა-ნაბადს ავიკრავ და ბრიტანეთს მივაშურებ. მინდა, წლის ბოლომდე სამი-ოთხი შეხვედრის გამართვა მოვასწრო, რაც შეიძლება მეტი სარეიტინგო ქულა მოვაგროვო. მერე კი, მერე ყველაფერი ფრენკ მელოუნზეა დამოკიდებული.

სოსო კოტორეიშვილი

არმსტრონგი მაინც მაგრად დგას

REUTERS პიო ანგალიდან

ძაღლი ყეფს, „ტურის“ ქარავანი მიდის

გუშინდელი ეტაპი პირინეის მთებში გაიმართა და მას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, შეძლებდა თუ არა ყვითელი მაისურის მფლობელი ლანს არმსტრონგი მთავარი მეტოქეების დისტანციაზე დაჭერას. ეს მშვენივრადაც მოახერხა, ეტაპის გამარჯვებულ ესპანელ ფერნანდო ესკარტინთან მხოლოდ 2 წუთი და 10 წამი წააგო და საერთო ჩათვლაში მას კვლავ ექვს წუთზე მეტს უფლებს. ეს უპირატესობა კი, ალბათ, საფარისი იქნება საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად, რადგან დარჩენილი ეტაპებიდან ერთიღაა მთიანი და სპორტსმენები ერთხელაც ინდივიდუალურ რბოლაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ერთი სიტყვით, რაიმე გაუთვალისწინებელი თუ არ მოხდა...

სენ გოდენსა და პიო ანგალის შორის დისტანცია მეტად რთულია. როგორც მოსალოდნელი იყო, მისი ყველაზე სწრაფად გავლა უძლიერესებმა შეძლეს. 31 წლის ესკარტინის შემდეგ ფინიშს შვეიცარიელმა ალექს ცულემ და ფრანგმა რიშარ ვირანკმა უწიეს. მალე კი არმსტრონგმაც დაამთავრა რბოლა მეოთხე ადგილზე, მისი ოდნავ ჩამოტოვება მხოლოდ ბოლო ხუთასიოდ მეტრში შეძლო შვეიცარიულ-ფრანგულმა დუეტმა.

„მოკლე, მაგრამ ძალიან რთული ეტაპი იყო. მთელი რბოლის მანძილზე ვცდილობდი ჩემი მთავარი მეტოქეების გაკონტროლებას, მაგრამ როცა ფინიშამდე სამიოდე კილომეტრიღა რჩებოდა, ძლიერი დაღლა ვიგრძენი. ჯერ კიდევ ვერ ვიტყვი, რომ „ტურის“ გამარჯვებული ვარ, მირჩევნია, ორი-სამი დღე კიდევ მოვიცადო“ — თქვა ყვითელი მაისურის ტეხასელმა მფლობელმა.

ესკარტინმა ორი შეტევა განახორციელა. ჯერ გზის მეოთხე მთაზე (სულ ექვსი იყო) გაექცა არმსტრონგს და კომპანიას შვეიცარიელ ლორან დიუფოსთან ერთად, შემდეგ კი მომდევნო აღმართზევე ჩამოიტოვა საეკოელი და მის იერიშამდე დაწინაურებულ შვიდ მრბოლსაც ერთმანეთის მიყოლებით გასწრო, პიო ანგალის აღმართი ეულად აიარა და თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა.

მომდევნო ეტაპი დღეს გაიმართება. სპორტსმენებს ლანემეზანსა და პოს შორის 192 კილომეტრი და რამდენიმე უღელტეხილი, მათ შორის ცნობილი ტურმალეს უმაღლესი კატეგორიის სირთულის მწვერვალი აქვთ დასაძლევი. დიდი უპირატესობით გამარჯვება რომელიმე ლიდერთაგანს, ალბათ, გაუჭირდება, რადგან ფინიში ბოლო აღმართიდან დაახლოებით 60 კილომეტრზეა.

გაიოზ თალაკვაძე

მეთხუთმეტე ეტაპი

სენ-გოდენი — პიო-ანგალი

173 კმ

1. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი, კელმე) — 5სთ 19წთ 49წმ
2. ალექს ცულე (შვეიცარია, ბანერტო) — +2წთ 01წმ
3. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი) — +2წთ 01წმ
4. ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +2წთ 10წმ
5. კურტ ვან დე ვოუვერი (ბელგია, ლოტო) — +2წთ 37წმ
6. ანხელ კასერო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +2წთ 37წმ
7. დანიელე ნარდელო (იტალია, მაპეი) — +2წთ 45წმ
8. ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო) — +2წთ 45წმ
9. ფრანსისკო ტომას გარსია (ესპანეთი, ვიტალიციო) — +3წთ 39წმ
10. ვლადიმირ ბელი (იტალია, ფესტინა) — +4წთ

საერთო ჩათვლა

1. ლანს არმსტრონგი — 72სთ 45წთ 27წმ
2. ფერნანდო ესკარტინი — +6წთ 19წმ
3. ალექს ცულე — +7წთ 26წმ
4. ლორან დიუფო — +8წთ 36წმ
5. რიშარ ვირანკი — +9წთ 46წმ
6. დანიელე ნარდელო — +11წთ 33წმ
7. ანხელ კასერო — +11წთ 40წმ
8. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) — +12წთ 35წმ
9. ვლადიმირ ბელი — +15წთ 16წმ
10. კურტ ვან დე ვოუვერი — +16წთ 41წმ



ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია

პიო ანგალი ძალიან ახალგაზრდა დაბაა. იგი გაისად მხოლოდ მეოთხედი საუკუნისა შეიქნება. თუმცა ამ ხანმოკლე მანძილზე მან უკვე მოასწრო პირინეის მთების სამი საუკეთესო კუროორტის სიაში შესვლა. „მომავლის არქიტექტურა“, მშვენიერი ბუნება, მომსახურების მაღალი დონე, დიდებული სამთო-სათიხილამურო ტრასები ტურისტებს ისე იზიდავს, როგორც თაფლი ბუზებს. „დაკარგული მთის“ („მონ პერდიუ“) ხეობით კი რამდენიმე საათში საფრანგეთიდან ესპანეთში გადახვალთ.

ტურის ლეგენდები

1963 წელი

გამარჯვებული ჟაკ ანკეტილი

უკვე მეორე წელი იყო, რაც „ტურ დე ფრანსმა“ თავისი სახე დაიბრუნა — ეროვნული ნაკრებები კვლავ კერძო გუნდებმა შეცვალეს. უპირველეს ფავორიტად „სენ რაფაელ ჟიტანის“ ფრანგი ლიდერი ჟაკ ანკეტილი ითვლებოდა. 29 წლის მრბოლს უკვე სამჯერ გაემარჯვა საფრანგეთის გზებზე (1957, 1961 და 1962 წლებში) და ახალი წარმატება მას ტურის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენდა: ის იქნებოდა პირველი ოთხგზის გამარჯვებული.

ჟაკის მშვენიერი ფორმის მიუხედავად, ერთი რამ მალე გაირკვა — იგი 1961 წლის რეკორდს ვერ გაიმეორებდა. ორი წლით ადრე, საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ყოფნისას, მას ყვითელი მაისურა სტარტიდან მოყოლებული ერთი დღითაც არავისთვის დაუთმია. ამჯერად კი... ერთ-ერთი ეტაპისას იგი წაიქცა და მისმა ყველაზე სახიფათო მეტოქემ, ესპანელმა ფედერიკო ბაამონტესმაც სამ სხვა მრბოლთან ერთად მაშინვე წამოიწყო შეტევა. ეტაპი პაუელსმა მოიგო და საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა. ანკეტილი ამას დიდად არ აუღელვებია. მან ნატკენ იდაყვსა და მუხლს უწამლა და წყნარად დაელოდა თავის საყვარელ ინდივიდუალურ რბოლას, რომელიც ანყერში იყო დანიშნული.

იგი თითქმის ყოველთვის სჯობნიდა მეტოქეებს ასეთი სახის შეჯიბრში და, რა თქმა უნდა, არც ამჯერად უღალატა ტრადიციას. 24,5 კილომეტრიანი გზა მან 46 კმ/სთ საშუალო სიჩქარით გაიარა, თუმცა მეათე ადგილზე გასულ ბაამონტესს მხოლოდ წუთნახევარი მოუგო. ესპანელზე იმიტომ ვამბობთ, რომ ანკეტილი მთავარ მოწინააღმდეგედ სწორედ „ტოლედოს არწივს“ მიიჩნევდა, რომელსაც „ტური“ 1959 წელს უკვე მოეგო და 35 წლისა ადრინდებურად მშვენიერ ფორმაში იყო.

ფრანგს სურდა ესპანელისთვის ყველაფერში ეჯობნა და მთებშიც კი შეეპაექრა, მიუხედავად იმისა, რომ აღმართებში რბოლა მისი უძლიერესი მხარე (ბაამონტესისგან განსხვავებით) სულაც არ იყო. მეათე ეტაპზე, პირინეის მთებში, ტოლედოელსა და პულიდორს არ ჩამორჩა და იმდენი მოახერხა, სპრინტში მთათა მოყვარულები დაამარცხა, რითაც „ოსტატი ჟაკი“, ეტყობა, თავისი სპორტული ფორმის პიკზე იყო და სპეციალისტებსა და მაყურებლებს სულ უფრო და უფრო განაცვიფრებდა. ორლიაკში, მეცამეტე ეტაპზე, რომელიც სპრინტერებისა გახლდათ, რადგან აღმართები არ იყო, იგი ჰეპლების ბრძოლაშიც ჩაერია და... მართალია, ვან ლოის ვერ აჯობა, მაგრამ პრემიალური წამები მაინც მოიპოვა და საერთო ჩათვლაში ლიდერს წამოეწია.

ანკეტილის რამდენიმე თანაგუნდელმა ტრავმების გამო შეჯიბრი ვადაზე ადრე მიატოვა, მაგრამ დარჩენილებიც საკმარისნი აღმოჩნდნენ იმისთვის, რომ მას მეცხრამეტე ეტაპამდე დასვენებულს მიეღწია. აქ კი არბეასა და ბეზანსონს შორის სპორტსმენებს 54,5 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა ელოდათ. ეტაპი, რა თქმა უნდა, ანკეტილიმ მოიგო და ყვითელი მაისურაც დაიბრუნა.

ამას სენტ-ეტიენი-გრენობლის მთიანი ეტაპი მოჰყვა. ბაამონტესმა თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად დიდებული შეტევა განახორციელა და ნორმანდიელს მთელი 3 წუთი და 2 წამი მოუგო. მომდევნო დღეს პირველობა მეორე ესპანელმა მანსანეკმა ირგუნა, ყვითელი მაისურით კი „ტოლედოს არწივი“ შეიმოსა. თუმცა ფედერიკომ ჟაკს მხოლოდ სამი წამით გადაასწრო.

მეჩვიდმეტე ეტაპზე ვალ დიზერსა და შამონის შორის მრბოლებს წვიმიან ამინდში რამდენიმე უღელტეხილის დაძლევა მოუწიათ. გამარჯვება ანკეტილიმ მოიპოვა და ბაამონტესი 28 წამით ჩამოიტოვა საერთო ჩათვლაში. ბოლო ინდივიდუალურ რბოლაში კი მას კიდევ სამი წუთი მოუგო და „ტურის“ პირველი ოთხგზის გამარჯვებული გახდა.

მომდევნო წელს კი „ოსტატად“ წოდებული ჟაკ ანკეტილი პირველი ველომრბოლი გახდა, ვისაც „ტურ დე ფრანსი“ ხუთჯერ მოუგია. ამ რეკორდის გამეორება მომდევნო წლებში სამმა კაცმა მერქმა, ინომ და ინდურაინმა შეძლო.

ლუდოს რეცეპტი გაუჭირდა?

წინა ხუთშაბათს „ტურის“ მეთერთმეტე ეტაპი ბერგდუაზანსა და სენტეტიენს შორის ბელგიის ჩემპიონის, ლუდო დიერკქსენსის გამარჯვებით დასრულდა. ეს მის კარიერაში ყველაზე დიდი წარმატება იყო და მარკო პანტანესერი თავხოტორა მრბოლზე ყველა საინფორმაციო საშუალება ალაპარაკდა.

და აი, ლუდო ახლაც მასმედიის ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა ასეთ ყურადღებას, ალბათ, ერჩივნა, მისი სახელი საერთოდ არავის უხსენებია. ლუდო საკუთარმა გუნდმა, იტალიურმა „ლამპრემ“ დაითხოვა, მიზეზად კი ლუდოს მიერ ტრავმის მოსარჩენად აკრძალული პრეპარატის გამოყენება დასახელდა.

„ტურ დე ფრანსის“ საორგანიზაციო კომიტეტმა განაცხადა, რომ ეს ამ შეჯიბრებაზე არ მომხდარა და ამდენად, მისი პრობლემა სულაც არ არის.

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მიერ შავ სიაში შეტანილი პრეპარატი ბელგიის ჩემპიონს, მისივე თქმით, სამიოდ თვის წინ გამოუყენებია დაზიანებული მუხლის მოსაშუშებლად. მას ეს ექიმთან შეუთანხმებლად გაუკეთებია, ამ წამლით მკურნალობა კი მხოლოდ სპეციალური რეცეპტით, ვსკ-ს მიერაა დაშვებული. „ლამპრემ“, საქმე რომ არ გაერთულებინა, ბელგიელი გუნდიდან დაითხოვა. საინფორმაციო სააგენტოების თქმით, ლუდო დიერკქსენსი უკვე სამშობლოში იმყოფება.

ძალიან თავმდაბალი მრბოლი

ალექს ცულე

რადგან ძალიან თავმდაბალია, რადგან ლიდერის თვისებები არა აქვს, სავსებით შესაძლებელი იყო, ალექს ცულე „მუდმივ მეორე ნომრად“ დარჩენილიყო. თუ რატომ ვერ გაიკეთა ამ უნიჭიერესმა მრბოლმა მბრწყინვალე კარიერა, ბევრისთვის დღესაც გაუგებარია. ახალგაზრდობაში დიდი მიგელ ინდურაინის ჩრდილში მოქცეულ 31 წლის შვეიცარიელს თითქოს წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ უნდა მოეგო, მაგრამ ამჯერად ლანს არმსტრონგი ყოჩაღობს საფრანგეთის გზებზე.

„ალექსი ძალიან ზრდილობიანი ბიჭია. ცუდს არასოდეს იტყვის, არავის გააკრიტიკებს. ნამდვილი ლიდერი რომ გახდეს, ამისთვის რაღაც აკლია“ — ამბობს მისი გუნდის მენეჯერი ხოსე-მიგელ ეჩავარი.

თვითონ ყოფილი მრბოლი, „ბანერტოს“ მენეჯერი კარგად იცნობს სპორტსმენთა ბუნებას. სწორედ ის დაეხმარა მიგელ ინდურაინს „ტურ დე ფრანსის“ ზედიზედ ხუთჯერ მოგებაში. და თუ მან ცულე თავის გუნდში მიიწვია, ეს უეჭველად იმიტომ, რომ მის განსაკუთრებულობაში დარწმუნებული იყო და იმედი ჰქონდა, კიდევ ერთ ჩემპიონს გამოვზრდიო. ეჩავარი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ცულეს, დოპინგის გამოყენებისთვის ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, შეეძლო „ტურის“ ჩემპიონი გამხდარიყო, მაგრამ...

„თუ შეფობა გინდათ, მაგიდაზე მუშტის ბრახუნიც უნდა შეგეძლოთ. ალექსს კი იქით უნდა მისცე ბრძანებები, თითქოს ჯარისკაცი იყოს. ალბათ, ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ ფიზიკური შესაძლებლობების მიუხედავად, ტიტულებით ვერ დაიკვეხნის“ — თქვა ეჩავარიმ.

წლევანდელი „ტურ დე ფრანსი“ ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ლანს არმსტრონგისთვის ყვითელი მაისურის წართმევა ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნება. ამის მიზეზი კი „გუას გასასვლელია“. მეორე ეტაპზე ამ ადგილას ბევრი მრბოლი წაიქცა, რამაც პელოტონი ორად გაწყვიტა, წინ უფრო მეტი სპორტსმენი იყო და მათაც იმდენი მოახერხეს, რომ მეორე ნაწილს ექვს წუთზე მეტი მოუგეს. „განაწყენებულთა“ შორის იმ დღეს (5 ივლისი) ალექს ცულეც იყო.

„მაინტერესებს, ვინ მოიფიქრა იმ უაზრო ადგილას (გზა, ფაქტობრივად, წყალში გადიოდა, ზღვის დონიდან ერთ მეტრ სიმაღლეზე) პელოტონის გატარება. თუ საბოლოოდ ცულე არმსტრონგთან ექვს წუთზე ნაკლებს დათმობს, ძალიან დაგვწყდება გული“ — განაცხადა „ბანესტოს“ მენეჯერმა.

თავად მრბოლის თქმით კი, იგი მეორე ადგილისთვის იბრძვის, თუმცა მეტის მიღწევასაც შეეცდება. რა თქმა უნდა, მას შეუძლია, არმსტრონგს კიდევ მოუგოს დრო და ამაში, ალბათ, სხვა ორი „მთამსვლელი“ — ფრანგი რიშარ ვირანკი (პოლტი) და ესპანელი ფერნანდო ესკარტინი (კელმე) დაეხმარება, რომლებსაც თვითონაც სურთ საერთო ჩათვლაში კიდევ უფრო ზევით ანაცვლება.

REUTERS ტარბესიდან

ტურის დასვენება

„ტურ დე ფრანსის“ მეორე უქმე დღეა და დამაშვრალი მრბოლელები ისვენებენ. შვეიცარიელი ალექს ცულე, რომელიც საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზეა, აუზის პირას საუზმობს და ვინ იცის, ეგებ ნაღვლობს კიდეც, ტურის პირველ დღეებში დასანანი უიღბლობის მსხვერპლი რომ არ შეჭნილიყავი, ახლა ლიდერი ვიქნებოდიო.

ლიდერი კი საუზმობისას გაზეთს კითხულობს: ამერიკელი ლენს არმსტრონგი თანამემამულე ჯორჯ ჰინკაპისთან ერთად ისვენებს ტურის მეთხუთმეტე დღის წინ.

კასპაროვი — მსოფლიო

1. e2-e4 c7-c5; 2. ♘g1-f3 d7-d6; 3. ♗f1-b5+ ♗c8-d7; 4. ♗b5:d7+ ♕d8:d7; 5. c2-c4 ♘b8-c6; 6. ♘b1-c3 ♘g8-f6; 7. 0-0 g7-g6; 8. d2-d4 c5:d4; 9. ♘f3-d4 ♗g7; 10. ♘d4-e2 ♕d7-e6; 11. ♘c3-d5 ♕e6:e4. 12. ♘d5-c7+ ♔e8-d7 13. ♘c7:a8 ♕c4 14. ♘b6+ a7:b6 15. ♘c3



REUTERS მელბურნიდან

ფეხბურთელი რობოტები

ადვილი შესაძლებელია, რომ მომავალ საუკუნეში ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვას რობოტთა ყიდვა-გაყიდვა ამჯობინონ. თურმე, კარგახანია, რაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მოცლილი მეცნიერები რობოტ-ფეხბურთელთა აწყობაზე მუშაობენ. ერთ-ერთი ასეთი ვინმე მელბურნის უნივერსიტეტშიც მოღვაწეობს — მარკ მეკისი სტუდენტობას თავის შექმნილ ფეხბურთელ რობოტს უჩვენებს. ამ რობოტს ჯერ სახელი არა აქვს, მაგრამ უკვე შეუძლია კარში დარტყმა და სირბილი და თურმე ნუ იტყვით, გაისად მელბურნშივე გაიმართება რობოთასის პირველი გათამაშება, რომელშიაც მთელი მსოფლიოს მობურთალ რობოტებს გამოიყვანენ თავიანთი პატრონები. ჰაი, გიდი, რონალდოვ...

ლოთარი და მოყვარული

ლოთარ მათეუსი კვლავ გერმანიის ნაკრების კაპიტანია, ფრანკფურტში მისი გუნდი კონფედერაციის თასის ტურნირისთვის ემზადება. კონფედერაციის თასი მექსიკაში უნდა გათამაშდეს და პირველსავე მატჩში გერმანელები „კოპას“ მომგებ ბრაზილიელებს შეხვდებიან. უბერებელ ლოთარს კი ვინმე ფრანკფურტელი მოყვარული გაუბრიყვებია და თამაშის რაობაში ცდის.

REUTERS ფრანკფურტიდან



REUTERS სტოუნწოლიდან

ლიანდაგებით — ვინიპეგისკენ

ოცდასამ ივლისს კანადის ქალაქ ვინიპეგში პანამერიკული თამაშები უნდა გაიხსნას. ორივე დიდი ამერიკის და კარიბეთის საუკეთესო სპორტსმენები ერთმანეთს ამერიკული ოქროსთვის შეერკინებიან. თამაშების ჩირაღდანი კი უკვე გზაზეა. ლიანდაგებით ვინიპეგისკენ — შეიძლება ასეც ვუწოდოთ ჩირაღდნოსანი მორბენლის რეი სტინის მიერ წმინდა ცეცხლის ზიდვას.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli